1425
2006 /2
ც3/2

# არსენალი

№1 (18). იანვარი. 2006. „კვირ… სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ქართული არმია - 2005

## ახალი ამერიკული ტყვიამფრქვევი

## ცნობილი ლაინერების ტრაგიკული ბედი

## რატომ ანგრევენ ჩინოვნიკები ქართველთა „მხედრულ სულს"

## ომის წარმოების ხუთი ძირითადი პრინციპი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული არმია 2005
8



ოპერაცია „კარტოთეკა“
19



ომის წარმოების ხუთი ძირითადი პრინციპი
38

„შავი შაშვები“ საბჭოთა საქართველოს შავი ზღვიდან უღებდნენ დეტალურ ფოტოებს
25





ბასკერვილების ძაღლი
30



წყევლა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტებს არ ინდობს
34

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**

4 მოკლე ინფორმაციები

**კალეიდოსკოპი**

6 უცხოეთის ამბები

**განვლილი წელი**

8 ქართული არმია 2005

**კონცეფცია**

10 მეზობელი ქვეყნების რაკეტები საშიშროებას უქმნის საქართველოს

**სცენარი**

12 ორფრონტიანი სამხედრო კამპანიის სცენარი

**სპეცსამსახურები**

14 რატომ ანგრევენ ჩინოვნიკები ქართველთა „მხედრულ სულს"?

**მკითხველის გვერდი**

18 მსხვილკალიბრიანი, მაგრამ მსუბუქი

**სპეცოპერაცია**

19 ოპერაცია „კარტოთეკა"

**ნადირობის მოყვარულთათვის**

22 უბადლო მონადირე

**იარაღი**

25 „შავი შაშვის" ელვისებური გაელვება – **SR-71**

**კომპანიონი**

30 ბასკერვილების ძაღლი – ნეაპოლიტანური მასტიფი

**ლეგენდა**

34 ტეკუმსეს წყევლა

**მხედართმთავრები**

38 ომის წარმოების ხუთი ძირითადი პრინციპი

**ფლოტი**

43 ცნობილი ლაინერების ტრაგიკული ბედი

**კროსვორდი**

47 არსენალვორდი

**მითების მსხვრევა**

48 ათასი ლეგენდით სხივმოსილი უძველესი საომარი იარაღი

**სუპერმობილი**

50 „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო"

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 სამოქალაქო პისტოლეტი **Beretta 84 FS Cheetah**

## რედაქტორის სვეტი

მიილია 2005 წელი. წელი, რომელიც მდიდარი იყო სამხედრო-პოლიტიკური სახის მოვლენებით როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც. ყველაზე კარდინალური ცვლილება ქართული ჯარისთვის, რა თქმა უნდა, გაზრდილი ბიუჯეტია. ამიტომ მომავალ 2006 წელს, წესით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესს პრობლემები არ უნდა შეექმნას.

„არსენალი" მთელი გულით ულოცავს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 2006 წლის მობრძანებას! ვულოცავთ ყველას, დაწყებული ყველაზე „პატარა" ჯარისკაცით და დამთავრებული ყველაზე „მაღალი" მაღალჩინოსნით! ვულოცავთ ყველას, ვისაც მართლაც გულით სურთ ქართული არმიის გაძლიერება და ამისთვის არაფერს იშურებენ!

გილოცავთ თქვენც, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო! გისურვებთ წარმატებებსა და წინსვლას!

ჩვენ კი ვეცდებით არც 2006 წელს მოგაკლოთ საინტერესო საკითხავი...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

**რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია**

**ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში**

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნულმა სამხედრო სტრატეგიამ რუსეთის საგარეო უწყება გააღიზიანა

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიით რუსეთის საგარეო უწყების გაღიზიანება და უკმაყოფილება ქართული მხარისათვის გაუგებარია. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დოკუმენტში მოყვანილი ციტატა – „რუსეთის ფედერაციაში ყოველთვის იქნებიან ძალები, რომლებიც დახმარებას აღმოუჩენენ სეპარატისტებს“ – ზედმიწევნით ასახავს არსებულ რეალობას და ამ ფაქტის გამო რუსეთის საგარეო უწყების მიერ გამოთქმული პროტესტი ქართული მხარისთვის მიუღებელი და გაუგებარია. რუსეთი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტის დარეგულირებას, ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ რეჟიმს იცავს და ამავდროულად, საქართველოს სამართლიან პრეტენზიებს აფასებს, როგორც მოგონილს პოლიტიკური და ეკონომიკური წარუმატებლობების გასამართლებლად. „ვფიქრობთ, არაკორექტული და არაობიექტური შეფასებების ნაცვლად რუსეთის მხარემ ადეკვატურად უნდა უპასუხოს საქართველოს საფუძვლიან პრეტენზიებს, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო იმ საფრთხეების აღმოფხვრას, რომლებზეც ლაპარაკია საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, არამედ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## სანაპირო დაცვის სამსახური საკონტრაქტო გახდება




საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახური 2006 წლიდან საკონტრაქტო სისტემაზე გადავა. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ეკა გიგაურის განცხადებით, პირველ ეტაპზე საკონტრაქტო სისტემაზე სანაპირო დაცვა გადავა, 2009 წლიდან კი მთელი სისტემა საკონტრაქტო პრინციპით იმსახურებს. გარდა ამისა, დაგეგმილია მესაზღვრეების ხელფასების გაზრდა, რომელიც შსს-ს სხვა სტრუქტურების თანამშრომელთა ხელფასებს გაუთანაბრდება. აღნიშნული ცვლილებები სასაზღვრო დეპარტამენტისთვის პოლიციის ფუნქციების გადაცემასთან დაკავშირებით ხორციელდება.

## მესაზღვრეებმა 38 ჭურვი აღმოაჩინეს



საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ბარისახოს რეგიონული სამმართველოს პირადი შემადგენლობის განწესმა პატრულირებისას დიდი ოდენობით საბრძოლო მასალები აღმოაჩინა. როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, აღმოჩენილია „ნურსის“ ტიპის 38 ერთეული ჭურვი და ამავე ჭურვის თვითნაკეთი გამშვები 13 ერთეული მექანიზმი. აღჭურვილობა ამოღებულია და გადატანილია თბილისში.

## "აფხაზეთის წინააღმდეგ ახალი ომი, შესაძლოა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს"

„საქართველოს მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი, შესაძლოა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს“, – განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, „საქართველოს ხელისუფლების უახლოესი მომავლის ამოცანა აფხაზეთის დაბრუნებაა“. ლაკობას განმარტებით, მსგავსი განცხადება პრეზიდენტ სააკაშვილს პირველად არ გაუკეთებია, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისას მხარს სამხედრო ძალის გამოყენებას უჭერს. თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, სამწუხაროდ, თბილისში დღეს ბევრი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი უკანა პლანზე იმის გამოა გადასული, რომ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას ემხრობიან. ამ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. სტანისლავ ლაკობა „პრეზიდენტ სააკაშვილის რევანშისტული განცხადებების ფონზე მხარეებს შორის ნდობის განმტკიცებაზე ლაპარაკს ზედმეტად მიიჩნევს“.

## 2006 წელს საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა თვისებრივად ახალ სტანდარტებზე გადავა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, დავით სიხარულიძის განცხადებით, 2006 წელს ჩვენს ქვეყანას თვისებრივად ახალი სტანდარტების შესაბამისი სამხედრო ინფრასტრუქტურა ექნება. როგორც მან აღნიშნა, თავდაცვის სამინისტრო მომავალ წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 392.569 მილიონ ლარს მიიღებს. „საქართველო გააგრძელებს მონაწილეობას საერთაშორისო ოპერაციებში, რადგან ჩვენ არ ვართ მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებლები, შეგვიძლია უსაფრთხოების დამყარებაში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ“, – აღნიშნა სიხარულიძემ. მისივე თქმით, მომავალ წელს პირადი შემადგენლობის შენახვისთვის თავდაცვის სამინისტრო 172,9 მილიონ ლარს დახარჯავს, რაც მთლიანად თავდაცვის ბიუჯეტის 44%-ს შეადგენს. 67,9 მილიონი ლარი შენაერთების ოპერატიული ხარჯებისთვის არის გამოყოფილი. მომავალ წელს ასევე დაგეგმილია შეიარაღებისა და მოდერნიზების პროგრამე-

ბის განხორციელება, გაგრძელდება აგრეთვე რეზერვისტთა მომზადების პროგრამაც. „2006 წელს საქართველს NATO-ს სტანდარტებთან თავსებადი ორი ქვეითი ბრიგადაც ეყოლება“, — დასძინა სიხარულიძემ.

## "მე-11 ბატალიონს სამხედრო მისიის წარმატებით შესრულება შეუძლია"



„საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ბრიგადის მე-11 ბატალიონს შესაბამისი ბრძანების შემთხვევაში სამხედრო ამოცანის შესრულება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში წარმატებით შეუძლია“, — განაცხადა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა ვაზიანში ერაყიდან მე-11 ბატალიონის დაბრუნებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ცერემონიაზე. გენერალური შტაბის უფროსმა ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და განაცხადა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული, მისია, რომელიც ბატალიონმა შეასრულა. ეს იყო დიდი გამოცდა და დასაწყისი იმ საქმეებისა, რომელიც მათ ელოდებათ.

ერაყში სამსახურის დროს ბატალიონის სრული შემადგენლობა დაჯილდოვდა სპეციალური მედლებით, რომელთაც მხოლოდ ამერიკელ ჯარისკაცებს ანიჭებენ განსაკუთრებული დამსახურების გამო. ბატალიონის მეთაურს, შალვა ტაბატაძეს ამერიკის მხარემ პირველი ხარისხის, დანარჩენ სამხედროებს კი მეორე ხარისხის მედლები გადასცა. მეთაურის განცხადებით, მე-11 ბატალიონი პირველია იმ ქართულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებსაც სამშვიდობო მისია ერაყში აქვთ შესრულებული და მედლები დაიმსახურეს.

300 სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებული თელავის ბატალიონი ერაყში მისიით — „თავისუფლება ერაყს“ — მიმდინარე წლის 20 მაისიდან იმყოფებოდა. ბატალიონი სამშვიდობო მისიას ბაქუბასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასრულებდა. მათ მოვალეობას სამხედრო და სხვა დანიშნულების ობიექტების დაცვა, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე კონტროლი და პატრულირება წარმოადგენდა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ხიდების დაცვაც, რომელსაც 24 საათის განმავლობაში მხოლოდ ქართველი ჯარისკაცები ახორციელებდნენ.

## იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიების გაცემის წესი შეიცვალა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესი შეიცვალა. მთავრობის №210 დადგენილებით, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებულ ლიცენზიებსა და ნებართვებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გასცემს. სანადირო გლუვლულიან, სასპორტო, ჯილდოდ მიღებულ, გაზის, საფანტის, საკოლექციო იარაღისა და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალების ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტსა და ტრანზიტს თავდაცვის სამინისტროს ნებართვა არ სჭირდება.

## თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობას NATO-ს სტანდარტების შესაბამისი პირადობის მოწმობები ექნება

თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობას 2006 წლის მარტის ბოლომდე NATO-ს სტანდარტების შესაბამისი პირადობის მოწმობები ექნება. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, დღეს NATO-ს სტანდარტების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის 3000 წარმომადგენელს ამგვარი პირადობის მოწმობა აქვს, რომელშიც მითითებულია ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელსაც NATO-ს სტანდარტები ითვალისწინებს. ეს არის გვარი, სახელი, სისხლის ჯგუფი, თვალის ფერი, სიმაღლე, წონა, ალმსარებლობა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა და ჩამოყალიბდა საინფორმაციო ბაზა, რომელშიც 37770 პირზე სრული ინფორმაცია არსებობს. ისინი მოქმედი მოსამსახურეები, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილები არიან.

## "საქართველოში მილიტარიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს"

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (ლონდონი) მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს საქართველოში მილიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სიხარულიძემ განაცხადა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა ეს აგრესიულ სამხედრო პოლიტიკაზე გადასვლას არ ნიშნავს. მისი განმარტებით, შეიარაღებულ ძალებში ტექნიკის მოდერნიზება მიმდინარეობს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხედრო ტექნიკის რაოდენობა იზრდება. სიხარულიძე ადასტურებს, რომ ბოლო დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ T-55 ტიპის 40 ერთეული ტანკი,იმავე რაოდე-



ნობის T-72 ტიპის ტანკებით შეცვალა.

საქართველოში მიმდინარე მილიტარიზაციის პროცესის შესახებ სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის განცხადება რუსულ ვებგვერდებზე გამოქვეყნდა.

**საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით მოამზადა მამუკა ხუციშვილმა**



საქართველოს პარლამენტის ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვედურმა წყალქვეშა ნავმა ამერიკულ ავიამზიდს „შეუტია“



შვედურმა წყალქვეშა ნავმა „გოტლანდმა“ მონაწილეობა მიიღო აშშ-ში გამართულ სამხედრო-საზღვაო სწავლებებში. მანევრებში, რომლებიც 6-დან 16 დეკემბრის ჩათვლით, კალიფორნიის სანაპიროებთან მიმდინარეობდა შვედები ამერიკელების პირობითი მოწინააღმდეგის როლს ასრულებდნენ.

სწავლება, მიზნად ისახავდა სუბმარინების წინააღმდეგ დამრტყმელი ჯგუფის მოქმედებების დამუშავებას. შვედებმა და ამერიკელებმა (ავიამზიდ „რონალდ რეიგანის“ დამრტყმელი ჯგუფი) რამდენიმე ერთობლივი ვარჯიში შეასრულეს. ასევე დამუშავდა ერთობლივი მოქმედებები მესამე ძალის წინააღმდეგ. მეორე სცენარის მიხედვით, წყალქვეშა ნავი აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო და ამერიკელთა სასარგებლოდ სადაზვერვო ფუნქციას ასრულებდა, შემდეგ კი ისევ ამერიკელების მოწინააღმდეგე გახდა. საერთო ჯამში, შვედები ამერიკელ კოლეგებთან ერთად 160 დღის განმავლობაში გაივლიან წვრთნებს.

„გოტლანდის“ კლასის წყალქვეშა ნავებს ატომურ წყალქვეშა ნავებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ უხმაურონი არიან, თუმცა ოდნავ ჩამორჩებიან ავტონომიური ცურვის ხანგრძლივობით. ერთობლივი მანევრების მსვლელობისას ამერიკელებს განზრახული აქვთ მათი მოსაძებნი და სათვალთვალო მეთოდების შემუშავება. ამერიკელთა აზრით, მომავალში, ასეთი წყალქვეშა ნავები, სავარაუდოდ, ისეთ ქვეყნებშიც მოხვდებიან, რომლებთანაც აშშ-ს შეიძლება საომარი კონფლიქტი ჰქონდეს.



# ამერიკული ავიალაზერი ამუშავდა...

საჰაერო ბაზირების ლაზერმა, რომელიც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტომ შექმნა, მიწისზედა გამოცდების დროს მუშაობის გათვლილ ხანგრძლივობას მიაღწია. კორპორაცია „ნორტროპ-გრუმანის“ ხელსაწყომ მუშაობის ხანგრძლივობის ათწამიანი ზღვარი გადალახა, რაც ბალისტიკური რაკეტების გასანადგურებლად არის განკუთვნილი მათი ფრენის ტრაექტორიის აჩქარებით მონაკვეთში.

10 წამზე რამდენად დიდხანს იმუშავა ლაზერმა, გასაიდუმლოებულია. გამოცდა 6 დეკემბერს ჩატარდა კალიფორნიაში.

ახლა, როცა მიწისზედა გამოცდები დასრულებულია, სამუშაოების პროგრამა ითვალისწინებს მოწყობილობის დაშლასა და მის „Boeing-747-400“-ზე დაყენებას. ამჟამად ლაინერი უიჩიტოს (კანზასის შტატი) ავიაბაზაშია, სადაც მისი მოდიფიცირება მიმდინარეობს, რათა ქიმიური ლაზერის შემადგენელი ექვსი მოდულის დატვირთვას გაუძლოს. საფრენ აპარატს დაუყენებენ ორ მყარსხეულიან ლაზერსაც, რაც სამიზნის თვალთვალს უზრუნველყოფს.

თვითმფრინავზე ინოვაციური სახის შეიარაღების დაყენება, სავარაუდოდ, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე დაიწყება, რაკეტის პირველი ჩამოგდება კი 2008 წლისთვის არის დაგეგმილი.

# უკრაინული თვითმფრინავები ბელორუსიის შეიარაღებაში



დეკემბერში დასრულდა უკრაინის ტერიტორიიდან L-39-ების გადაფრენა. ისინი ბელორუსიის სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აეროდრომებზე განლაგდებიან. როგორც ბელორუსიის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, თავდაცვის მინისტრს, ლეონიდ მალცევს უკრაინის ქალაქ ჩუგუევში გადასცეს 10 სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი, რომლებიც ბელორუსი მფრინავების მოსამზადებლად არის განკუთვნილი. სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავები L-39-ები, ადრე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, ჩუგუევის ავიასარემონტო ქარხანასა და საავიაციო-სარემონტო საწარმო „ოდესაავიასერვისში“ გარემონტდა.

ორადგილიანი სასწავლო-საწვრთნელი ორკონტურიანი ტურბორეაქტიული ძრავის მქონე თვითმფრინავი L-39 განკუთვნილია კურსანტებისა და საზაფხულო შემადგენლობისთვის დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ჩვეულებრივ და რთულ მეტეოპირობებში პილოტირების ტექნიკისა და საბრძოლო გამოყენების ელემენტების (რაც დაკავშირებულია საჰაერო სამიზნეების ვიზუალურ დაფიქსირებასთან, ასევე მიწისზედა მოქმედებებთან) შესასწავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუდის არაბეთი ბრიტანეთში 17 მლრდ დოლარის ღირებულების გამანადგურებლებს იყიდის



საუდის არაბეთი დიდი ბრიტანეთისაგან გამანადგურებლების, Typhoon-ების ყიდვას აპირებს, რათა შეცვალოს Tornado-ების მოძველებული პარკი. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მოლაპარაკებების შემდეგ დაიწყო კონტრაქტის მზადება, თუმცა გარიგების დეტალები არ ხმაურდება. ზოგიერთი მონაცემით, საუდის არაბეთი 48 საბრძოლო თვითმფრინავს შეიძენს. ამასთან, კონტრაქტი ითვალისწინებს პარტიის 72 ერთეულამდე გაზრდასაც. ბრიტანელი სამხედრო ექსპერტების თქმით, თუ ერთი თვითმფრინავის ღირებულებასა და დამატებით ოპციებს (მომსახურება, პერსონალის მომზადება, სათადარიგო ნაწილებისა და შეიარაღების მიწოდება) გავითვალისწინებთ, კონტრაქტის საერთო ფასმა შეიძლება 10 მლრდ გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 17 მლრდ დოლარი) შეადგინოს. ერთი „ტაიფუნის" ღირებულება დაახლოებით 65 მლნ გირვანქა სტერლინგია (113 მლნ დოლარი). გამანადგურებელს საერთაშორისო კონსორციუმი აწარმოებს, რომელშიც შედიან კომპნიები BAE, EADS და Finmeccanica.



# ჩეჩნეთში ახალი დაჯგუფება იქმნება

„ჩეჩნეთში შინაგანი ჯარების ორი სპეციალური ბატალიონი შეიქმნება. მასში იმსახურებენ რესპუბლიკის ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები", – განაცხადა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარსარდალმა ნიკოლაი როგოჟკინმა. „ამჟამად ვმუშაობთ სპეციალურ ბატალიონებში მომსახურეთა მიზიდვაზე. ბატალიონების (სახელწოდებით „სევერი" და იუგი") მუდმივი სადისლოკაციო ადგილი გროზნოსა და ვედენოს რაიონები იქნება", – განაცხადა როგოჟკინმა. ამასთან დასძინა, რომ ქვედანაყოფები შინაგანი ჯარების შემადგენლობაში იქნებიან, რომლებიც ამჟამად ჩეჩნეთში იმყოფებიან.

# აშშ-ის სენატმა დადებითად შეაფასა 2006 წლის თავდაცვის ასიგნებები

აშშ-ის სენატმა დადებითად შეაფასა კანონპროექტი, რომელიც 2006 წლისთვის აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს თავდაცვითი საჭიროებისა და შეიარაღების 441, 5 მლრდ დოლარის ოდენობით დაფინანსებას ითვალისწინებს.

დოკუმენტის თანახმად, სპეცსამსახურებსა და შეიარაღებულ ძალებს ეკრძალებათ ტერორიზმთან ბრძოლისას დაკავებულ პირთა ღირსების შემლახავი სისასტიკე და არაადამიანური მოპყრობა.

კანონპროექტი ასევე უფლებას იძლევა, რომ პენტაგონს გამოეყოს 76,9 მლრდ დოლარი შეიარაღებისა და ტექნიკის შესასყიდად, 70 მლრდ დოლარი კი დაიხარჯება ახალი შეიარაღების კვლევასა და შემუშავებაზე. გათვალისწინებულია ასევე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პოტენციალის განვითარება, რასაც 7,8 მლრდ დოლარი მოხმარდება. კოსმოსურ სარადარო პროგრამაზე სახელმწიფომ 100 მლნ დოლარი გამოყო.

დოკუმენტში გათვალისწინებულია აშშ-ის სახმელეთო ძალების რიცხოვნობის გაზრდა 10 ათასი სამხედრო მოსამსახურით, საზღვაო ქვეითების რაოდენობა კი 1000 სამხედრო მოსამსახურით მოიმატებს. ამასთან, თავდაცვის მინისტრის შეხედულებისამებრ 2009 წლამდე სახმელეთო ჯარების რიცხოვნობა კიდევ 20 ათასით გაიზრდება, საზღვაო ქვეითებისა კი კიდევ 5 ათასი სამხედრო მოსამსახურით. გაიზარდა ასევე ასაკობრივი ცენზიც – 35-დან 42 წლამდე.



კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ დოკუმენტი ქვეყნის პრეზიდენტს გადაეგზავნება ხელმოსაწერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული არმია 2005

## სამხედრო ბიუჯეტი ათჯერ გაიზარდა, არმიის ბრძოლისუნარიანობა?..



ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის მეორე წლის ბოლოს სამხედრო ბიუჯეტმა 392,5 მლნ ლარს (2006 წლის სამხედრო ბიუჯეტი) მიაღწია. ამხელა სამხედრო ბიუჯეტი ადასტურებს ხელისუფლების თითქმის ყოველდღიურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

წესით, სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანმა გაზრდამ არმიის ბრძოლისუნარიანობაც უნდა გაზარდოს, ათჯერ თუ არა, 3-4-ჯერ მაინც. თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა, რისი დამამტკიცებელი ფაქტებიც გასულ 2005 წელს მართლაც საკმაოდ იყო.

თავდაპირველად ვისაუბროთ იმ პოზიტიურ ძვრებზე, რაც მოხდა გასულ წელს შეიარაღებულ ძალებში.

„არსენალის" აზრით, სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის გარდა, ერთ-ერთი ყველაზე მისასალმებელი მოვლენა სენაკში ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის ადგილის აღდგენა იყო.

1998 წელს, გალის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, სენაკში განთავსებულ მოტომსროლელ ბრიგადაში სამხედრო აჯანყება მოხდა — აკაკი ელიავას მეთაურობით, რამდენიმე ოფიცერმა სენაკიდან ტანკები და ჯავშანმანქანები ქუთაისის მიმართულებით დაძრა.

საბედნიეროდ, სამხედრო აჯანყების მცდელობა სწრაფად აღკვეთეს (ოღონდ ეს ავანტიურა უმსხვერპლოდ არ დამთავრებულა), მაგრამ მას ირიბი შედეგები მოჰყვა — შევარდნაძის ხელისუფლებამ სრულიად დაშალა სენაკის მოტომსროლელი ბრიგადა. არადა, აფხაზეთის კონფლიქტის ზონასთან ყველაზე ახლოს მდგომ ქართული არმიის შედარებით მნიშვნელოვან შენაერთს სწორედ სენაკის მოტომსროლელი ბრიგადა წარმოადგენდა, რადგან კონფლიქტის ზონასთან უფრო ახლოს (მდ. ენგურიდან 24 კმ-ში) შეიარაღებული ძალების დანაყოფის განთავსების უფლება არა გვაქვს.

სენაკში ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის ადგილის აღდგენა ქართულ არმიას საშუალებას აძლევს, რომ საჭიროების შემთხვევაში უფრო ოპერატიულად იმოქმედოს, ვიდრე ეს ქუთაისიდან, გორიდან და, მით უმეტეს, თბილისიდანაა შესაძლებელი.

გასულ წელს გამალებული ტემპით მიმდინარეობდა საბრძოლო ტექნიკის შესყიდვა საზღვარგარეთის ქვეყნებში. უკრაინაში ვიყიდეთ სამი საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24, 16 ცალი Т-72АВ ტიპის ტანკი დინამიკური დაცვის კომპლექტებითა და გამნაღმველი ტრალებით, 12 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 152 მმ-კალიბრიანი 2С3 Акация, 40 ერთეული ქვეითი საბრძოლო მანქანა БМП-2, ათი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, 7 ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი, ჯავშანტექნიკის გადამტანი მისაბმელიანი МАЗ-ები; უზბეკეთიდან ჩამოვიტანეთ ერთი Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი, ხოლო ჩეხეთში შევიძინეთ 50-



ორფოლოს პოლიგონზე არტილერისტებმაც „გაინავარდეს" და...

მდე T-72M ტიპის ტანკი...

შეძენილი საბრძოლო ტექნიკისა და საჭურველის ეს სია არასრულია. მასში არ შესულა იმ დასახელების ტექნიკა და შეიარაღება, რომლებიც ჯერ ტელეკამერების წინ არ გამოჩენილა. ზემოთ ჩამოთვლილი საბრძოლო ტექნიკის ეგზემპლარები კი ხშირად უნახავთ, როგორც 26 მაისის სამხედრო აღლუმზე, ასევე ორფოლოს პოლიგონზე გამართულ წვრთნებში, ამიტომაც სამხედრო საიდუმლოების გამხელას ვერავინ დაგვაბრალებს.

ერთი შეხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი საბრძოლო ტექნიკის შეძენა აბსოლუტურად გამართლებული ჩანს (განსაკუთრებით კი ტანკებისა და ჯავშანმანქანების გადამტანი მისაბმელიანი „მაზ“-ებისა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ „ხანდაზმულები“ არიან).

ეს საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში გადავისროლოთ ჯავშანსატანკო ბატალიონი, ვთქვათ, ვაზიანიდან ცხინვალის მისადგომებამდე. მისაბმელიანი მანქანებით ეს უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ვაზიანში ჯერ სარკინიგზო ეშელონზე მათი დატვირთვა, მერე კი გორის ვაგზალზე გადმოტვირთვა, რის შემდეგ ტანკებს კიდევ სამ ათეულამდე კილომეტრი ექნებათ გასავლელი.

არის საკამათო საკითხებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩეხეთში ნაყიდი დინამიკური დაცვის კომპლექტის არმქონე და დაბალხარისხიანი ჯავშნიანი ჩეხოსლოვაკიური წარმოების T-72M-ები. „არსენალის“ წინა ნომერში ამ თემას დიდი სტატია მივუძღვენით და აღარ ვაპირებთ მის განვრცობას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ტანკების შეძენა დიდი დანაშაულია და ცოტა ხანში პასუხი ბევრს მოეთხოვება.


უზბეკეთში ერთი Ми-24 შევიძინეთ, უკრაინაში — სამი

40 გაფუჭებული БМП-2-ის სკანდალზე იმდენი რამე დაიწერა როგორც ჟურნალ „არსენალში“, ისე გაზეთ „კვირის პალიტრაში“, რომ რაიმე ახლის დამატება ძნელია. ერთი ეგაა, რომ ვითომდა გაფუჭებული ტექნიკის წინასწარგანზრახვით შეძენაში ეჭვმიტანილ სამ ქართველ მაღალჩინოსან სამხედროს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა კიდევ ერთი თვით გაუგრძელეს. ამასთან, ქართული მხარე ყოველმხრივ აფერხებს უკრაინიდან „უკრსპეცექსპორტის“ ექსპერტების ჩამოსვლას, რათა მათ სპეციალური სადიაგნოსტიკო აპარატურით ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიონ – БМП-ები უკრაინაშივე იყო გაფუჭებული თუ ქართულ არმიაში არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გააფუჭეს.

2005 წელმა ქართულ არმიას იმითაც დაამახსოვრა თავი, რომ ორი „მასშტაბური“ მუშტი-კრივი მოხდა ყაზარმებში. ჯერ გორის მე-3 ქვეით ბრიგადაში, შემდეგ კი თბილისის მე-4 ბრიგადაში. თითოეულში 500-700 სამხედრო მაინც მონაწილეობდა. ჩხუბის მიზეზი ორივე შემთხვევაში ჯარისკაცების დაჯგუფებებს შორის ურთიერთობის გარკვევა იყო. მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობა ყველანაირად ეცადა დაემალა ეს საგანგაშო ფაქტები და მათი გამოძიება სამხედრო პოლიციას ნორმალურად არც კი დაუწყია.

მთელი წლის განმავლობაში სრულდებოდა ძალიან საეჭვო და საკამათო გადაწყვეტილებები, რომელთაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად იღებდა. ეს ეხება კადეტთა კორპუსის გაუქმებას, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩატარებულ ე. წ. რეფორმებს, თავდაცვის სამინისტროს შენობის გადატანას სხვა ადგილას, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, აგრეთვე, ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის თბილისიდან გორში გადატანას. ესეც მნიშვნელოვან და გაუმართლებელ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, თუნდაც იმიტომ, რომ ვაზიანისა და თბილისის გარნიზონებში სამი ბრიგადა (მათ შორის ორი ქვეითი და ერთი საარტილერიო), ცალკეული ნაწილები და თავად თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი რჩება. ეს კი საქართველოს შეიარაღებული ძალების თითქმის ნახევარია და მათი თბილისიდან გორში ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში სიარული აბსოლუტურად გაუმართლებელია. ამასთან, არც ერთი ნორმალური სამხედრო ხელმძღვანელი ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალს შესაძლო საბრძოლო მოქმედებების თეატრთან ისე ახლოს არ გადაიტანს, რომ მას მოწინააღმდეგის შორსმსროლელი არტილერია მისწვდეს.

2005 წელი ქართული არმიის გაძლიერების საქმეში გადამწყვეტი წელიწადი ვერ გახდა. პირიქით, ნათელი შეიქნა, რომ გაზრდილი ბიუჯეტი სულაც არ ნიშნავს ავტომატურად ჯარის გაძლიერებასაც. თუკი ეს თანხები მიზნობრივად და პროფესიული მიდგომით არ დაიხარჯა, მაშინ უკუშედეგს მივიღებთ – საზოგადოება, რომელსაც მნიშვნელოვანი თანხები აკლდება სამხედრო ბიუჯეტის გაზრდით (განსაკუთრებით ეს ეხება ჯანმრთელობის დაცვის, საპენსიო და განათლების სფეროებს), მძაფრ პროტესტს გამოხატავს სამხედრო მიზნებისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად დახარჯვის გამო.

*ირაკლი ალადაშვილი*


...ტანკისტებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეზობელი ქვეყნების რაკეტები საშიშროებას უქმნის საქართველოს

***გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას.***

საქართველოს აქვს დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები. ერთ-ერთ საფრთხედ მეზობელი ქვეყნებიდან კონფლიქტების გადმოდინება განიხილება. ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიაზე, კერძოდ, ჩეჩნეთზეა გამახვილებული.

იმ საფრთხეებზე, რომელიც საქართველოს სამხრეთით მდებარე მეზობელი ქვეყნებიდან შეიძლება შეექმნას, დოკუმენტში რატომღაც არაფერია ნათქვამი. ეს ქვეყნები უშუალოდ საქართველოს არ ემუქრებიან, მაგრამ მათ შორის არსებული პრობლემები და შეტევითი პოტენციალის გაზრდა, განსაკუთრებით სხვადასხვა სიშორის ბალისტიკური რაკეტებით, კონფლიქტების განახლებას არ გამორიცხავს.

სარაკეტო დარტყმებით მიმდინარე კონფლიქტი მეზობელი ქვეყნებისათვის რისკის დიდ ფაქტორს შეიცავს. ტექნიკური გაუმართაობა, არასრულყოფილი კონსტრუქცია ან ანტირაკეტის ზემოქმედება შეიძლება ტრაექტორიიდან გადახრის, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეფრენისა და ჩამოვარდნის მიზეზი გახდეს. საქართველოს არ გააჩნია მეზობელ ქვეყნებში რაკეტების გაშვება-ფრენის კონტროლის საშუალებები და შესაძლო საშიშროებაზე დროული რეაგირების მოხდენაც შეუძლებელია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია პატარა და მჭიდროდ დასახლებულია, ამიტომ თითოეულ ასეთ შემთხვევას შესაძლებელია მძიმე შედეგები მოჰყვეს.



რაკეტები საჰაერო თავდასხმის იაფი და ეფექტიანი საშუალებაა. მისი სამიზნე შეიძლება გახდეს სახელმწიფო და სამხედრო მართვის ცენტრები, სამხედრო-სამრეწველო, ბირთვული და ენერგეტიკული ობიექტები, საჰაერო და საზღვაო პორტები, ჯარების თავმოყრის რაიონები და ა.შ. რაკეტების შესაძლებლობათა პრაქტიკულმა გამოვლენამ არაბეთ-ისრაელისა და ირანერაყის ომებში, სპარსეთის ყურეში, ავღანეთში, იემენში შეიარაღების ამ სახეობის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელების რეჟიმზე საერთაშორისო შეზღუდვები მოქმედებს, უახლეს მომავალში ე. წ. მესამე სამყაროს 20 ქვეყანაზე მეტს შეიარაღებაში სხვადასხვა სიშორეზე მფრინავი ბალისტიკური რაკეტები ექნება. მათ რიცხვშია საქართველოს მეზობელი ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოები.

ჩვენი ყველა სამხრეთელი მეზობელი რაკეტებით არის აღჭურვილი. არსენალში საბჭოთა, ჩრდილოეთ კორეისა და ჩინური წარმოების მოძველებულ სარაკეტო კომპლექსებთან ერთად ბოლო დროს ეროვნული წარმოების რაკეტებიც გამოჩნდა. გამოკვეთილია სარაკეტო შეიარაღების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის პროცესი. პარალელურად მუშაობა მიმდინარეობს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე, რაც რაკეტის შესაძლებლობებს მომავალში კიდევ უფრო გაზრდის.

მეზობელი ქვეყნებიდან „მიწა-მიწა“ კლასის სხვადასხვა რადიუსზე მოქმედი რაკეტები აქვთ თურქეთს, სომხეთს, ირანს, ისრაელსა და სირიას. რეგიონის გეოგრაფიული თავისებურებებისა და მასში შემავალი ქვეყნების საზღვართა მოხაზულობის გათვალისწინებით, ზოგიერთი საშუალო რადიუსისა (ფრენის სიშორით 1000-დან 5500 კმ-მდე) და ცალკეულ შემთხვევაში ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები (ფრენის სიშორით 100-დან 1000 კმ-მდე) სტრატეგიულ იარაღადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

საფრთხეს ქმნის სომხეთის არმიის P-17 „სკადის“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები. არსებული ინფორმაციით, მოსკოვმა ერთი სარაკეტო ბრიგადა სრული შეიარაღებით, – 8 გამშვები დანადგარი და 24 რაკეტა სომხეთს 1992 წლის დამლევს გადასცა.

„სკადი“ მაღალი გამავლობის ავტომობილებზე დაყენებული, მობილური კომპლექსია, მოძრაობს დაუსახლებელ ადგილებში და სასტარტო პოზიციებს რეგულარულად იცვლის. არის მონაცემები, რომ რაკეტები მთიან ყარაბაღშია გადამალული. ერევანი რაკეტების ქონას ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ ეჭვის საფუძველს ბაქოს მისამართით გაკეთებული თვითდაჯერებული განცხადებები იძლევა.

ყარაბაღის ომის დროს 1992 წლის დეკემბერში სომხეთის არმიის გენშტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ტერ-გრიგორიანი ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანელები ყარაბაღელთა პოზიციებს საჰაერო თავდაცვის სისტემა C-200-ის საზენიტო რაკეტებს ესროდნენ. სომეხი გენერალი ირწმუნებოდა, რომ სომხეთს საკადრისი პა-



სუხის გაცემა შეეძლო, მაგრამ თავს იკავებდა.

მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემა, სომხეთ-აზერბაიჯანის რთული ურთიერთობები, სასაზღვრო ინციდენტები ომის განახლების საშიშროებას არ გამორიცხავს. სომხეთის მხრიდან „სკადების“ გამოყენების შემთხვევაში რაკეტების სამოქმედო ზონაში აღმოჩნდება აზერბაიჯანელთა ნავთობსადენები, გაზსადენები, სხვა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, რომლის ნგრევას მძიმე ეკოლოგიური შედეგები მოჰყვება.

„სკადი“ მოძველებული კომპლექსია, რომელიც საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1962 წლიდან არის. სიზუსტით არ გამოირჩევა. სამიზნიდან მაქსიმალური გადახრა 3000 მეტრს შეადგენს, დაფრინავს 300 კილომეტრზე და 750-კილოგრამიან ფუგასს ატარებს. ჩამოვარდნის ადგილზე 1,5-4 მეტრი სიღრმისა და 6 მეტრი რადიუსის ორმოს ტოვებს. „სკადი“ ბევრად საშიშია სამოქალაქო მოსახლეობისათვის, ვიდრე სამხედროებისათვის.

1998 წლიდან თურქეთის არმიას ATACMS ტიპის 120 რაკეტა აქვს შეიარაღებაში. ანკარას განცხადებით, რაკეტები მას სირიისა და ირანის სარაკეტო დარტყმების შესაკავებლად ესაჭიროება. რაკეტა 160 კმ-ზე დაფრინავს და 450 კგ-იანი საბრძოლო ნაწილით არის აღჭურვილი. მოდერნიზაციის შემდეგ ფრენის სიშორე 190-დან 300 კმ-მდე მატულობს, მაგრამ საბრძოლო ნაწილის წონა 160 კგ-მდე მცირდება.

ამჟამად ირანს ახლო და შუა აღმოსავლეთში სარაკეტო შეიარაღების ყველაზე დიდი არსენალი აქვს. ეს არის ჩინურ ავტოგამწევებზე დაყენებული „სკადების“ გასაშვები 40-მდე დანადგარი. თეირანი „სკადებს“ ჯერ კიდევ ერაყთან ომის დროს ჩრდილოეთ კორეაში 5 მლნ დოლარად ყიდულობდა. შემდგომში ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის დახმარებით საკუთარი კონსტრუქციის რაკეტები შექმნა. ირანული წარმოების რაკეტებიდან ყველაზე შორს „შაჰიბ-3“ დაფრინავს. ის პირველად 1998 წელს გამოსცადეს. მიმდინარე წლის სექტემბერში თეირანმა აღლუმზე 6 „შაჰიბ-3“ გამოიყვანა. სპეციალისტთა შეფასებით, ამჟამად ირანი წელიწადში 20 რაკეტას აწყობს.

„შაჰიბ-3“-ს 2000 კმ-მდე ფრენა შეუძლია და 1000 კგ-იანი საბრძოლო ნაწილი აქვს. მისი მოქმედების ზონაში ხვდებიან ისრაელი, თურქეთი, საუდის არაბეთი, კავკასიის ქვეყნები, რუსეთის ჩრდილოკავკასიური რეგიონი, ასევე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში განლაგებული ამერიკული სამხედრო ობიექტები.

ასეთ ობიექტთა რიცხვში შეიძლება მოხვდეს მარნეულის აეროდრომიც, რომელიც უახლოეს მომავალში მსხვილი სამხედრო-სატრანსპორტო კვანძი გახდება. თეირანის სარაკეტო პროგრამისადმი ინტერესით ხომ არ არის გამოწვეული ის, რომ ამერიკელები აზერბაიჯანში ორი რადიოლოკაციური სადგურიდან ერთ-ერთს ირანის საზღვრის სიახლოვეს აშენებენ?

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ირანს საბჭოთა წარმოების უკრაინაში ნაყიდი SS-4 „სანდალის“ ტიპის 8 რაკეტა აქვს. „სანდალი“ 2000 კმ-ზე დაფრინავს და 1,4 ტონის საბრძოლო ნაწილს ატარებს.

ირანული რაკეტების მთავარი სამიზნე ისრაელია. 2005 წლის 27 ოქტომბერს ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადი-ნეჯადმა გაიხსენა იმამ ჰომეინის სიტყვები: „ისრაელი რუკიდან უნდა წაიშალოს“, რასაც დასავლეთის ქვეყნების მწვავე რეაქცია მოჰყვა, ისრაელისათვის კი ერთგვარი გაფრთხილება იყო.

ირანსა და ისრაელს საერთო საზღვრები არ აქვთ და მათ ერთმანეთისგან 850-900 კილომეტრი აშორებთ. ასეთ პირობებში კონფლიქტი შეიძლება მხოლოდ სარაკეტო თავდასხმებითა და ავიაციის გამოყენებით განვითარდეს.

საპასუხო დარტყმებისათვის ისრაელს „იერიჰონ-1“ და „იერიჰონ-2“ ტიპის რაკეტები აქვს. ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების „იერიჰონ-1“ 500 კმ-ზე დაფრინავს და 500კგ-იან ქობინს ატარებს. საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტა „იერიჰონ-2“-ის ფრენის სიშორე 1500 კმ-ს შეადგენს და 1000 კგ-იან საბრძოლო ნაწილს ბირთვული ქობინის ტარება შეუძლია.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია ისრაელის საზღვაო სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე. გერმანიაში აგებული „დელფინის“ კლასის 3 წყალქვეშა ნავი „ჰარპუნის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტებით არის აღჭურვილი.

ისრაელს საკუთარი წარმოების ფრთოსანი რაკეტებიც აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, მან 2000 წლის მაისში შრი-ლანკის სანაპიროსთან საიდუმლოდ გამოსცადა ეს რაკეტა. წყალქვეშა ნავიდან გაშვებულმა რაკეტამ 1500 კმ-ზე იფრინა (მას ბირთვული მუხტის ტარებაც შეუძლია). ახლახან ცნობილი გახდა, რომ ისრაელმა „დელფინის“ კლასის კიდევ 2 სუბმარინა შეიძინა.

ისრაელმა რაკეტული დარტყმების მწარე გაკვეთილები 1991 წელს, სპარსეთის ყურეში ომის დროს მიიღო. ისრაელი ერაყიდან 350-400 კილომეტრით არის დაშორებული და ომში საერთოდ არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, ერაყმა რამდენიმე ათეული რაკეტა მაინც ესროლა. 38-დან 42-მდე „სკადი“ თელ-ავივსა და ქვეყნის სხვა რაიონებში ჩამოვარდა. დაბომბვას 2 მოქალაქე ემსხვერპლა და 200-ზე მეტი დაიჭრა. ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც არ ჩაუვლია უკვალოდ – გულის შეტევას 4 კაცი გადაჰყვა. მრავალი შენობა დაინგრა. ზარალმა 250 მლნ დოლარი შეადგინა.

მეზობელი ქვეყნების რაკეტული მუქარისაგან თავდასაცავად ისრაელმა ეფექტიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა შექმნა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიას თითქმის მთლიანად ფარავს.

სირიის არმიის შეიარაღებაშია ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები „SKAD-B“, ფრენის სიშორით 300 კმ და მისი მოდერნიზებული ვერსია „SKAD-C“, რომელიც უკვე 600-650 კმ-ზე დაფრინავს. ფრენის სიშორის გაზრდა ტექნიკური პარამეტრების გაუარესების ხარჯზე მოხდა. 2000 წელს სირიამ გამოცდის შემდეგ „SKAD-C“ შეიარაღებაში მიიღო.

სარაკეტო შეიარაღების გასაუმჯობესებლად სირია თანამშრომლობს ირანთან და ჩრდილოეთ კორეასთან, აგრეთვე ჩინეთისა და რუსეთის სხვადასხვა ფირმასთან. ცოტა ხნის წინ რუსეთი სირიას სთავაზობდა უახლესს სარაკეტო კომპლექსს, „ისკანდერს“, რომელსაც 280 კმ-ზე ფრენა და 480 კგ-იანი ქობინის ტარება შეუძლია. ისრაელის პროტესტის შემდეგ ეს გარიგება არ შედგა.

## სარაკეტო ინციდენტები:

1998 წლის დეკემბერში ერაყის წინააღმდეგ ამერიკელების მიერ გაშვებული ფრთოსანი რაკეტა „თომოჰოუკი“ ირანში, ქალაქ ჰორემშეხრის ცენტრში, საცხოვრებელი სახლებიდან 200 მეტრში ჩამოვარდა. საბედნიეროდ, მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა.

1999 წლის 1-ელ ოქტომბერს რუსული „სკადი“ კავკასიონზე გადმოფრინდა და აზერბაიჯანში, ზაქათალის რაიონის სოფელ გამირის მახლობლად უდაბურ ადგილზე აფეთქდა.

1999 წლის 29 აპრილს უკრაინაში, გონჩაროვსკის პოლიგონიდან გაშვებული სასწავლო რაკეტა „ტოჩკა“ კურსიდან გადაიხარა, ცხრასართულიან საცხოვრებელ სახლს დაეცა და დაანგრია. დაიღუპა 3 და დაიჭრა 5 კაცი. რაკეტა საბრძოლო რომ ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

2000 წლის 26 აპრილს შავ ზღვაში ხერსონიდან გაშვებული სასწავლო ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა უკრაინულ სატვირთო გემ „პავლე ვერეშჩაგინს“ ზედნაშენში მოხვდა და შტურმანი დაჭრა.

2001 წლის 13 ოქტომბერს უკრაინელმა რაკეტა C-200-მა შავ ზღვაზე თელ-ავივიდან ნოვოსიბირსკისაკენ მფრინავი რუსული სამგზავრო თვითმფრინავი Ту-154 ჩამოაგდო. დაიღუპა 66 მგზავრი და ეკიპაჟის 12 წევრი.

*თემურ ჩაჩანიძე*

# ორფრონტიანი სამხედრო კამპანიის სცენარი

*გვინდა წინასწარ გითხრათ, რომ ქვემოთ მოცემული, რუსულ გაზეთ „ნეზავისიმოე ვოენნოე ობოზრენია-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომელშიც მისი ავტორი, რუსეთის სამხედრო პროგნოზირების ე.წ. დამოუკიდებელი ცენტრის ხელმძღვანელის პოლკოვნიკ ციგანოვის აზრებს გადმოგვცემს, მტკნარი დემაგოგიაა. იგი შოვინისტურად განწყობილი რუსი მოქალაქეების აღსაშფოთებლად და აფხაზ და ოს სეპარატისტთა ასაფორიაქებლადაა განკუთვნილი. პოლკოვნიკი ციგანოვი ეტყობა სოციალიზმის დროინდელი, აგიტატორ-პროპაგანდისტია, რომელიც ადრე წარმატებით „ამათრახებდა“ მათ, ვის კრიტიკასაც მიზნად დაუსახავდნენ და აშშ-ს, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, ისრაელის მილიტარიზაციაზე ითბობდა ხელს. თავის დროზე მათ რომ ვერაფერი დააკლო, ახლა „დაბალი ღობე“ მოძებნა საქართველოს სახით და მთელ ჯავრს ჩვენზე იყრის.*

*საინფორმაციო ომს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ეწევა და არავითარ უკადრებელს არ თაკილობს. სწორედ მათი პროპაგანდის ბრალია ქართველ-ოსთა და ქართველ-აფხაზთა შორის გაჩაღებული შუღლი. დღეისთვის ბევრი კონფლიქტის სათავეს ნათელი მოეფინა და მკვეთრად გამოჩნდა რუსული სცენარების კვალი. ამ სტატიაშიც ავტორი საკუთარ სასურველ სცენარსაც ქართულად ასაღებს და ცდილობს ანკესზე წამოაგოს გულუბრყვილო მკითხველი. პროგნოზირების ცენტრის დირექტორის არაპროფესიონალიზმზე ისიც მიუთითებს, რომ იგი გასაანალიზებელ მასალასაც არ იცნობს კარგად: გალისა და გორის რაიონები ერთმანეთში ერევა, ბატალიონებისა სამხედრო შენაერთების გამოგონილი დისლოკაციის ადგილებითა და არარსებული ნუმერაციით აპელირებს. თანაც ცდილობს, მკითხველი მოატყუოს და რუსეთის პოზიცია ამ სეპარატისტულ კონფლიქტში და „მომავალ ბლიცკრიგში“ ნეიტრალურად წარმოადგინოს.*

*რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა ზემოხსენებული პუბლიკაციის თარგმანის დაბეჭდვა, რადგან „არსენალის“ მკითხველიცა და ზოგიერთი არშემდგარი რესპოდენტიც კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ ომში მხოლოდ ტანკები და ფიშტოები კი არა, კალამიც სერიოზული იარაღია...*

НЕЗАВИСИМОЕ
ВОЕННОЕ ОБОЗРЕНИЕ

*სამხედრო მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესაძლებელია ჰუმანიტარული ოპერაციების სახით დაიწყოს.*

*თბილისში, ფაქტობრივად, ღიად ლაპარაკობენ, რომ უკვე მზად არის სცენარი, რომლის მიხედვითაც „სეპარატული ტერიტორიების“ – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება მოხდება. საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვები, რომელშიც მკვეთრად არის მითითებული, თუ რა დრო დასჭირდება დამუშავებული გეგმების განხორციელებას, დაახლოებით ხუთი წელი. ამ დროისთვის, – ამბობს ოქრუაშვილი – საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი ისეთ დონეზე იქნება გაზრდილი, რომ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების საშუალებას მოგვცემს.*

## გამალებული შეიარაღება

მეორე მხრივ, საქართველოს შეუძლია დაუმორჩილებელი ავტონომიების „გაცილებით ადრე“ მორჯულება. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გენერლები მაშინაც კი, როცა 2004 წელს „აჭარული“ ვარიანტი ჩაფლავდა სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში (შეგახსენებთ, თბილისის ხელისუფლების აღდგენა აჭარაში რამდენიმე დღეში გახდა შესაძლებელი) ამ ვარიანტის გამოყენებას ისევ ცდილობენ. როგორც ერთმა ანალიტიკოსმა განაცხადა „სააკაშვილს კვლავ „ბლიცკრიგის“ (ელვისებური ომი) გეგმას სთავაზობენ, რომლის მიხედვითაც იმედოვნებენ, რომ სოხუმიც და ცხინვალიც ისე სწრაფად დაეცემა, როგორც თავის დროზე ბათუმი დაეცა.

ამასთან ერთად, საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი უკვე დღეისთვისაც უპრეცედენტოა. წელს მან ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც ჯამში შევარდნაძის მმართველობის დროინდელ 1993-2003 წ. 10 წლის სამხედრო ბიუჯეტზე მეტია. 2006 წელს კი, თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად გამოიყოფა 392,5 მილიონი ლარი, ანუ 218 მილიონ დოლარზე მეტი (13 მილიონი დოლარით მეტი, ვიდრე 2005 წელს) ეს თანხა სახელმწიფოს მთლიანი დანახარჯების 21,4 პროცენტს შეადგენს.

საქართველო გამალებით იარაღდება, არნახული ტემპებით მიმდინარეობს საბრძოლო ტექნიკისა და სხვა შეიარაღების შესყიდვა. ყიდულობენ ყველაფერს – გემებს, კატარღებს, თვითმფრინავებს და ვერტმფრენებს, ჯავშანტექნიკასა და საარტილერიო სისტემებს, სამხედრო შეკვეთები იგზავნება ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან, ლიტვიდან, მაკედონიიდან, რუმინეთიდან, აშშ-დან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან, ჩეხეთიდან... „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად“ გადაწყვეტილი აქვთ 4,5 მილიონიანი ქვეყნის, ყველა ზრდასრული მამაკაცის ჯარში გაწვევა.

როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თუკი თბილისი თავის ჯარებს მათ წინააღმდეგ დაძრავს? თავის ვარაუდს ამის შესახებ გამოთქვამს შეიარაღებული კონფლიქტების სპეციალისტი, სამხედრო პროგნოზირების დამოუკიდებელი ცენტრის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ანატოლი ციგანოვი, რომელიც ამა წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა.

## ბლიცკრიგის ვარიანტები

სამხრეთ ოსეთში ორი სცენარის განხორციელებაა შესაძლებელი. პირველის თანახმად, საქართველოს საგანგებო დანიშნულების ცალკე ბატალიონი გადაკეტავს გზას სოფელ ჯავასა და როკის უღელტეხილს შორის, სადაც დასახლებული პუნქტები არ არის (სამხედრო ძალის გადასროლა შვეულმფრენებით მოხდება). ამასთან ერთად სპეცრაზმელების ნაწილი როკის გვირაბთან რუსი მესაზღვრეების ბლოკირებას შეეცდება. გარდა ამისა, ქართველები ალბათ ჯავის რაიონში გზატკეცილზე კონტროლის დაწესებასაც შეეცდებიან, ამ ამოცანას ალბათ მე-16 მოტომსროლელ ბატალიონის მებრძოლებს დაუსახავენ მიზნად. ამავდროულად სამთომსროლელი ბატალიონს შეუძლია დაიკავოს გზა კეხლიდან (სტილი დაცულია. რედ.) (ჯავასა და თამარაშენამდე) ამგვარად, ციგანოვის აზრით, ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომლის გავლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსეთიდან მარაგდება ცხინვალი, ქართველების კონტროლს დაექვემდებარება. ამ ადგილების მოწინააღმდეგის ძალებისგან გასაწმენდად, რუსეთს მნიშვნელოვანი ძალებისა და სახსრების მობილიზება დასჭირდება.

რაც შეეხება თავად სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს ცხინვალს, მის სიახლოვეს ორი ასაქცევი გზა არსებობს: აღმოსავლეთისა და დასავლეთის. მათ ხელში ჩასაგდებად, სავარაუდოდ, გამოიყენებენ მე-9 ქართულ სპეცბატალიონს, რომელიც კასპთანაა განლაგებული. ბრძოლებში ავიაციის მხარდაჭერაც გახდება საჭირო: ექსპერტის აზრით, უშუალოდ გორში ასაფრენად მზად არის ოთხი შვეულმფრენი Ми-8МТ და ორი Ми-24: სახმელეთო ჯარები, რომელთა ცხინვალისკენ დაძვრა გამორიცხული არ არის, შესაძლებელია შედგებოდეს ქართული არმიის მე-6, მე-11 და 21-ე მექანიზებული ბრიგადებისგან. ბრძოლაში ტანკებიც ჩაებმებიან (ზუსტად ის ტანკები, რომელთა მეშვეობითაც სააკაშვილს 2004 წელს ცხინვალის სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი, ახლა გორში დგანან) სახმელეთო ჯარების მოქმედებას ალბათ ზურგს გაუმაგრებს, პირველი საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა.

ქართულმა სახმელეთო ჯარებმა, მოსალოდნელია ცხინვალს არა პირდაპირ, არამედ ორი მხრიდან შეუტიონ, რათა ალყაში მოაქციონ და წარმატებას მიაღწიონ. როგორც საქართველოში ფიქრობენ, მას შემდეგ, როცა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს ალყას შემოარტყამენ, სეპარატისტული ხელისუფლება პარალიზიებული აღმოჩნდება და პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძის მსგავსად მოსკოვში გაიქცევა. პრეზიდენტი სააკაშვილი კი, ცხინვალში მშვიდად ჩაატარებს საკუთარი ჯარების აღლუმს.

აღსანიშნავია, რომ ნოემბრის ბოლოს ქართული ჯარების მესვეურებმა გამოაცხადეს, მთავარი სამხედრო ჰოსპიტლის თბილისიდან გორში გადატანის თაობაზე, ე.ი. ჰოსპიტალი გადააქვთ უშუალოდ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სიახლოვეს. პოლკოვნიკი ციგანოვი აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი ერთი მხრივ სამხრეთ ოსეთზე მორალური ზეწოლის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი ქართველები თადარიგს იჭერენ ოპერაციის ჩატარებისას დაჭრილ მეომართა სამკურნალოდ.

სამხრეთ ოსეთის დამორჩილება-დაპყრობის მეორე ვარიანტი შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს. ქართული ჯარების მოქმედება დაიწყება ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელების საბაბით. ეს ფაქტი საყურადღებოა პოლიტიკური მოსაზრების გამო – რათა საზოგადოებას დაუმალონ (და არა მარტო ქართულ საზოგადოებას) ფაქტობრივი აგრესიის შესახებ (სხვა განსაზღვრება ამ ფაქტისა ნამდვილად შეუძლებელია). მოცემულ შემთხვევაში მოხმობილი იქნება საგანგებო დანიშნულების რაზმები, პოლიციის, საქართველოს სამხედრო რეზერვის ნაწილები, ისინი უზრუნველყოფენ ძირითადი სატრანსპორტო მიმართულებების კონტროლს, შემდეგ კი გადაკეტავენ როკის, მამისონისა და ჯვრის უღელტეხილებს. მერე კი დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებათ სატრანსპორტო ბადრაგების სახით შეუტანონ „ჰუმანიტარული დახმარება" ქართული დასახლებებისთვის და შეაიარაღონ ისინი. მოვლენათა განვითარებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიყენონ მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის ჯარისკაცები, რომლებსაც ჰაერიდან ჩამოსხავენ და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგობის ჯარების, საბრძოლო კერების ბლოკირებისთვის გამოიყენებენ.

ორივე შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება რუსეთის ჯარების ქვედანაყოფების მათი დისლოკაციის პუნქტებში ბლოკირება, აგრეთვე მშვიდობისმყოფელთა ბატალიონის ბაზირების ადგილებზე. შემთხვევით არ განუცხადებია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის შეიარაღებულ ძალებსო.

როგორც პოლკოვნიკი ციგანოვი თვლის, წლის საუკეთესო დრო ორივე გეგმის განსახორციელებლად, ზამთარია. „თუ გავითვალისწინებთ, რომ დეკემბერ-მარტში ბუნებრივი პირობების გამო ყველა უღელტეხილი, რომლითაც სამხრეთ ოსეთი რუსეთიდან მარაგდება – ჩაიკეტება, სამხედრო მოქმედებების განვითარება სწორედ ამ დროისთვისაა ხელსაყრელი" – გარდა ამისა, ექსპერტი ციგანოვი ფიქრობს, რომ ომის დაწყების შემთხვევაში მასში აუცილებლად ჩაებმება ჩრდილოეთ ოსეთი: „რადგან სამხრეთ და ჩრდილო ოსებს შორის ნათესაური კავშირები საკმაოდ ძლიერია და ჩრდილოელები რა თქმა უნდა, იბრძოლებენ სამხრეთელი ნათესავების დასაცავად, რომლებსაც თავს ქართველები დაესხმებიან".

თუმცა ციგანოვი ეჭვობს, რომ ომი უახლოეს ზამთარში დაიწყოს, მისი აზრით, საბოლოო გადაწყვეტილებას სააკაშვილი ამის შესახებ მას შემდეგ მიიღებს, როცა პოლიტიკური გზებით სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა მოხერხდება. ამ საქმეს კი ორი-სამი წელი დასჭირდება.

მეორე მიზეზი იმისა, რომ ბრძოლები ამ ზამთარს არ დაიწყება, არის იმის შიში, რომ სამხრეთ ოსეთს აფხაზეთი დაეხმარება: როგორც ცნობილია, ცხინვალმა და სოხუმმა ურთიერთ სამხედრო დახმარების ხელშეკრულება გააფორმეს. ორ ფრონტზე ომს, როგორც ციგანოვი ვარაუდობს, თბილისი ვერ შეძლებს. „სააკაშვილს ამისთვის უბრალოდ ძალები არ ეყოფა".

## ელექტროშოკით სოხუმზე

აფხაზეთის მიმართულებით, აღნიშნავს სამხედრო პროგნოზირების დამოუკიდებელი ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგი ციგანოვი, როგორც ჩანს, განხორციელდება „მეორე სამხრეთ ოსეთური სცენარი", ანუ სამხედრო მოქმედებებისთვის მზადება დაიწყება, ჰუმანიტარული ოპერაციის სახით, რომელიც „в Горском районе" (ალბათ გალის რაიონს გულისხმობდა. რედ.)

ქართულ სოფლებში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის საბაბით მოხდება. პირველ რიგში თბილისი ენგურჰესის დაუფლებას შეეცდება — ეს გახლავთ ამ რეგიონის ერთადერთი სამრეწველო ობიექტი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ელექტროენერგიით ამარაგებს სოხუმსა და მთელ აფხაზეთს. ამ ოპერაციაში სპეცრაზმებიც მიიღებენ მონაწილეობას, ისინი ზუგდიდი-სოხუმი, სოხუმი-გაგრის სატრანსპორტო მიმართულებების გაკონტროლებას შეეცდებიან. მათ უნდა განახორციელონ ხიდების, გვირაბებისა და სარკინიგზო გადასასვლელების კონტროლი, მდინარეებზე — ენგურზე, ღალიძგაზე, კოდორსა და ბზიფზე. სპეცრაზმელებს, რა თქმა უნდა, ზურგს გაუმაგრებენ ზღვიდან — საზღვაო ქვეითი დანაყოფები, გემები და კატარღები.

მაგრამ ეს მხოლოდ თეორიებია, გულახდილად ამბობს ციგანოვი, რადგან მკვეთრად გამოკვეთილი გეგმა აფხაზეთთან მიმართებაში არ შეიძლება არსებობდეს იმის გამო, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს ქართულ ჯარებს და, თბილისში ამის შესახებ კარგად იციან. ამიტომ პირველ ეტაპად შეიძლება მოახდინონ მხოლოდ „Горский район"-ის (ალბათ გალის რაიონი. რედ.) ჩამოცილება. შემდეგ კი საბრძოლო ოპერაციები ჩაიფუშება და ქართველები დაკმაყოფილდებიან მხოლოდ ზღვიდან დანარჩენი აფხაზეთის ბლოკირებას, რათა ხელი შეუშალონ ტურისტული ბიზნესის განვითარებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ულიარებელი ქვეყნის ბიუჯეტის მთავარი წყაროა.

„ამ გზით საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ფედერაციული სახელმწიფოს შექმნაზე დაიყოლიოს".

ციგანოვის აზრით, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მთებში, ჯავშანტექნიკის გამოყენება ქართული ჯარებისთვის სამწუხარო შედეგის მომტანი იქნება, რადგან მთებში კოლონების ბლოკირებისთვის 10 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალაც საკმარისია, კოლონის თავსა და ბოლოში გზის ჩამოსაზვავებლად და ჩასაკეტად. ისე აფხაზებსაც და ოსებსაც აქვთ ჯავშანტენიკა. БТР-ები და БМП-ები, მათ ისინი ქართველებს წაართვეს 1992-1993 წლების ომში.

რაც შეეხება საბრძოლო მოქედებების დაწყების შემთხვევაში რუსების რეაქციას, დასძენს ციგანოვი, არა მგონია როგორლაც დაეხმაროს სამხრეთ ოსეთს ან აფხაზეთს: „რადგან მოსკოვი ამ პრობლემის მიმართ ნათელ და გამოკვეთილ პოზიციას ჯერჯერობით არ ამჟღავნებს".

■

# რატომ ანგრევენ ჩინოვნიკები ქართველთა „მხედრულ სულს"?



საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი კანონპროექტები, განსაკუთრებით „შრომის კოდექსისა" და „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ", უამრავ „რევოლუციურ" ცვლილებას ითვალისწინებს. შეგნებულად თუ „მაღალი დონის დილეტანტიზმის" გამო — გაუაზრებლად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მოსალოდნელ ცივ ზამთარს, თან უმძიმესი სოციალური შედეგები დაემატება და ხალხი ქუჩაში გამოვა „გასათბობად".

საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა სხვა კატეგორიებთან ერთად, შეიძლება, კარდინალურად გაუარესდეს სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური და სოციალური პირობები. შვებულების შემცირება, უმიზეზოდ გათავისუფლების პრაქტიკის დაკანონება, სპეციალური სახელფასო დანამატების გაუქმება და მრავალი სხვა აბსურდული კანონპროექტი თუ დამტკიცდა, საქართველოს ჯერ კიდევ სუსტ შეიარაღებულ ძალებსა და სპეცსამსახურებს დიდად დააზარალებს.

მთავრობისა და ზოგიერთი პარლამენტარის არგუმენტები კანონპროექტების შედეგების უმტკივნეულობაზე ძალზე სუსტია. ეს ან ახალგაზრდული დილეტანტიზმია, ან...

კანონპროექტებზე თანდართული ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათები ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს და იშვიათი არაპროფესიული „დასაბუთებით" გამოირჩევა: „საქართველოს მთავრობა გეგმავს რიგი შეღავათების გაუქმებას, რომლებიც ერთი მხრივ, არასოდეს ამოქმედებულა, ხოლო მეორე მხრივ, მოქმედებს საკანონმდებლო ჩარჩოებში", — რას იტყვით, ხომ „რკინისებური ლოგიკაა"? ეკუთვნოდათ, შევარდნაძე არ გასცემდა და ახლა სულ გავაუქმოთო!

კიდევ ორი „შედევრი": „გაზრდილი ხელფასების პირობებში, მაღალმთიანობის დანამატის გაცემა დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან საბიუჯეტო ხარჯებთან" და „გაზრდილი ხელფასის პირობებში, პოლიციის თანამშრომლებისთვის დანამატების გაცემა წელთა ნამსახურობისთვის დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან საბიუჯეტო ხარჯებთან". გასაკვირია — ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკები თან აცხადებენ, რომ 2005 წლის საბიუჯეტო შემოსავლებიდან 400 მლნ ლარზე მეტი ჯერ კიდევ დასახარჯი აქვთ, ხოლო მომავალ წელს კიდევ უფრო გაზრდიან სახელმწიფო ბიუჯეტს, თან პარლამენტში შეაქვთ ისეთი კანონპროექტები, რომლებიც მოსახლეობის ყველა ფენის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე საბიუჯეტო თანხების დაზოგვას ითვალისწინებს.

ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკების ახირებებს რომ ავყვეთ და მათ „პრობლემები შევუმციროთ" — „მაღალი ხელფასი და პენსია ინფლაციას გამოიწვევსო", — ქვეყანაში ჯარი, პროკურორი, პოლიცია და უშიშროება აღარ უნდა არსებობდეს. მათი პოზიცია საფუძველშივე მცდარია — ინფლაციის ზრდის შიშით მომავალ წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიუჯეტო ხარჯებს შეამცირებენ, ამ დროს კი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების ხარისხიც რომ მცირდება, ვინ იქნება პასუხისმგებელი?

## ვნებათაღელვა პენსიებისა და კომპენსაციების გამო

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — საკანონმდებლო ცვლილებები გამოიწვევს როგორც მოქმედი, ასევე პენსიაზე და თადარიგში გასული სამხედრო პირების მატერიალური და სოციალური მდგომარეობის კატასტროფულ გაუარესებას.

რას ვერჩით იმ სამხედროებს, რომლებიც მაღალ პენსიებს იღებენ? ეს ხალხი 18 წლიდან ჯარშია და 25-30 წლის განმავლობაში ძალზე მძიმე ცხოვრება ჰქონდათ — ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში იბრძოლეს, დამნაშავეებს დასდევდნენ და თავი არ დაუზოგავთ ქვეყნისთვის. მაღალი პენსია მათ დამსახურებულად და კანონის თანახმად დაენიშნათ. მთავრობა, ნაცვლად იმისა, სხვა კატეგორიის პენსიონერებსაც გაუზარდოს პენსია და ცხოვრების დონე, „ყველამ ერთნაირად და გაჭირვებით იცხოვროს" პრინციპით ხელმძღვანელობს და სამხედრო მოსამსახურეთა პენსიებს ამცირებს. ასევე უზნეობაა შავი პიარის გაჩაღება და „სამხედრო" და „ჩვეულებრივი", ანუ სამოქალაქო პენსიონერების დაპირისპირება. ყოველთვის და ყველა ქვეყანაში (მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირშიც) სამხედრო პენსია და სამხედროების, ასევე სპეცსამსახურის თანამშრომლებისა და პოლიციელების ხელფასი, ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით მაღალი იყო სამოქალაქო პირების პენსია-ხელფასებზე.

დღესაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში სამხედრო პენსია ბოლო თანამდებობრივი სარგოს 70-85%-ია. ეს მსოფლიო სტანდარტია. ჩვენთან კი, თუ ზემონახსენები კანონპროექტები პარლამენტმა დაამტკიცა, სამხედრო პენსიონერთა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

თავად განსაჯეთ: კანონპროექტით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" გათვალისწინებულია სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის რიგებში მსახურის შემდგომ თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშების შემდეგი წესი — თუ ამ კატეგორიის ხალხს 65 წლამდე, წელთა ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო, კომპენსაცია დაენიშნებათ, მაშინ მისი ოდენობა შემდეგი წესით გაიანგარიშება: დათხოვნის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს 0,75% მრავლდება ორგანოებში მუშაობის სტაჟზე. არსებული პრაქტიკით, სამხედრო პირთა 99% ნამსახურობის ვადას, როგორც წესი, 65 წლამდე (ძირითადად, 45-დან 55 წლამდე) ასრულებს. მაგალითად, თუ ამ დროს სამხედრო ოფიცრის ანაზღაურება 400 ლარი იყო, ხოლო წელთა ნამსახურობა 25 წელიწადს შეადგენდა, მაშინ კომპენსაცია მიეცემა 75 ლარის ოდენობით, რაც ბოლო თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით 19%-ია.

პარლამენტის წევრი კი, რომელიც ვთქვათ, ბიზნესიდან, მეცნიერებიდან ან სპორტიდან მოვიდა და ექვსი თვე მაინც „გაძლო" პარლამენტში — მინიმუმ 10-ჯერ მეტ თანხას მიიღებს.

აქცენტის გადატანა მხოლოდ პენსიებზე არასწორი იქნება, რადგან სხვა საკანონმდებლო ცვლილებებიც არანაკლებ ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს.

კერძოდ, სპეციალური დანამატების გაუქმება, შვებულების პერიოდის შემცირება, სამსახურიდან გათავისუფლების გამარტივება და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის და დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების ფიქსირებული ფორმით დაწესება.

საქართველოს მთავრობაში თითქოს მონუსხულები და დაწყევლილები არიანო, „შენი არ იცოდე და სხვისიც არ გესმოდესო", სენი სჭირთ. ამ პროცესს სხვანაირად ვერ შევაფასებთ, რადგან თუ კანონპროექტები ამ ფორმით დამტკიცდა, საქართველოში ბოლო პერიოდში ოდნავ მოცოცხლებულ „მხედრულ სულს", ნებსით თუ უნებლიეთ, ჩაკლავს და სამხედრო სამსახურის პრესტიჟს ძალზე შელახავს. ყველა ქვეყანაში სამხედრო პირი ყოველთვის იყო და არის სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტი. სამხედროები განსაკუთრებულ ყურადღებას რომ საჭიროებენ, ეს წინა ხელისუფლებამ მხოლოდ „თეორიულად" იცოდა. მაგალითად, უშიშროების სისტემაში შემდეგი სახის დანამატები მოქმედებდა: წელთა ნამსახურობისთვის, მაღალმთიან ზონაში სამსახურისთვის, უცხო ენების ცოდნისთვის, განსაკუთრებულ და მავნე პირობებში მუშაობისათვის (ეს, ძირითადად, რადიოელექტრონული დაზვერვისა და გარე


### წიგნის ავტორის შესახებ:

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში — დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის" გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ"-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის" სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთვალყურეობის ოპერმუშაკებზე ვრცელდებოდა), სამეცნიერო ხარისხისთვის, დაშიფვრაზე მუშაობისთვის და სხვ. თუ შევარდნაძის დროინდელ კანონებში მხოლოდ დაფიქსირებული იყო სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური წახალისების საკითხები, მაგრამ უსახსრობის გამო ცოტა თუ სრულდებოდა, დღეს დანამატების საერთოდ გაუქმება არ შეიძლება. მეტად შემაშფოთებელია, რომ მთავრობის ახალი კანონპროექტები მნიშვნელოვნად გააუარესებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებულ და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურთა და მათი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას. ერთჯერადი დახმარებები, რომლებსაც ფიქსირებული სახე აქვს (შესაბამისად, 6 და 10 ათასი ლარი), გაცილებით მცირეა იმასთან შედარებით, რაც მათ ამჟამად მოქმედი კანონითა და ახლანდელი ანაზღაურებით მოუწევდათ. ეგეც არ იყოს, კაცმა არ იცის, ინფლაციის რა მაჩვენებელი (რეალური და არა ის ციფრი, რასაც ჩვენი მთავრობა სავალუტო ფონდს წარუდგენს ხოლმე თავმომწონედ) იქნება შემდეგ წლებში და ერთ „მშვენიერ" დღეს, ეს თანხა რომ განახევრდეს? ყოველთვის კანონები უნდა ვცვალოთ? ამიტომ ფიქსირებული თანხის კანონში შეტანა მიუღებელია.

## მოსალოდნელი შედეგები

სამხედროებს, პოლიციისა და სპეცსამსახურების ოპერატიულ თანამშრომლებს ყოველდღიური, ხშირად სასიკვდილო რისკის პირობებში უხდებათ დავალების შესრულება და ქვეყნის, საზოგადოებისა და პიროვნების უსაფრთხოების დაცვა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს სტრატეგია, დაადგინოს პრიორიტეტები და ორიენტირი მისცეს თავის მოქალაქეებს – თუ მოცემულ ეტაპზე ქვეყნისთვის პრიორიტეტულად ცხადდება თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, კანონისა და მართლწესრიგის დაცვა, სხვა ქვეყნების აგენტურის განეიტრალება, მაშინ ეს შესაბამის ფინანსურ, სოციალურ და იდეოლოგიურ გადაწყვეტილებებში უნდა აისახოს.

ჩვენი ჩინოვნიკების გასაგონად უნდა ვთქვა, რომ სამხედრო პირი, სპეცსამსახურისა და პოლიციის თანამშრომელი „საჯარო მოსამსახურეების" კატეგორიაში არ შეიძლება გავიყვანოთ. მათ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას, ასევე სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად არანორმირებულ სამუშაო დღეს, ვერ შევუდარებთ ფინანსთა, განათლების და მეცნიერების თუ ეკონომიკური განვითარების სამინისტროების თბილ კაბინეტში მოკალათებული ჩინოვნიკების დატვირთვას. თვით სამხედრო უწყების შიგნითაც მიუღებელია ახალმისული და 20-25 წელიწადს ნამსახურები ოფიცრების გათანაბრება ანაზღაურებაში, შვებულების დღეების რაოდენობაში და ა.შ.

გვინდა, რომ ქვეყნის საზღვრები დაცული იყოს და ამ დროს მესაზღვრეებს მაღალმთიან ზონებსა და მძიმე კლიმატურ პირობებში მსახურობის დანამატს ვუხსნით. განა არ არის განსხვავება ამ მესაზღვრესა და თუნდაც თბილისის აეროპორტში მყოფ მესაზღვრეს შორის?

გვინდა ქუჩებში სიმშვიდე და წესრიგი იყოს და პოლიციელების (საპატრულოს, კრიმინალურ პოლიციასა და ა.შ. ) სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას ვაუარესებთ!

გვინდა, საქართველო გაწმენდილი იყოს სხვა ქვეყნების აგენტურისაგან და ამ დროს სპეცსამსახურების თანამშრომლებს იმ დანამატებს ვუუქმებთ, რომლებიც მათ კარიერულ წინსვლას, ენების შესწავლას, პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირებას, სიცოცხლისათვის საშიში, მაგრამ ქვეყნისთვის აუცილებელი, საბრძოლო დავალების მაღალ დონეზე შესრულებას განაპირობებდა!

ნაცვლად იმისა, ქვეყანაში სამხედრო სამსახურის პრესტიჟულობის ამაღლების ერთიანი იდეოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგია შემუშავდეს, ამ ბოლომდე გაუაზრებელი კანონპროექტების მიღებით შეიძლება ის მცირედიც დაიკარგოს, რაც სამოქალაქო პირს სამხედრო სამსახურში წასვლის სტიმულს აძლევდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხედრო პირის, სპეცსამსახურის თანამშრომლის ან პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება მაღალ კვალიფიკაციასთან ერთად პიროვნულ თავგანწირვას მოითხოვს და ხშირად მძიმე შედეგით (დასახიჩრებით ან სიკვდილით) მთავრდება.

გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც. სამხედრო მოსამსახურე და სპეცსამსახურის თანამშრომელი ათწლეულების განმავლობაში სწავლობენ და ხვეწენ „ძალადობის მენეჯმენტის" თეორიასა და პრაქტიკას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის უკვე მაღალი კვალიფიკაციის „ძალის გამოყენების სპეციალისტი" უნდა იყოს, რათა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა შეძლოს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სემუელ ჰანტინგტონი თავის, უკვე ბესტსელერად ქცეულ ნაშრომში „ჯარისკაცი და სახელმწიფო" მართებულად წერს, რომ: „ოფიცრის პროფესიის გაიგივება არც ხელობასთან შეიძლება, რომელიც ძირითადად მექანიკურია, და არც ხელოვნებასთან, რომელიც სპეციფიკურ ტალანტს საჭიროებს. ოფიცრობა უაღრესად კომპლექსური ინტელექტუალური პროფესიაა, იგი ღრმა განათლებასა და წვრთნას მოითხოვს".

წლების შემდეგ სათანადოდ მომზადებულ სამხედრო ოფიცერს, პოლიციელსა და სპეცსამსახურის თანამშრომელს მეტად სპეციფიკური უნივერსალური ცოდნა და უნარები უყალიბდებათ და საზოგადოებრივი სტაბილურობისათვის გადამწყვეტია, საით მიმართავენ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს. აქ, ძირითადად, სამი საფრთხეა:

1. როცა სამხედრო მოსამსახურე და სპეცსამსახურის თანამშრომელი თავის ცოდნას და უნარ-ჩვევებს ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყენებენ (თუნდაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების დროს ღალატის მრავალი ფაქტი გავიხსენოთ);

2. როცა თავიანთ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ იყენებენ (გავიხსენოთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება);

3. როცა თავიანთ პროფესიას პირადი სარგებლობისთვის და ფაქტობრივად მთელი საზოგადოების საზიანოდ იყენებენ (სამწუხაროდ, საქართველოს უახლეს ისტორიაში ასეთი უამრავი მაგალითი იყო და არის).

ამ განსაკუთრებული პროფესიის ხალხს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების უსაფრთხოება ევალება და პროფესიული მოტივაციის ჩამონათვალში (პატრიოტიზმი, პროფესიის სიყვარული, სოციალური მოვალეობა, პრესტიჟულობა და ფინანსური უზრუნველყოფა), საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, აშკარა უპირატესობა, სამწუხაროდ, კვლავ მატერიალურ ანაზღაურებასა და სოციალურ პრივილეგიებს ენიჭება.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ XXI საუკუნეში კვლავ გვიხდება იმ ჭეშმარიტების შეხსენება, რომ სამხედრო პირებისა და სპეცსამსახურის თანამშრომელთა ლოიალობა და კანონმორჩილება საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან მათთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის პირდაპირპროპორციულია. პროფესიონალთა ეს კატეგორია ყოველთვის ნათელ მესიჯს ელის საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან – „ქვეყანას ვჭირდებით, ბატონებო? ვჭირდებით! მაშინ კეთილი ინებეთ და, შესაბამისი კანონები მიიღეთ და აღასრულეთ".

მატერიალური და სოციალური პრივილეგიების, სტიმულირების მკაფიო სისტე-

მის, კომუნალური გადასახადების გადახდის, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების მიღების დროს შეღავათების და ა.შ., აგრეთვე, თადარიგში და პენსიაზე გასულთა შემდგომი შრომითი მოწყობის ან მორალური მხარდაჭერის გარეშე ამ, ეროვნული ინტერესების დამცველი პროფესიის ხალხის შენარჩუნებაც გაჭირდება და ახლების მოზიდვაც.

თუ სამხედრო პირთა, პოლიციელთა, პროკურორთა, მოსამართლეთა და ა.შ. ხელფასები მართლაც ასე გაიზარდა (რასაც საშუალო და დაბალი რგოლის მეთაურთა და ოფიცერთა ანაზღაურების მდგომარეობის შესწავლა დაგვანახვებს), მაშინ დანამატები ერთი ხელის მოსმით კი არ უნდა გავაუქმოთ, არამედ განაკვეთის შემცირება და ოპტიმალურ დონეზე დაყვანა უნდა მოვახდინოთ.

რამდენიმე წლის წინ უშიშროების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, რომელიც პროფესიონალიზმითა და შინაგანი წესიერებით გამორჩეული იყო, მუშაობის მთელ პერიოდში ხელფასს არ იღებდა და მოითხოვდა, ოპერატიულ შემადგენლობას დაბალი ხელფასი აქვს, მათ გადაუნაწილეთო. საინტერესოა, ამჟამად, როდესაც ასეთი დილეტანტური და სამხედრო სამსახურის დამანგრეველი კანონპროექტები პარლამენტში დასამტკიცებლად შედის და სამხედრო პირების მატერიალური და სოციალური მდგომარეობა აშკარად უარესდება, რას ფიქრობენ ჩვენი სამხედრო და სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელები? თუმცა დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია.

P.S. სტატიის ავტორი არც პენსიას იღებს და არც სახელფასო დანამატებს, ამიტომ არაობიექტურობა გამორიცხულია.

# უცხოეთის სპეცსამსახურების გამოცდილება

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ბევრი რეფორმა სხვა ქვეყნების მაგალითის გათვალისწინებით ჩაატაროს და ეს ნამდვილად გამართლებული პოზიციაა. მიზანშეწონილი იქნება, თუ ხელისუფლება იმ მდიდარ გამოცდილებასაც გაითვალისწინებს,რაც NATO-ს წევრ ქვეყნებს სპეცსამსახურების თანამშრომლების სახელფასო და საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ აქვთ მიღებული. უპირველესად მხედველობაშია მისაღები, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლის „ოქროს ხანა“ 30-60 წლის ასაკია. ამ დროისთვის ყალიბდება კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ის აუცილებელი რესურსი, რომელიც მეტად სპეციფიკური დავალებების შესასრულებლადაა საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთი ოპერატიული თანამშრომლის სათანადო დონეზე მომზადებას 4-5 წელი სწავლა, პრაქტიკული მეცადინეობები და სულ ცოტა 40-50 ათასი დოლარი სჭირდება, მაშინ გასაგები იქნება, რატომ უფრთხილდებიან სხვა ქვეყნებში მაღალი კვალიფიკაციის ოპერებსა და ანალიტიკოსებს. ინგლისის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ თანამშრომელი, რომელიც ყველაზე სახიფათო და ექსტრაორდინარულ დავალებებს ასრულებს, ქვეყნისა და ამ ორგანიზაციისაგან მაქსიმალურ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას უნდა გრძნობდეს. მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება.

ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებსა და შეიარაღებულ ძალებში კი, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, 30-35 წლის ასაკზე უფროსი, სათანადო ოპერატიული და ანალიტიკური მუშაობის გამოცდილების მქონე თანამშრომელი თითქმის აღარ დარჩა, მით უფრო საშუალო, მაღალ და უმაღლესს სამეთაურო პოსტებზე.

სპეცსამსახურის თანამშრომლის მომზადება ძალზე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ამიტომ უცხოეთის სპეცსამსახურებში ცდილობენ, მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნონ საჭირო თანამშრომელი, შეუქმნან მას აუცილებელი მატერიალური და სოციალური პირობები. მაღალი ანაზღაურება ის ერთ-ერთი უმთავრესი წინა პირობაა, რომელმაც სპეცსამსახურის თანამშრომლის მოტივაცია უნდა გაზარდოს. ამჟამად მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სპეცსამსახურებში ხელფასის შემდეგი ნიხრი მოქმედებს: ოპერატიული თანამშრომელი – 3-6, ქვედანაყოფის უფროსი – 6-9, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები – 9-15 ათასს დოლარს იღებენ თვეში.

ხელფასის გარდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამხედრო პირისა და სპეცსამსახურის თანამშრომლის სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა. აშშ-ში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლების პენსიაზე გასვლის ზღვარია – 62 (თუმცა ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში გადასწიოს ვადა), გერმანიაში – 60, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 55 წელი. პენსიაზე გასვლა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: 1. ზღვრული ასაკის მიღწევისას; 2. თანამშრომლის პირადი სურვილით; 3. ადმინისტრაციის ინიციატივით.

აშშ-ის ცსს-ში მოქმედებს პენსიაზე გასვლის შემდეგი ორი სისტემა:

ა. იმ პირებზე, რომლებიც სამსახურს ასრულებენ ქვეყნის შიგნით, ვრცელდება სახელმწიფო მოხელის საპენსიო სისტემა;

ბ. იმ თანამშრომლებზე, რომლებიც დავალებებს ქვეყნის გარეთ ასრულებენ, ვრცელდება სპეციალური საპენსიო სისტემა.

1964 წელს მიღებული კანონის თანახმად, ცსს-ს იმ თანამშრომლებს, რომელთაც საზღვარგარეთ მუშაობის 20-წლიანი სტაჟი ჰქონდათ, პენსიაზე გასვლა გაცილებით ადრე – 50 წლის მიღწევის შემდეგ შეეძლოთ, 1977 წელს მიღებული კანონით კი ეს ვადა 45 წლამდე შემცირდა.

საპენსიო თანხის მოცულობა დამოკიდებულია წელთა ნამსახურობაზე, სამსახურის გავლის ადგილზე, ხელფასის მოცულობასა და სხვა ფაქტორებზე. როგორც წესი, ეს თანხა შეადგენს ცსს-ში მუშაობისას მიღებული ყველაზე მაღალი ხელფასის 70-85%-ს.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ყოფილ თანამშრომლებს სპეცსამსახურები კი არ ივიწყებენ, არამედ მათ უნიკალურ ცოდნასა და გამოცდილებას აქტიურად იყენებენ. ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურს კადრების განყოფილებაში გახსნილი აქვს სპეციალური ბიურო, რომელსაც პენსიაზე გასული თანამშრომლების სამოქალაქო სექტორში შრომითი მოწყობა ევალება. ზოგიერთ შემთხვევაში, „პენსიონერები“ აქტიურად არიან ჩართულნი ოპერატიულ მუშაობაში, ხოლო საკონსულტაციო და სალექციო საქმიანობა მათი ერთ-ერთი სასიამოვნო „მოვალეობა“ ხდება. ძალზე საინტერესოა სპეცსამსახურის ვეტერანებთან (ანუ იმ პირებთან, რომლებსაც ასაკის ან ჯანმრთელობის გამო აქტიური საქმიანობის გაგრძელება აღარ შეუძლიათ) დამოკიდებულების ტრადიცია. ქვეყნისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელები ცდილობენ, მაქსიმალური მზრუნველობა და ადამიანური ყურადღება გამოიჩინონ მათი და მათი ოჯახების მიმართ (ეს იქნება სადღესასწაულო დღეების მილოცვა თუ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში თანადგომა).

სპეცსამსახურის სიძლიერე მხოლოდ შეიარაღებისა და უახლესი მოსასმენი აპარატურის შეძენით არ განისაზღვრება. ყოფილი თუ ამჟამინდელი თანამშრომლებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება, მათი მატერიალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა, უფრო ზრდის სპეცსამსახურის ავტორიტეტსა და პრესტიჟს, ვიდრე ძვირად ღირებული სპეცტექნიკა.

რუბრიკა მაომზადა
ბესიკ ალადაშვილმა

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგესალმებით, ძალიან გთხოვთ გვაცნობოთ, რა სტადიაზეა ახალი ამერიკული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის შექმნის პროცესი. როგორც ვიცი ახლა აშშ-ის შეიარაღებაში არსებული ტყვიამფრქვევი სერიოზულად მოძველდა.

*მამუკა სეხნიაშვილი*

# მსხვილკალიბრიანი, მაგრამ მსუბუქი

## ახალმა ამერიკულმა ტყვიამფრქვევმა ლეგენდარული „ბრაუნინგი" უნდა შეცვალოს



M2HB



XM312



XM307 OCSW

ერაყში მებრძოლ ამერიკელ სამხედროთა გამოკითხვის შედეგებმა მრავალნახული პენტაგონელი გენერლებიც კი გააკვირვა, – ამერიკელი ჯარისკაცები ყველაზე საიმედო იარაღად „ბრაუნინგის" მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს ასახელებდნენ, ყველაზე არასაიმედოდ კი სახელგანთქმული M16 მიაჩნდათ.

განცვიფრების საფუძველი ნამდვილად არის, რადგან „ბრაუნინგის" სისტემის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის პირველი მოდიფიკაცია, არც მეტი და არც ნაკლები, 88 წლის წინ შეიქმნა(!).

პირველი მსოფლიო ომის ფრონტის ხაზზე ჯერ გერმანელების 13მმ-კალიბრიანი ტანკსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევი გამოჩნდა (მაშინდელი ტანკების ჯავშანს მსხვილკალიბრიანი ტყვია ხვრეტდა). საფრანგეთში მებრძოლმა ამერიკულმა ჯარებმა თავისთვისაც მოითხოვეს ანალოგიური იარაღი, რისთვისაც ფირმა „ვინჩესტერმა" 12,7X99 ტიპის ვაზნა შექმნა, ხოლო კონსტრუქტორმა ბრაუნინგმა კი თავისი ტყვიამფრქვევი M1917 მსხვილ კალიბრზე გადააკეთა.

მას შემდეგ „ბრაუნინგის" მსხვილკალიბრიანმა ტყვიამფრქვევებმა არაერთი ომი გამოიარეს და დღეისათვის ამერიკის არმიაში M2HB-ს მოდიფიკაციით „იბრძვიან".

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს ეს ტყვიამფრქვევი ძალიან უყვართ, პენტაგონი რამდენიმე წელია ცდის „ბრაუნინგის" შემცვლელ თანამედროვე ტყვიამფრქვევს.

საერთოდ, პენტაგონი მომავლის ჯარისკაცების შესაიარაღებლად 25მმ-კალიბრიანი ავტომატური ქვემეხის მიღებას გეგმავს, რომელსაც, როგორც მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს, ორი ჯარისკაცი თავისუფლად გადაიტანს. ამ სუპერქვემეხიდან სპეციალურად პროგრამირებული ჭურვების სროლა შეიძლება, რომლებიც სანგარში ჩასული მოწინააღმდეგის თავზე აფეთქდება, დამიზნება კი ულტრათანამედროვე ოპტიკურ-ელექტრონული მოწყობილობით მოხდება. მაგრამ სანამ პენტაგონი ამ ძვირად ღირებულ სუპერქვემეხს შეისყიდის, ერთგვარ გარდამავალ ეტაპად მე-20 საუკუნის დასაწყისის „ბრაუნინგის" ტყვიამფრქვევებსა და 21-ე საუკუნის სუპერქვემეხ XM307 OCSW-ს შორის ახალი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი XM312 უნდა იქცეს.

ახალი ამერიკული ტყვიამფრქვევის XM312-ის მთავარი განსხვავებული ნიშანი მისი მცირე წონაა. თავად განსაჯეთ, თავისი სამფეხით სულ 19 კგ-ს(!) იწონის (ოღონდ ვაზნების გარეშე) და ეს მაშინ, როდესაც მისი ტიპის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების მასა 30-40 კგ-ს შორის მერყეობს. თუკი „ბრაუნინგი" 38,8 კგ-ს იწონის, ცნობილი საბჭოთა მსხვილკალიბრიანი ДШК-ს მასა 35,70 კგ-ია, ხოლო შედარებით თანამედროვე 12,7 მმ-კალიბრიანი საბჭოთა НСВ-ს მასა კი 25 კგ-ია, ოღონდ სამფეხის გარეშე.

პრინციპში ტყვიამფრქვევის წონის მკვეთრად შემცირება აქამდეც შეეძლოთ კონსტრუქტორებს, მაგრამ ისინი დიდ პრობლემას აწყდებოდნენ – მსხვილკალიბრიანი ტყვიის გასროლისას (მით უმეტეს, ავტომატური ჯერის დროს) წარმოიქმნება ძლიერი უკუდარტყმის ძალა, რომლის ნაწილობრივ კომპენსირება თავად ტყვიამფრქვევის მასამ უნდა განაპირობოს. მსუბუქი კონსტრუქციის ტყვიამფრქვევი მძლავრი ვაზნის მოხმარების დროს მიზანში ძნელად თუ გაარტყამს, ან საერთოდ ნაწილებად დაიშლება.

ამერიკელმა კონსტრუქტორებმა ერთი შეხედვით ასეთი ორი შეუსაბამობა ეშმაკურად გადაწყვიტეს. ტყვიამფრქვევის ავტომატიკის დარტყმითი მექანიზმი გასროლამდე უკიდურეს უკანა პოზიციაში იმყოფება. სასხლეტის გამოკვრის შემდეგ მთელი მექანიზმი წინ მიდის, მაგრამ ნემსი ასწრებს ვაზნის კაფსულაზე დარტყმას. ვაზნის მასრაში დენთის აფეთქება ტყვიას ლულაში გატყორცნის, ამ დროს წარმოქმნილი უკუდარტყმის ძალა უკან მიემართება, მაგრამ „გზაში" ხვდება დარტყმის მექანიზმს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია უკიდურეს წინა პოზიციამდე. მათი „შეჯახება" უკუდარტყმის ძალას მნიშვნელოვან ენერგიასართმევს. სწორედ ეს და სხვა კონსტრუქციული გადაწყვეტილებები განაპირობებს იმას, რომ უკუდარტყმის ძალა ჩვეულებრივ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებთან შედარებით მცირეა, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ XM312 მსუბუქი გაეკეთებინათ.

თუ ეს ტყვიამფრქვევი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიღეს ამერიკული არმიის შეიარაღებაში (რაც შეიძლება სათუო გახდეს, რადგან ერაყსა და ავღანეთში პენტაგონს ძალიან დიდი ხარჯები აქვს), მას XM312-ის ნაცვლად M312-I დაერქმევა და იგი ძალზე ეფექტიანი იარაღი გახდება პარტიზანული ომებისთვის, მათ შორის, ქალაქის ქუჩებში.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია „კარტოთეკა"



*ვისაც საბჭოთა ჯარი, მით უმეტეს, პროფესიული სამხედრო სკოლა არ გაუვლია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რამხელა ვაჟკაცობასა და გამძლეობას ითხოვდა ამ სკოლის ღირსეულად გავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერ ძალაზე. წლების შემდეგ ყოველივე ამის გახსენება, ძალაუნებურად, განცდილისა და ნანახის სხვისთვის გაზიარების სურვილს ბადებს, ამიტომ შევეცადე, მომეთხრო მკითხველისთვის, რა იყო დღემდე ყველასთვის უცნობი ყოფილი სამხედრო კონტრდაზვერვა სმერში. როგორ გავიარეთ საბჭოთა დივერსიული სკოლა, როგორ მოგვამზადეს პაკისტანში განსახორციელებელი ერთ-ერთი საიდუმლო ოპერაციისთვის, რომლის წარმატებით ჩასატარებლად სიცოცხლე შევაგდეთ სასწორზე — წინააღმდეგ შემთხვევაში ღირსების აყრა, ტრიბუნალი ან საბჭოთა კავშირის დაზვერვის ხელით სიკვდილი გველოდა...*

*დასაწყისი იხ. „არსენალი" № 12 (17)*

შეიარაღებითა და აღჭურვილობით მიწაზე ჩამოვხტით, უმალ გამოქვაბულს შევეფარეთ, ფანრები ავანთეთ და დავზვერეთ, ქვეწარმავლები ხომ არ იყო. შემდეგ მშრალი სპირტის ტაბლეტებს ცეცხლი მოვუკიდეთ და ულუფა შევათბეთ, წიწიბურას თბილი წყალი და ორცხობილა დავაყოლეთ. ბრძანება გავეცი: „ნახევარი საათი დასვენებისა და აკლიმატიზაციისთვის". დასვენების შემდეგ რუკა გავშალე. მშვიდად შევარჩიეთ მარშრუტი და გასვლის დრო. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონეთ, ერთადერთი, ცეცხლმტყორცნების ზიდვა გაგვიძნელდებოდა, რომელსაც „დუხები" შავ სიკვდილს ან „შაითან თრუბს" ეძახდნენ. 50 მეტრ რადიუსში ყველაფერს წვავდა, ხოლო თუ მოშორებით მყოფ ადამიანს ცეცხლი არ მოედებოდა, იგი ჟანგბადის უკმარისობისგან იხუთებოდა. სამაგიეროდ 93მმ-იანი РПО სამ კილოგრამს იწონიდა და თან ახლდა ჩანთაში მოთავსებული ორი კაფსულა-გასროლა, რომელთაგან თითოეული 9 კილოგრამს იწონიდა. როგორც კი დაბინდდა, ჯგუფი ოპერაციის შესასრულებლად გავიდა. თითქმის 50 კილომეტრი უნდა გაგვევლო. მართალია, ეს მანძილი რუკაზე 50 კილომეტრით იფარგლებოდა, მაგრამ ვინც ავღანეთში არ ყოფილა, მისთვის წარმოდგენაც კი ძნელია, რა საშინელი გასავლელია ავღანეთ-პაკისტანის უგზო, კლდიანი საზღვარი, მით უმეტეს, მძიმე აღჭურვილობით. გადავწყვიტეთ, ღამით გვევლო. ჯერ ერთი, შეუმჩნევლნი რომ ვყოფილიყავით, მეორეც – დღისით აუტანელ, 45-გრადუსიან სიცხეში სიარული ტვირთის გარეშეც კი შეუძლებელი იქნებოდა. ერთი ორიენტირიდან მეორემდე ხან სიარულით, ხან სირბილით მივდიოდით. ყოველ ორიენტირთან მომდევნომდე აზიმუტს კომპასის საშუალებით ვადგენდით. ეს იმავდროულად შესვენებაც იყო, შემდეგ შესაბამის ადგილს რუკაზე აღვნიშნავდით და ისევ წინ მივიწევდით. ასე წვალებით მივუახლოვდით გამთენიისას დანიშნულ საიდუმლო წერტილს. ყველაზე ნაკლებშესამჩნევი ადგილი შევარჩიეთ, რომელიც კლდის ნატეხებისგან ერთგვარ ბუნებრივ საფარს ქმნიდა. წყალი ავადუღეთ, ჩანთიდან ღორის ქონის ვაკუუმიანი პაკეტები ამოვიღეთ და ორცხობილასთან და ადუღებულ წყალთან ერთად შევჭამეთ. ჩვეულებრივ კომფორტულ პირობებში ამ პროდუქტის ჭამა, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე უსიამოვნო რამ არის, მაგრამ იქ, დამშეული და ქანცგაწყვეტილი ადამიანისთვის ნამდვილი დელიკატესია. რაც შეეხება ვაკუუმიან პაკეტებს, ასეთ პირობებში ღორის ქონი უმაცივროდ დიდხანს ინახება. გათენებისას გრილა და ღორის ქონის ჭამა შედარებით იოლია, შუადღის სიცხეში კი შეუძლებელია, მაგრამ ღამით სიარულისგან დაღლილებს მეტი კალორიები გვესაჭიროებოდა... ღორის ქონს აუცილებლად ვაყოლებდით ადუღებულ წყალს (ან სპირტი უნდა გქონდეს თან), წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია, საერთოდ არ ჭამო, რადგან ღორის ქონის გადამუშავება საკმაოდ ბევრ ენერგიას მოითხოვს. ამ დროს ორგანიზმში არსებული სითხე იხარჯება. ეს ფასდაუდებელი ცნობები კადრნი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვისგან გვქონდა მიღებული.

საუზმის შემდეგ ჯგუფი სამ სამეულად დავყავი. ერთი სამეული გუშაგებად დავაყენე, დანარჩენებმა კი დავიძინეთ. სამეულები ყოველ ორ საათში ერთხელ ცვლიდნენ ერთმანეთს. ყოველ ორ საათში ერთხელ ჩემში გამომუშავებული ბიოლოგიური საათი თავად მაღვიძებდა და ვამოწმებდი, როგორ იცვლებოდნენ სამეულები. მოსაღამოვდა. მთებში ისევე სწრაფად ღამდება, როგორც თენდება. მთელი დღის დასვენების შემდეგ ჩვენი ჯგუფი ისევ გზას დაადგა. იმ ორიენტირს მივუახლოვდით, სადაც დაახლოებით იწყებოდა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარი. დაახლოებით იმიტომ, რომ ზუსტი მინიშნება საზღვრის შესახებ არ არსებობდა. რამდენიმე კილომეტრი ძალზე დიდი სიფრთხილით უნდა გაგვევლო, რათა მესაზღვრეებს ან მოჯაჰედებს არ გადავყროდით. არჩეულ ორიენტირებს შორის მანძილი ძალზე შევამცირეთ, ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, მხოლოდ ჟესტებით ვანიშნებდით.

ორიენტირიდან ორიენტირამდე გზას და მის მიმდებარე ტერიტორიას ღამის ხედვის ჭოგრიტით ყურადღებით ვათვალიერებდი. როგორც იქნა გავიარეთ საშინლად რთული პირობითი საზღვარი. სხვა გზას ვერც ავირჩევდით. ამ მონაკვეთზე ყველაზე ნაკლებმოსალოდნელი იყო, ვინმე შეგვხვედროდა. ამ მონაკვეთის გავლის შემდეგ უფრო მოვუმატეთ გადაადგილების ტემპს. მეორე ღამეც სირბილ-სიარულში გავატარეთ, დილით კარგი სამალავი შევარჩიეთ და როგორც წინა დღეს, უზრუნველვყავით მისი დაცვა. სიმშვიდის მიუხედავად, ღამის სიფხიზლის შემდეგ, დღისით ძილი სულაც არ იყო სასიამოვნო, რადგან იგი სრულებით ვერ გვიხსნიდა ღამის დაღლილობას, მაგრამ დივერსანტისთვის აქსიომაა, რომ მიღებული დავალება ნებისმიერ ფასად უნდა შესრულოს. ერთადერთი, რაც იხსნის დივერსანტებს ამ დავალებისგან ან ტრიბუნალისგან (დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში), არის სიკვდილი. ფსიქოლოგიურად, სხვადასხვა პრეპარატით, საუბრისას ტელეპათიური ზემოქმედებითა და 25-ე კადრის ეფექტით ჩვენ სისტემატურად გვინერგავდნენ, რომ საბრძოლო ბრძანება აუცილებლად უნდა შესრულდეს, რომ სიკვდილი გარდაუვალია, არც ისე საშიშია და რომ საბრძოლო დავალების შესრულება უზომო სიამოვნებას მოგვანიჭებს. იმავდროულად გვინერგავდნენ უაზრო სიკვდილის შიშსაც.

იმავე საღამოს ვახშმის (თუ საუზმის) და რუკასთან ხანმოკლე მუშაობის შემდეგ საბოლოოდ დავასკვენით, რომ მომავალი ღამის მეორე ნახევარში დანიშნულების ადგილზე ვიქნებოდით. კლდის ნაპრალიდან გადმოსული ნაკადულიდან წყლის მარაგი შევავსეთ და ისევ გზას დავადექით. როცა ირიჟრაჟა, ნელი ტემპით მივუახლოვდით ბინ ლადენისა და გულბედინ ჰექმათიარის მიერ შექმნილი კარტოთეკის მიმდებარე ტერიტორიას. კარტოთეკა შესანიშნავად იყო შენიღბული – რამდენიმე დაბალ ბორცვს შორის, ვაკე ადგილზე რამდენიმე შენობა იდგა, რომელთა გარეთა კედლებზე წითელი ნახევარმთვარე ეხატა. ეს სამედიცინო დაწესებულების ნიშანი იყო. დაზვერვისაგან უკვე ვიცოდით, რომ ბინ ლადენმა და ჰექმათიარმა გაიზიარეს ებრაელების გამოცდილება, რომლებმაც 1948 წელს ახალშექმნილი კონტრდაზვერვის, „შინბეტის" სამმართველო განათავსეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც ოფიციალურად კეთროვანებს მკურნალობდნენ და მას შიშით ახლოსაც არავინ ეკარებოდა. წითელი ნახევარმთვარით აღნიშნულ შენობებშიც კეთროვნები ჰყავდათ და არც არავის უკვირდა, რატომ ჰყავდა ამ შენობებს გაძლიერებული შეიარაღებული დაცვა ძაღლებით. გარემოს გულდასმით დაზვერვის შემდეგ გადავწყვიტეთ, დაცვის საგუშაგოებს 500 მეტრის მანძილზე მივახლოებოდით, ვიცოდით, რომ 400 მეტრის მანძილზე ძაღლი სუნს იღებს, 100 მეტრი კი თადარიგში დავიტოვეთ. წინ წავიწიეთ; ორგანიზება გავუკეთეთ დაცვას – ერთი სამეული საგუშაგოებზე დადგა, დანარჩენებმა კი ხანგრძლივი და განუწყვეტელი თვალთვალი დავიწყეთ, რაშიც ძალიან გვეხმარებოდა დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანის ოპტიკური სამიზნეები. თვალთვალსა და სიტუაციის გაანალიზებაში რამდენიმე საათი გავიდა. დავადგინეთ, რომ შენობების მიმდებარე ტერიტორიაზე და თვით შენობებში თეთრხალათიანი მოსამსახურე პერსონალი იყო, მხოლოდ მამაკაცები. სულ ხუთი შენობა იდგა. წრეზე მოწყობილ პერიმეტრზე ხუთი საგუშაგო იყო განლაგებული, საიდანაც რაციით 15 წუთში ერთხელ რაღაცას გადასცემდნენ. ამ პერიმეტრზე მუდმივად მოძრაობდა ორკაციანი შეიარაღებული პატრული ძაღლით. გუშაგები ორ საათში ერთხელ იცვლებოდნენ. გადაწყდა, რომ შეტევას გამთენიისას სამი წერტილიდან დავიწყებდით. ჯგუფი დაიყო სამ ქვეჯგუფად, ერთში ოთხი კაცი შედიოდა, ორში კი სამ-სამი. ორმა დივერსანტმა თითო შენობის განადგურება აიღო თავის თავზე, ოთხკაციან ჯგუფს უნდა გაენადგურებინა პატრული და ერთი საგუშაგო, დანარჩენ სამკაციან ჯგუფს – ორი საგუშაგო. რჩებოდა კიდევ ორი საგუშაგო, რომლებიც ჩვენი წერტილიდან ყველაზე მეტად იყო დაშორებული და გადავწყვიტეთ, ხელუხლებელი დაგვეტოვებინა, ისინი ოპერაციის შესრულებაში ნაკლებად შეგვიშლიდნენ ხელს. დაიგეგმა: ვუთვალთვალებთ სამ საგუშაგოსა და პატრულს. როგორც კი პატრული ამ საგუშაგოების მონაკვეთში აღმოჩნდება და გუშაგები რაციით გადასცემენ ინფორმაციას, ჩაირთვება პირობითი წამზომი და ჩვენს განკარგულებაში იქნება 15 წუთი. სამკაციანი ჯგუფების თითო სნაიპერი და ოთხკაციანი ჯგუფის ორი სნაიპერი დაიწყებენ გუშაგების განადგურებას (სულ ოთხი სნაიპერული შაშხანა გვქონდა). რადგან ძაღლები ექსტრემალურ სიტუაციაში უფრო სწრაფად რეაგირებენ, ამიტომ ჯერ ძაღლს ესვრიან, მხოლოდ ამის შემდეგ გუშაგებს. ერთი ობიექტის, ადამიანისა და ძაღლის განადგურებაზე გათვლილი იყო 5 წამი. საგუშაგოებისა და პატრულის განადგურების შემდეგ თადარიგში გვრჩებოდა 14 წუთი და 30 წამი. ოპერაციის ამ ეტაპზე 15 წამი დავამატეთ რომელიმე დაჭრილი ობიექტისკენ განმეორებითი გასროლის საჭიროებისთვის, რადგან ცეცხლი უნდა გახსნილიყო მას შემდეგ, რაც გუშაგები რაციით გადასცემდნენ არსებული სიტუაციის შესახებ. ეს იყო ჩვენი პირველი საცეცხლე ზღუდე. შემდეგი ორი წუთის განმავლობაში სირბილით მივიდოდით მეორე საცეცხლე ზღუდემდე – საგუშაგოებამდე. განაწილდა შენობები, მეორე საცეცხლე ზღუდიდან ვინ რომელ შენობაზე მიიტანდა იერიშს ცეცხლმტყორცნებით. შემდეგ იმავე მარშრუტით დავბრუნდებოდით პირველ საცეცხლე ზღუდეზე და ნებისმიერი საშუალებით დავტოვებდით იქაურობას.

გეგმას რამდენიმეჯერ გადავხედეთ და ყველა წვრილმანი საბოლოოდ დავაზუსტეთ (ამას სამხედროები რეკოგნისცირებას უწოდებენ). ჯგუფმა პოზიციები დაიკავა. პოზიციები ისე შევარჩიეთ, რომ ერთმანეთის დანახვა შეგვძლებოდა.

მზე ნელ-ნელა გადაიწვერა. მიწაზე გავწექით და დაიწყო ყველაზე მტანჯველი პერიოდი – დაღლილები ალიონს ფხიზლად უნდა შევხვედროდით. როგორც კი ინათა, უკვე აღარავის გვეძინებოდა – ჰაერში სიკვდილის სუნი იგრძნობოდა, თუმცა ვისი, არავინ იცოდა. ამ წუთებში ადამიანში ენით აუწერელი, ზებუნებრივი შეგრძნებები ჩნდება, რომელსაც ძალიანაც რომ მოინდომო, ყოველდღიურ ყოფაში ვერ შეიგრძნობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ჭიანჭველას სიარულის ხმა და ჩიტის სუნთქვა გესმის, წამის სიზუსტით გრძნობ დროის სვლას. გაშლილი ხელისგულების აწევით ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვანიშნეთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო. უკვე შეუიარაღებული თვალით ვხედავდით, გუშაგები ძილისგან თავს როგორ ქინდრავდნენ. პატრული ჩვენ მიერ შერჩეულ პირველ საგუშაგოს მიუახლოვდა. გუშაგებმა რაციით ინფორმაციის გადაცემა დაიწყეს, როგორც კი მათ ლაპარაკი დაამთავრეს, ჯგუფის წევრებს ნიშანი მივეცი — მარცხენა ხელი შეკრული მუშტით წინ გავმართე, ანუ სნაიპერებს უკვე გადატენილი და აქამდე მცველზე დაყენებული შაშხანები მცველიდან უნდა მოეხსნათ და მიზანში ამოეღოთ ობიექტები. როცა გვერდითა საცეცხლე წერტილებიდან იგივე ნიშანი მივიღე, ჩემი გულისცემა გუგუნივით შემომესმა. იმავე წამს სნაიპერებს ცეცხლის გახსნის ნიშანი მივეცი — მარცხენა ხელის მუშტს მარჯვენას გაშლილი ხელისგული დავარტყი (ეს ჩვენში გინების ჟესტია) და მაშინვე გაისმა პირველი შაშხანიდან გასროლის ხმა. მაყუჩის არსებობის მიუხედავად ახლო მყოფ ადამიანს ეს ხმა ავტომატური გადატენვის მექანიზმების ჩხაკუნთან ერთად კარგად ესმის. პირველ გასროლას შემდეგი მოჰყვა და თითქოს უსასრულოდ ჩხაკუნებდა მექანიზმები. რამდენიმე წამში სროლა შეწყდა. ერთი წამის განმავლობაში, რომელიც უსასრულოდ გაიწელა, ყველანი ადგილზე ვიყავით გაშეშებული. როგორც წესი, სნაიპერებმა ოპტიკური სამიზნის მეშვეობით თავიანთი „ნახელავი" შეამოწმეს. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით კიდევ ორი გასროლა გაისმა; მივხვდი, მიზანში ამოღებული ობიექტებიდან ორი დაჭრილი იყო და სანამ ისინი შოკში იყვნენ და ტკივილს ვერ გრძნობდნენ, სნაიპერებმა საკონტროლო გასროლები წარმატებით დაასრულეს. ჩემ გვერდით მყოფმა სნაიპერებმა ცერა თითები ასწიეს, გვერდითი საცეცხლე წერტილებიდან მაშინვე მომცეს იგივე ნიშანი, რაც ნიშნავდა იმას, რომ პირველი საცეცხლე ზღუდე გადალახულია. მარჯვენა ხელი გაშლილი მტევნით მაღლა ავწიე და დავიქნიე — ცეცხლმტყორცნები ავიკიდეთ და მეორე საცეცხლე ზღუდისკენ გავიქეცით. ჩვენ თვითონ გვიკვირდა, რა სისწრაფით მივრბოდით ამხელა ტვირთით. ამისკენ ექსტრემალური ვითარება გვიბიძგებდა. 500 მეტრის გასარბენად ორი წუთი არც კი დაგვჭირდა. სამი საგუშაგოს მონაკვეთში გაშლილ ჩვენს ჯგუფს შენობებამდე დაახლოებით 100 მეტრი აშორებდა. ჩანთებიდან სწრაფად ამოვიღეთ კაფსულ-გასროლები, დავტენეთ ცეცხლმტყორცნები და წინასწარ შერჩეული შენობები მიზანში ამოვიღეთ. ამ სიტუაციაში ჯგუფის ყველა წევრი მეთაურის პირველ გასროლას ელოდება, ხოლო მეთაური შეძლებისდაგვარად აყოვნებს გასროლას რამდენიმე წამით, რათა ჯგუფის წევრებს მობილიზებისა და დამიზნების საშუალება მისცეს. ათამდე უნდა დამეთვალა. გულმა ათჯერ ისევ შემოჰკრა... და მარჯვენა ხელის თითი ცეცხლმტყორცნის სასხლეტს დავაჭირე. გასროლის ხმამ სმენა დამიხშო. РПО-ს გასროლის ხმა ბევრად უფრო გამაყრუებელი იყო, ვიდრე იმ დროისთვის მსოფლიოში ფავორიტად აღიარებული ხელყუმბარმტყორცნის РПГ-7-ის ხმა. შენობებში ცეცხლის ალი ავარდა. პირველი გასროლის შემდეგ ცეცხლმტყორცნები დაუყოვნებლივ გადავტენეთ და ისევ ვისროლეთ. კაფსულაში არსებული ნაპალმის აფეთქებამ ხუთივე შენობა და მათი მიმდებარე ტერიტორია ცეცხლის ალში გახვია. სროლის ხმისგან გაყრუებულებმა იმავე წამს ნამწვის სუნიც ვიგრძენით. საზარელი სანახაობა იყო, იწვოდა ყველაფერი: შენობები, მიწა, ჰაერი. ალმოდებული შენობებიდან გამოსვლა ვერც ერთმა ადამიანმა ვერ შეძლო.

დავალების პირველი ნაწილი შესრულებული იყო. ახლა მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა შეგვესრულებინა — ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრი უკან უნდა დავბრუნებულიყავით. ცეცხლმტყორცნები იქვე დავყარეთ და ალმოდებულ შენობებს ზურგი ვაქციეთ. ორიოდე წუთში პირველ საცეცხლე ზღუდეზე შევიკრიბეთ. ათივენი უვნებლები ვიყავით. დიდხანს დაყოვნება არ შეიძლებოდა. ჯგუფის წევრებს ოპერაციის წარმატებით დასრულება მივულოცე და უმალვე იქაურობას გავეცალეთ. მთელი დღის განმავლობაში საშინელ სიცხეში იმავე გზით უკან მივრბოდით. სირბილი ჩვენი გადარჩენის აუცილებელი პირობა იყო. მეორე დილას საზღვარი უკან გადმოვიარეთ. Ми-8 უკვე გველოდა, რომელმაც ახლა უკვე დაცვის გარეშე მძინარე დივერსანტები ქაბულის სამხედრო აეროდრომში დაგვსვა. ძლივს გაგვაღვიძეს და ნახევრად მძინარენი თვითმფრინავში ჩაგვსხეს, რომელმაც ისევ მძინარეები სამშობლოში, ანუ საბჭოთა კავშირში დაგვაბრუნა (მაშინ ასე გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო). აეროპორტში ავტობუსი გველოდა, რომელმაც სასტუმროში წაგვიყვანა. გზაში უეცრად ერთ-ერთმა დივერსანტმა, მეტსახელად „სპილომ" იკითხა: „ცეცხლმტყორცნები? ხომ ნახავენ?!" გამეცინა: „ნუ გეშინია, ჩვენი მთავრობა ამას უბრალოდ უარყოფს, რადგან თავად მოჯაჰედებს დიდი რაოდენობით აქვთ ნაალაფარი საბჭოთა იარაღი და სწორედ მათ დააბრალებს ამ დივერსიას, მით უმეტეს, რომ დეზერტირობის მსურველ მოჯაჰედებს ეს კარტოთეკა ძვალივით ეჩხირებათ ყელში. გაიგე, „სპილო", ცოტა ლოგიკაც საჭიროა, მარტო ხორთუმის ქნევა კი არ არის საქმე". მერე „ტახმა" შეიცხადა: „აუ, ახლა ქალების თავი სად გვაქვს, ძილი ყველაფერს გვირჩევნია, მაგრამ ჩვენთვის განკუთვნილ ათ დღეში რომ ველარ ჩავეტევით?" „შენ არ იდარდო, — მივუბრუნდი სასოწარკვეთილ „ტახს", — სამ დღე-ღამეს კიდევ „დაგვიმატებენ" ჰაუპტვახტში მოუწესრიგებელი გარეგნული იერისთვის და... ქალებიც ჩვენია". შემდეგ ისევ ძილს მივეცით თავი იმ საამური ფიქრებით, რომ წინ გველოდა ათასმანეთიანი ჯილდო, კარგი ჭამა-სმა და ძალიან, ძალიან მონატრებული ქალები.

ყველაზე დიდ სიამოვნებას კი იმის გაფიქრება გვგვრიდა, რომ დავალება შესრულებულია და ყველანი ცოცხლები ვართ...



**მაიორი**
**ზურაბ ხუციშვილი**

# უბადლო მონადირე



**ოდესღაც დიდი კატების მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენელი გეპარდი თავისუფლად ნადირობდა აფრიკის სავანებში, ინდოეთის უსასრულო დაბლობებსა და არაბეთის ცხელ უდაბნოებში. დღეს კი ეს სახეობა იშვიათობას წარმოადგენს და „წითელ წიგნშია" შეტანილი. გეპარდების რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. მიზეზი მათზე ნადირობა (თუმცა, ადამიანმაც შეიტანა წვლილი ამ ჯიშის შემცირებაში, — თვალწარმტაცი სილამაზის ტყავის გამო უამრავი დაუხოცავს) ან საკვები ბაზის შემცირება კი არა, მისი გენეტიკური ერთფეროვნებაა.**

კვლევებმა დაადასტურა, რომ როგორც უნდა დავიცვათ ბუნების ეს მშვენება, როგორი საუკეთესო პირობებიც უნდა შევუქმნათ, ისინი მაინც განწირული არიან გადაშენებისათვის. მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია მათი ხსნა.

დასანანია, რომ კაცობრიობამ შეიძლება სამუდამოდ დაკარგოს კიდევ ერთი ულამაზესი ჯიშის ცხოველი. გეპარდი უფრო მწევარ ძაღლს წააგავს, ვიდრე თავის უძველეს წინაპარ კატას. თავისი შორეული ნათესავი ლომებისა და ვეფხვების მსგავსად მას არ შეუძლია ღრიალი. უფრო ძაღლივით წკავწკავებს ან ფრინველისთვის დამახასიათებელ ხმას გამოსცემს.

გეპარდის სხეულის სიგრძე 150 სანტიმეტრს აღწევს, წონა 70 კილოგრამზე მეტს. გრაციოზული, პლასტიკური და მოხდენილი ცხოველია. შეუდარებელი მონადირეა — მსხვერპლს ჯერ განსაზღვრულ მანძილზე მიეპარება, შემდეგ ელვისებური სისწრაფით გამოუდგება, წააქცევს, ყელში ეცემა და ახრჩობს. წვრილი, ჩამოქნილი ფეხებით გეპარდი არნახულ სისწრაფეს ავითარებს — 500-მეტრიან მონაკვეთზე 115 კილომეტრს საათში.

გეპარდის სამი-ოთხ თვის ნაშიერები უკვე იწყებენ ნადირობის ანბანის ათვისებას. ისინი დედას დაჰყვებიან დილა-საღამოს ნადირობისას. სწავლობენ უჩუმრად მიპარვას, გატრუნვას, როცა მსხვერპლი იგრძნობს ნადირის მიახლოებას; ისევ უჩუმრად მიპარვას, სანამ მიზანში ამოღებულ ცხოველამდე დაახლოებით 100 მეტრი არ დარჩება და მაშინ მოქლალომოყვითალო ახალბედა მონადირე ბედისწერასავით ატყდება მსხვერპლს.



გეპარდის ყბები და კბილები არ გამოირჩევა სიძლიერით, ისე როგორც ვეფხვებისა და ლომებისა, ცხვირ-პირიც ძაღლს უფრო მიუგავს, ვიდრე კატისას. ამიტომ პატარა გეპარდები დედისაგან ყელში უცდომელად წვდომას სწავლობენ, რადგან ყბების სისუსტის გამო სხვა ადგილას კბილებით ჩაჭიდება მსხვერპლს სასიკვდილო ზიანს ვერ აყენებს. ორი წამის განმავლობაში გეპარდი 70 კმ/სთ-ს ავითარებს, ამ დროს იგი გრაციოზულობის განსახიერებაა. ბრჭყალები ამ მორბენალ რეკორდსმენს დიდი სისწრაფის დროს მიმართულების ელვისებურად შეცვლაში ეხმარება. როცა გეპარდი თავისი საყვარელი ტომპსონის ქურციკის ჯოგიდან რომელიმეს ამოირჩევს, ჯერ წააქცევს მსხვერპლს, შემდეგ ყელში ეცემა და ერთი კბენით კლავს.

სხვა, უფრო დიდი ზომის კატისმაგვართა მსგავსად, გეპარდი ლეშით არ იკვებება. ახალი ნანადირევით გამძღარი მორჩენილ საკვებს სვავებსა და ტურებს უტოვებს. ლომების მსგავსად ნანადირევს მომავალ დანაყრებამდე არ დარაჯობს და არც ვეფხვივით ბრუნდება გადამალულ ნანადირევთან.

მიუხედავად მონადირული ჟინისა და შემართებისა, გეპარდი ბუნებით მშვიდი და ალერსიანი ცხოველია, მისი ადამიანზე თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ არის აღნუსხული. სამაგიეროდ, ადამიანი ერჩის. უზარმაზარი, რვამეტრიანი ნახტომები გეპარდს საშუალებას აძლევს უცბ გაუსწროს სადოლე ცხენებს. ერთობ მოქნილი ხერხემალი კი ხელს უწყობს თითოეული ნახტომის დროს წინ გაისროლოს ძლიერი უკანა ფეხები. მარულებისა და დოღების ტრადიციის ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე, სირიაში, ინდოეთსა და შუა აზიაში იმართებოდა გეპარდების სისწრაფეში შეჯიბრებები.

გეპარდის სამონადირეო თვისებებსაც დიდი ხანია მიაქცია ყურადღება ადამი-



ანმა და უხსოვარი დროიდან მოიშინაურა იგი, ქორ-მიმინოსავით გამოსაყენებლად. ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3000 წლის წინ სამონადირეოდ გაწვრთნილ გეპარდებს შუმერები იყენებდნენ. მათ ძველი ეგვიპტელებიც სწყალობდნენ. პირველი დოკუმენტური ცნობა გეპარდების ნადირობისას გამოყენებისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1580-1345 წლებს მიეკუთვნება. გამოსახულებამ, რომელზეც ჯაჭვით დაბმული ავაზები (გეპარდის ახლო ნათესავები) ადამიანებს უკავიათ, ჩვენამდე ეგვიპტის ფარაონთა XVI-XVIII დინასტიიდან მოაღწია. მრავალი ასეული წლის წინ გეპარდებით ნადირობდნენ თანამედროვე ავღანეთის, იორდანიის, ირანის, სირიის, ერაყის, შუა აზიის ქვეყნების, პაკისტანის, ინდოეთისა და ჩინეთის ტერიტორიებზე, ასევე, კავკასიაშიც. ავაზებით ნადირობდა „უშიში ვითარცა უხორცო“, „მესიის მახვილად“ წოდებული გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი პირველიც, რომლისთვისაც მონადირე ცხოველებს ტაოელი დიდებულების, ჩორჩანელების შთამომავალი ფარსმან სპარსი წვრთნიდა (კ. გამსახურდია. „დიდოსტატის მარჯვენა“). სიდ-მოჰამედ-ალმანგალის სამონადირეო ტრაქტატში, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის X საუკუნეს განეკუთვნება, მოთხრობილია გეპარდებით ნადირობის ტექნიკურ ილეთებსა და არაბეთში ამ ცხოველებით ნადირობის წესების შესახებ. XVIII საუკუნის ავტორის ცნობის თანახმად, სპარსეთში ავაზებით ნადირობა ისე ყოფილა გავრცელებული, რომ გაწვრთნილი ცხოველები ბაზარში ჰყავდათ გასაყიდად გამოყვანილი. „ცხოველები ისე იყვნენ მოთვინიერებული, რომ მყიდველს შეეძლო, ნაყიდი გეპარდი ცხენზე უკან მშვიდად შემოესვა“, – მოგვითხრობს ავტორი.

ინდოეთის მბრძანებელ დიდ აქბარს ერთდროულად 1000 გეპარდი ჰყოლია. იგი ცდილობდა გეპარდები ტყვეობაში გაემრავლებინა. ამისათვის მათ სამეფო ბაღში თავისუფლად სეირნობის უფლებასაც აძლევდა. მიუხედავად ამისა, მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად 1000 ცხოველისაგან მან მხოლოდ ერთი ნაშიერის ხილვალა მოასწროო, გვიამბობს ქრონიკის ავტორი.

გეპარდები ევროპაშიც ადრიდანვე იყვნენ ცნობილი. ძველბერძნულ (ელინურ) ჭურჭელზე გამოსახული მონადირე ცხოველები აშკარად გეპარდებს ჰგვანან. პირველი წერილობითი ცნობა ავაზების სანადირო დანიშნულებით გამოყენების შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის 439 წელს მიეკუთვნება. მემატიანე გვაუწყებს, რომ კონსტანტინეპოლის იმპერატორ თეოდოსი II-ს ინდოეთიდან ორი მონადირე ავაზა ჩამოუყვანეს. ისტორიული ქრონიკების ცნობით, როცა ჯვაროსნები კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ, მოსახლეობამ მათ ლომები და ავაზები მიუსიეს, თუმცა, ეს უკანასკნელნი თურმე მომხდურებს არაფერს ერჩოდნენ. ავაზებით ირემზე ნადირობის სურათებია გამოსახული XII-XIII საუკუნეეის ბიზანტიურ და ქართულ მინიატიურებზეც. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად წამოსულ ევროპელ ფეოდალებს, რომლებიც სირიასა და პალესტინაში დამკვიდრდნენ, არაბების მსგავსად მონადირე ავაზები ჰყავდათ. საგანგებო საჩიხეში დამწყვდეულებს, მათ მწვრთნელები და მონადირე-ბაზიერები უვლიდნენ. საფრანგეთში ავაზებით ნადირობა XI საუკუნეში დაიწყეს. აღორძინების ხანაში დიდგვაროვანთა კარზე ავაზები ისე იყვნენ მომრავლებული, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებიც გახდნენ. ასევე ხშირია მათი გამოსახულებანი ფერწერულ ტილოებსა და გობელენებზე. ავაზებით ნადირობა პოპულარული იყო შუა საუკუნეების იტალიაშიც. „წმინდა რომის იმპერიის“ იმპერატორ ფრიდრიხ მეორეს ლუჩერეს ციხესიმაგრეში ჰქონდა გეპარდების საგანგებო საჩიხს, რომელშიც მრავალი გაწვრთნილი ცხოველი ბინადრობდა. ავაზებით მას აფრიკიდან ამარაგებდნენ. მილანის ჰერცოგ ლუდვიგ მორსაც მრავლად ჰყავდა ავაზები. როცა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთორმეტემ 1499 წელს მილანს ალყა შემოარტყა, ცხოველები ფრანგების ალაფად იქცნენ და ფრანგმა მეფემაც დაიწყო ამბრუაზის ტყეში შვლებსა და კურ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დლლებზე ავაზებით ნადირობა. ფლორენციაში, მედიჩების სამლოცველოში (ახლანდელი „პალაცო რეკორდი“) ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ქორ-შევარდნებითა და გეპარდებით ნადირობა: ერთი მოშინაურებული გეპარდი ცხენზე, მონადირის უკან ზის, მეორეს მონადირე უნაგირზე სვამს, მესამე კი უკანა პლანზე ირემს მისდევს. ფრესკა XV საუკუნეს განეკუთვნება.

მოგვიანებით „წმინდა რომის იმპერიის“ იმპერატორ ლეოპოლდ პირველს თურქეთის სულთნისგან საჩუქრად ორი მოშინაურებული ავაზა მიუღია. ავაზებით ნადირობა, მათი გაწვრთნა, მოვლა-შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა და მხოლოდ მდიდარ ფეოდალებს მიუწვდებოდათ ხელი. ამიტომაც ამ ცხოველით ნადირობას, რომელმაც თავისი აყვავების ხანას ევროპაში XII-XV საუკუნეებში მიაღწია, სამართლიანად უწოდეს „სამეფო ნადირობა“. შემდგომში, ფეოდალური სახელმწიფოების რღვევასა და გაქრობასთან ერთად, ამ უნიკალური მტაცებლებით ნადირობამაც თანდათან იკლო და XVIII საუკუნის ბოლოსთვის სრულიად გაქრა ევროპაში.

სანადიროდ მხოლოდ მოზრდილ ასაკში დაჭერილი ავაზები გამოიყენებოდა. ასეთი ცხოველები დედისაგან ნასწავლ მიპარვის ხელოვნებას ფლობენ. კნუტობის პერიოდში დაჭერილი და მოთვინიერებული ავაზები ნადირობისთვის გამოუსადეგარი იყვნენ.

გეპარდის დაჭერის ერთ-ერთი ხერხი მისი დევნა იყო. ღია ტრამალზე შენიშნულ ავაზას მონადირე ცხენოსნები გამოეკიდებოდნენ. მხეცი თავდასახსნელად გარბოდა. მართალია, მას შეუდარებელი სისწრაფე აქვს, მაგრამ გამძლეობა ღალატობს და მალე იღლება. ამიტომ მრავალკილომეტრიანი დევნის შემდეგ არაქათგამოცლილი უმწეოდ მიეგდება ხოლმე მიწაზე. მდევნელს ისღა დარჩენია, ბადე ესროლოს და გათოკილი შინ წაიყვანოს. შემდეგ გეპარდს რამდენიმე დღით ბნელ ადგილას, გალიაში ათავსებდნენ, ან თვალებს შუქგაუმტარი ქსოვილით უხვევდნენ. მომავალი მონადირის გაწვრთნა შედარებით ადვილი იყო. მას ერთხანს არ აჭმევდნენ და დაძინებას უშლიდნენ. სამაგიეროდ, ქალების გაუთავებელ საუბარს ასმენინებდნენ. გახსოვთ, ალბათ, ფარსმან სპარსი რომ უხსნის გიორგი მეფეს: ავაზა ერთადერთი სულდგმულია დედამიწის ზურგზე, დიაცთა გაუთავებელი ლაყბობის მოსმენა რომ შეუძლიაო. საუბრისას ქალები დროდადრო მოსათვინიერებელი ავაზის სახელსაც ახსენებენ, რათა შეაჩვიონ მასზე რეაგირებას. შემდეგ დაუძლურებულ და დამშეულ ცხოველს მისი მწვრთნელისა და მომვლელის ხელიდან საკვების მიღებას ასწავლიან. საჭმელს ხის პატარა გობით ან რბილობამოცლილი გოგრით აძლევდნენ. ჭამის წინ მწვრთნელი გობს ხეზე დააკაკუნებდა. ამ უბრალო ხერხით გეპარდს პირობითი რეფლექსი უვითარდებოდა. კაკუნი ხდებოდა საჭმლის მომნელებელი სისტემის გააქტიურების ნიშანი. ავაზას თბილი სისხლითაც კვებავდნენ. პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბების შემდეგ გეპარდს თვალსახვევს ხსნიდნენ და ნათელ სათავსში გადაჰყავდათ. ავაზა თანდათან ეჩვეოდა ხალხის ცქერასა და საუბრებს, შინაურ ცხოველებს, ურმებს. ცნობდა თავის მწვრთნელსა და პატრონს და შესაბამისად რეაგირებდა დაკაკუნებაზე.

ჯაჭვებით დაბმული, ნახევრად მოთვინიერებული ავაზა ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში, ბაზრებში გაჰყავდათ. როცა ავაზა პატრონს მიეჩვეოდა (ზოგჯერ მათ ერთ საწოლზე ეძინათ), მას ცხენებსა და ძაღლებთან „ურთიერთობას“ აჩვევდნენ, შემდეგ კი ცხენზე, მონადირის უკან ჯდომას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ მის ნადირზე დაგეშვას. გეპარდით უმეტესად ანტილოპებსა და კურდღლებზე ნადირობდნენ, ხანდახან შველებზე, ირმებსა და სხვა უფრო მსხვილ ნადირზეც გეშავდნენ. შუა აზიაში ავაზებით მელიებზეც ნადირობდნენ.

არსებობდა დაგეშილი ავაზებით ნადირობის რამდენიმე ხერხი: გეპარდს პატარა ორთვლიან ურემზე სვამდნენ, რომელსაც უკან ტრამპლინის მსგავსი მოწყობილობა ჰქონდა. ზოგჯერ ჩვეულებრივი ურმითაც მიჰყავდათ. ანტილოპები მიჩვეული იყვნენ გლეხების ამ ტრანსპორტს და არ უფრთხოდნენ მას. თუ გაშლილ ადგილას ნადირობდნენ, ავაზას 100-200 მეტრის მანძილიდან მიუსევდნენ მსხვერპლს. ბუჩქნარ ადგილას კი უფრო შორი მანძილიდან ეპარებოდა მსხვერპლს. ურემზე ავაზას ჯაჭვით ან თოკით აბამდნენ, რომლის ერთი ბოლო გეპარდის წელზე ჩამოცმულ ქამარზე იყო მიმაგრებული, უფრო იშვიათად კი ყელზე გამობმული. ცხოველს ყურადღება რომ არ გაფანტვოდა და არ გადაღლილიყო, მგზავრობის დროს თვალები ახვეული ჰქონდა. ანტილოპების ჯოგის შემჩნევისას, მონადირეები ურემზე შესმული გეპარდით იწყებდნენ მის გარშემო წრიულ მოძრაობას, მანამ, სანამ მანძილი მონადირესა და მსხვერპლს შორის 300-100 მეტრით არ შემცირდებოდა. შემდეგ გეპარდს თვალსახვევს მოხსნიდნენ, აუშვებდნენ და დაანახვებდნენ ანტილოპებს. თუ მანძილი მათ შორის დიდი იყო, მტაცებელი მიპარვას იწყებდა. როცა ცოცვით მიეპარებოდა, გამოდევნებას იწყებდა, მერე მსხვერპლს თათებით წააქცევდა და ყელში კბილებჩაფრენილი ახრჩობდა. ამ დროს მასთან მონადირე მიირბენდა, გადაუჭრიდა ყელს ნანადირევს, გეპარდის საკვებ ჯამს ცხელი სისხლით ავსებდა და მტაცებელს ასმევდა. შემდეგ ისევ ჩამოაცვამდნენ თვალსახვევს, ურემზე აბამდნენ და ახალი მსხვერპლის საძებნელად მიემართებოდნენ.

ძველად გეპარდებით, ქორ-შევარდენ-მიმინოთი, არწივებითა და მონადირე ძაღლებით ერთდროულად ნადირობდნენ. როცა მსხვერპლს ჩირგვნარში ან ბუჩქნარში მოიმწყვდევდნენ, ბაზიერები შევარდენ-მიმინოებითა და მონადირე ძაღლებით შედიოდნენ შიგ და ძაღლებს აუშვებდნენ. თუ გნოლი ან მტრედი აფრინდებოდა, შევარდნები და მიმინოები მსხვერპლს ეტანებოდნენ. თუ ბუჩქებიდან კურდღელი ან მელა გამოვარდებოდა, საქმეში არწივები და შევარდნები ერეოდნენ. თუ ბუჩქებიდან ქურციკი ან ირემი გამოსხლტებოდა, მათ მოსანადირებლად ავაზები იყვნენ მზად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «შავი შაშვის» ელვისებური გაელვება

# SR-71



## ისინი საბჭოთა საქართველოს შავი ზღვიდან უღებდნენ სადაზვერვო ფოტოსურათებს

ამ უნიკალური თვითმფრინავის სახელი პირველად თავად აშშ-ის პრეზიდენტმა ჯონსონმა დაამახინჯა, როდესაც 1964 წლის ივლისში აღიარა, რომ ამერიკას მსოფლიოში უსწრაფესი მზვერავი თვითმფრინავი მართლაც ჰყავდა.

ტრადიციულად, ამერიკული სტრატეგიული მზვერავის თვითმფრინავების სახელი RS-ით იწყებოდა, რაც „მზვერავ-სტრატეგიულს" ნიშნავს. პრეზიდენტმა ჯონსონმა კი ორი ასო გადააადგილა და SR გამოთქვა. შესაბამისად, უნიკალურ ამერიკულ სტრატეგიულ მზვერავ თვითმფრინავს სახელწოდება SR-71 შემორჩა.

თვითმფრინავის შექმნის ისტორია უშუალოდ უკავშირდება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სურვილს, ჰქონოდა საბჭოთა სტრატეგიული ობიექტებისა და სამხედრო აეროდრომების დეტალური სადაზვერვო ფოტოსურათები.

მანამდე, 1960 წლის 1-ელ მაისს, საბჭოთა მეზენიტეებმა C-75 ტიპის საზენიტო რაკეტით ქალაქ სვერდლოვსკთან პაკისტანის ტერიტორიიდან შემოფრენილი ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი U-2 ჩამოაგდეს. პილოტი პაუერსი ცოცხალი გადარჩა, თვითმფრინავის ნამსხვრევებში აღმოჩენილი სადაზვერვო ფოტოაპარატების ფირებზე კი იმ დროისთვის მკაცრად გასაიდუმლოებული ბაიკონურის კოსმოდრომი და სტრატეგიული ბომბდამშენების აეროდრომი იყო აღბეჭდილი.

U-2, რა თქმა უნდა, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებას ასრულებდა. ეს საბჭოთა სივრცეში ამ თვითმფრინავების უკანონოდ შეჭრის პირველი შემთხვევა არ იყო. პაუერსის თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ (კიდევ ერთი ამერიკული სადაზვერვო U-2 საბჭოთა C-75 ტიპის საზენიტო რაკეტამ კუბის თავზე 1962 წელს ჩამოაგდო) ამერიკელი მზვერავები მიხვდნენ, რომ მათ ახალი სადაზვერვო თვითმფრინავი სჭირდებოდათ, რომელიც დიდ სიმაღლეზე დიდი სიჩქარით იფრენდა და მას ვერ მისწვდებოდა საბჭოთა საზენიტო რაკეტები.



„შავი შაშვების" გუნდი

ასე შეიქმნა SR-71 Blak Bird-ი, რომელიც ექსპერიმენტული თვითმფრინავის A-12-ის შემდგომ მოდიფიკაციას წარმოადგენდა. ამ სტრატეგიულ მზვერავ თვითმფრინავს ორი ისეთი უნიკალური თვისება აღმოაჩნდა, რაც მას გამორჩეულს ხდიდა სხვა თვითმფრინავებთან შედარებით – „შავ შაშვს" 24კმ-ის სიმაღლეზე 3300 კმ/სთ სიჩქარით ფრენა შეეძლო!

სწორედ ეს უნიკალური მონაცემები აძლევდა საშუალებას „შავ შაშვს", რომ დაუსჯელად ეფრინა სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცეში და „უტიფრად" გადაეღო სადაზვერვო ფოტოები.

„შავი შაშვის" ფოტოობიექტივში

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბრძოლო თვითმფრინავის (ზემოთ) და სასწავლო მოდიფიკაციის კაბინები



საქართველოც აღმოჩნდა. ეს პროცესი 1979 წელს დაიწყო, როდესაც დიდი ბრიტანეთის მილდენჰელის საჰაერო ბაზაზე ამერიკელმა სტრატეგებმა ორი SR-71 და ორი U-2R გადაიყვანეს. აქედან აფრენილი SR-71 ატლანტის ოკეანისა და გიბრალტარის სრუტის გავლით ხმელთაშუა ზღვის თავზე აღმოჩნდებოდა (შემოვლით გზას „შავი შაშვის" პილოტები იმიტომ იყენებდნენ, რომ პარიზი მათ უკრძალავდა საფრანგეთის ტერიტორიის გადაკვეთას). სიცილიის თავზე „შავი შაშვი" მეორედ მოიმარაგებდა საწვავს საჰაერო ტანკერებისგან და გეზს ლიბიისკენ იღებდა, შემდეგ მკვეთრად ჩრდილოეთით გადაუხვევდა. თურქეთის საჰაერო სივრცეს კვეთდა და შავ ზღვაში აღმოჩნდებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „შავი შაშვის" სადაზვერვო ფოტოაპარატებს (რომლებიც თვითმფრინავს ბორტებზე ჰქონდა დაყენებული) 150 კმ-ის სიღრმეში შეეძლოთ დეტალური ფოტოსურათის გადაღება, ადვილი მისახვედრია, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში კარგად იცნობდნენ საბჭოთა საქართველოს. „შავი შაშვების" დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა საბჭოთა სამხედრო აეროდრომები მერიაში, ცხაკაიაში, კოპიტნერში, გუდაუთაში, ასევე ფოთისა და ოჩამჩირის სამხედრო-საზღვაო პორტები.

თუმცა მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ზებვირი „შავი შაშვები" მხოლოდ საბჭოთა საქართველოს საზღვრებთან „ნავარდობდნენ".

საბრძოლო ამოცანის შესრულება პირველად მათ ვიეტნამში, 1968 წელს მოუხდათ. იაპონიაში, ოკინავაზე ოთხი SR-71 გადაისროლეს, რომლებიც ინტენსიურად დაფრინავდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამის საჰაერო სივრცეში და დეტალურ სადაზვერვო ფოტოსურათებს იღებდნენ. ვიეტნამელმა მეზენიტეებმა არაერთი საბჭოთა საზენიტო რაკეტა C-75 გაუშვეს მათ ჩამოსაგდებად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, თუმცა ამ ოპერაციებს ორი „შავი შაშვი" მაინც შეეწირა. ერთ-ერთმა SR-71-მა მაშინ დაკარგა ფრენის უნარი და შტოპორში ჩავარდა, როდესაც მისმა პილოტმა ენერგიული მანევრირება განახორციელა. მეორე „შავმა შაშვმა" საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ მართალია მიაღწია თავის აეროდრომს, მაგრამ სამუხრუჭე პარაშუტის დაკარგვის გამო ვეღარ მოასწრო დამუხრუჭება და დაიმტვრა.

„შავი შაშვის" სწრაფმქროლი შავი სილუეტის ნახვის „ბედნიერება" კუბელებსაც ერგოთ წილად, როდესაც 1978 წელს თეთრი სახლი სწორედ SR-71-ების საშუალებით ამოწმებდა, რომელი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავები – გამანადგურებელი МиГ-23 თუ ტაქტიკური ბირთვული ბომბის მატარებელი გამანადგურებელ-ბომბდამშენი МиГ-27 შეიტანა მოსკოვმა კუბაში.

1989 წლისთვის SR-71-ის სადაზვერვო გაფრენების რიცხვი მკვეთრად შემცირდა მათი სიძვირის გამო – თავად განსაჯეთ, ერთი სადაზვერვო გაფრენის შესრულება სტრატეგიულ მანძილზე. თავისი ტექნიკური მომსახურებით არანაკლებ 8 მლნ აშშ დოლარი ჯდებოდა! ამასთან დედამიწის ხელოვნური სადაზვერვო თანამგზავრები უკვე იმ ხარისხისა და რაოდენობის ფოტოსურათებს იღებდნენ, რომ „შავი შაშვების" „გალობა" ნაკლებად საჭირო გახდა.

ამჟამად ორი-სამი „შავი შაშვი" დაკონსერვებულია, დანარჩენებმა კი საავიაციო მუზეუმებში დაიდეს ბინა.

*ირაკლი ალადაშვილი*

„შავი შაშვის" ოპერატორის კაბინა





SR-71-ი ასაფრენად ემზადება

SR-71-ი აფრენის დროს



აეროდრომზე დაშვებისას „შავი შაშვი“ სამუხრუჭე პარაშუტს უშვებს



**ჩვენი დოსიე:** SR-71 Blak Bird-ი სტრატეგიული მზვერავ-თვითმფრინავია. მისი პირველი გაფრენა 1064 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა. ეკიპაჟი 2 კაცისგან (პილოტისგან და სადაზვერვო აპარატურის ოპერატორისგან) შედგება. თვითმფრინავის სიგრძე 33 მ-მდეა, ხოლო ფრთების გაშლილობა კი ორჯერ ნაკლებია. მაქსიმალური ასაფრენი მასა 77 ტ-ს აღწევს, ცარიელი კი 50 ტ-ით ნაკლებს იწონის. ჰაერში საწვავით დამატებითი გაწყობის გარეშე „შავი შაშვი“ 4800 კმ-ს ფარავს. მას მაქსიმალურ სიმაღლეზე — 26 კმ-ზე აფრენა შეუძლია, ხოლო 24 კმ სიმაღლეზე კი 3300 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

1990 წლის 6 მარტს ერთ-ერთმა SR-71 ბოლო გადაფრენა განახორციელა სმიტსონის სამხედრო ბაზიდან საჰაერო მუზეუმის აეროდრომამდე. საფრენი მარშრუტის ერთ-ერთ მონაკვეთზე „შავმა შაშვმა“ ფრენის სიჩქარის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, განავითარა 3609 კმ/სთ-ში, თუმცა ეს რეკორდად არ დაფიქსირდა, რადგან უკანა მარშრუტზე ფრენა აღარ განხორციელებულა.



ამ SR-71-მა სამუდამო სამყოფელი საავიაციო მუზეუმის ჭერქვეშ დაიდო

არსენალი



# 2006

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| სამშ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| ოთხშ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| ხუთშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| პარ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| შაბ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| კვ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეაპოლიტანური მასტიფი

## ბასკერვილების ძაღლი





ალბათ წაგიკითხავთ არტურ კონან დოილის „ბასკერვილების ძაღლი“, სადაც ღამღამობით უცნაურად მოელვარე მოჩვენება ჩნდება და შიში ზარს სცემს ხალხს. მხოლოდ გამჭრიახი მაძებარი შერლოკ ჰოლმსი აღმოაჩენს, რომ ეს ვითომდა არამიწიერი არსება მხოლოდ და მხოლოდ უზარმაზარი ძაღლია, რომელსაც პატრონი ტანზე ფოსფორს უსვამდა და მსხვერპლზე სანადიროდ გაჰყავდა. სწორედ ფოსფორი აძლევდა ძაღლს საზარელ იერს.

ის, რომ დეტექტივის ავტორს ამ ძაღლში მასტიფის ჯიში აქვს ნაგულისხმევი, ცოტამ თუ იცის. ამჯერად ნეაპოლიტანურ მასტიფზე ვისაუბრებთ, როგორც უკვე მიხვდით, ის წარმოშობით ნეაპოლიდან არის და სწორედ ამიტომ ეწოდა ეს სახელი. ნეაპოლიტანური მასტიფის წინაპრები, სავარაუდოდ, ძველი მოლოსური ძაღლები იყვნენ, რომლებიც ოდესღაც რომაელებმა გაიყვანეს არენაზე ორთაბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად და ადამიანების დასაგლეჯად. ანტიკური წყაროების მიხედვით,




ნეაპოლიტანური
მასტიფი
არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ძაღლები 5000 წლის წინ არსებობდნენ.

ძველ რომში, კოლიზეუმის არენაზე ხშირად იმართებოდა დიდი ძაღლების ორთაბრძოლები. ისინი ებრძოდნენ ლომებს, ვეფხვებს, ხარებსა და გლადიატორებსაც. მათ იხსენიებენ არისტოტელე, პლუტარქე და ა.შ.. ძველი რომაელი მწერალი კოლუმელა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში წერდა: „ის იცავს დღისითაც და ღამითაც. იმდენად შავია, რომ ღამით არც კი ჩანს, ამიტომ დაუპატიჟებელ სტუმარს იოლად უახლოვდება. ამ ძაღლის ტანი უნდა იყოს კომპაქტური, დიდი თავით, რომელიც სხეულის მთავარ ნაწილად ჩანს, დაშვებული ყურებითა და შავი ან მწვანე-მოცისფრო თვალებით, ფართო მხრებით, მსხვილი თათებითა და მოკლე კუდით. ასეთი უნდა იყოს ძაღლი, რომელიც მცველად, დარაჯად გვინდა. არც ძალიან წყნარი უნდა იყოს, არც ძალიან ავი და ძალიან მკაცრი. ქურდი არ უნდა დაინდოს, ხოლო ოჯახის წევრებს კი თავს არ დაესხას“.

სახელწოდება „მასტინოს“ წარმომავლობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, „მასტინო“ წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „მასუეტინუს“ („დამჯერი“).

თანამედროვე მასტინოს, იმავე ნეაპოლიტანური მასტიფის გზა საკმაოდ შორიდან მოდის. დიდი ძაღლები, რომლებიც ნეაპოლიტანური მასტიფის წინაპრები იყვნენ, დიდი ხნის წინ გადაშენდნენ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ნეაპოლიტანური



მასტიფი, როგორც მუშა ძაღლი, იტალიაში იყო გავრცელებული. დროთა განმავლობაში, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ის მხოლოდ ქვეყნის მდიდარ რეგიონს, სამხრეთს შემორჩა. 1897 წელს იტალიაში ამ ძაღლის ჯიშის აღწერა დაიწყეს. ნეაპოლელმა პროფესორმა ტეცემ წიგნიც გამოსცა. მასში აღწერილი ნეაპოლიტანური მასტიფი თითქმის შეესაბამება თანამედროვე ნეაპოლიტანური მასტიფის დღევანდელ სტანდარტს. მიუხედავად ამისა, იტალიაში ეს ჯიში ჯერ კიდევ არ ჰყავდათ აღიარებული, შესაბამისად, არც გამოფენებში მონაწილეობა შეეძლო. მე-20 საუკუნის შუა ხანებში ეს ჯიში გადაშენების პირას მივიდა, თუმცა მისი გადარჩენა მოხერხდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წლის 12 ოქტომბერს, ნეაპოლში გამართულ პირველ გამოფენაზე ამ ჯიშის რვა წარმომადგენელი არასაკონკურსო გამოფენაზე გაიყვანეს. მაყურებელთა შორის იყო კინოლოგი პიერო სკანციანი, რომელიც ამ ჯიშის „ნათლიად“ ითვლება. იმდენად მოხიბლა ნეაპოლიტანურმა მასტიფმა, სახელად გუალონემ, რომ იყიდა შავ ძუსთან, პაკიანასთან ერთად. ასე იხსნა სკანციანიმ ნეაპოლიტანური მასტიფი გადაშენებისგან. მისი წყალობით ეს ჯიში აღიარა საერთაშორისო კინოლოგიურმა ფედერაციამ, მანვე შექმნა ნეაპოლიტანური მასტიფის მოყვარულთა საზოგადოება და ბევრი რამ გააკეთა, რომ ამ ჯიშს მთელ მსოფლიოში სახელი გაეთქვა.

მასტიფის მოვალეობაა, დაიცვას სახლი, ადამიანი, მისი ქონება. დიდი, მასიური ძაღლია. გაწონასწორებული, დამჯერი და მშვიდია. უმიზეზოდ არ იბინება, ყოველთვის ფრთხილია. ჭკვიანი და კეთილშობილი. აქვს მოკლე და მასიური თავი. თავის ქალა ფართო, სწორი, განსაკუთრებით ყურებს შორის. თავის წინა ნაწილი ოდნავ ამობურცული აქვს. შუბლი კარგად განვითარებული, შუბლიდან სახეზე გადასვლა მკვეთრად გამოხატულია. თავზე ტყავი ნაოჭიანი და ნაკეცებიანი აქვს. ძალზე ტიპური და შესამჩნევი ნაკეცია, რომელიც თვალის კუთხიდან იწყება და ტუჩის კუთხემდე ჩასდევს, ცხვირი განლაგებულია ერთ ვერტიკალურ ხაზზე, ტუჩებთან. აქვს მსხვილი, ხორციანი ტუჩები. მაგარი, ძლიერი ყბები. ქვედა ყბა სიგანეში კარგად აქვს განვითარებული. თვალები, ოდნავ მრგვალი და რამდენადმე ღრმად ჩამჯდარი, განლაგებულია ერთ სწორ ხაზზე და ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია. ტანთან შედარებით სამკუთხედის ფორმის პატარა ყურები აქვს. კისერი მოკლეა, მისი ზედა ხაზი ოდნავ ამობურცული. კუდი ძლიერი და ფართო აქვს. დასაწყისში მსხვილი, რომელიც ბოლოსკენ ვიწროვდება. მხრები კუნთოვანია, იდაყვი დაფარულია ოდნავ მოშვებული ტყავით და მჭიდროდ არ ეკვრის ტანს. თეძოები ფართო და მასიური აქვს. ტყავი თავისუფლად ჰკიდია ტანის ყველა მხარეს. ბალანი მოკლე, რბილი, სქელი, ყველგან ერთნაირი სიგრძის აქვს.

ნეაპოლიტანური მასტიფი არაორდინარული სილამაზის ძაღლია და მთელ მსოფლიოში პოპულარულია. აქვს მშვიდი, პლასტიკური სიარული, რომელშიც იგრძნობა უდიდესი ძალა და თავდაჯერებულობა. ნეაპოლიტანური მასტიფის ნამდვილი ხასიათი მაშინ ვლინდება, როცა მის მეგობრებს საფრთხე ემუქრება. ძალზედ იშვიათად ყეფს, სამაგიეროდ მოქმედებს. ასე რომ, მასთან ყოფნისას ყურადღებით



უნდა იყოთ. არ უყვარს, როცა პატრონი თუნდაც მცირე ხნით მარტო დატოვებს. საკმაოდ გონიერია. უსაზღვროდ ერთგულია მათი, ვისთანაც ცხოვრობს. არასოდეს არიდებს თავს საფრთხეს. მასთან ერთიერთობა ადვილია, თუ თავშეკავებას კატმოძულეობაში, ხოლო სიამაყეს — სიჯიუტეში არ ჩაუთვლიან.

ათასწლეულების განმავლობაში ნეაპოლიტანური მასტიფი ერთგული თანამგზავრი და მეგობარია. თავის მეგობრებს ენდობა და იმავეს ითხოვს მათგანაც. მის ხასიათში ჩანს რთული ინდივიდუალურობა, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ძველი წინაპრებისგან.

როგორც კინოლოგიის კავშირის პრეზიდენტთან საუბრისას შევიტყვეთ, ნეაპოლიტანურ მასტიფს რატომღაც ქართველების გული ვერ მოუგია. ისინი არც გამოფენებზე გამოყვანით ყოფილან განებივრებულნი, თუმცა მისი ერთი-ორი მოყვარული მაინც მოიძებნება თბილისში.

რით იკვებება ნეაპოლიტანური მასტიფი, რატომ ვერ უძლებს ზაფხულის ხვატს და როგორ უნდა ავარჩიოთ ლეკვი, ამ კითხვებზე კინოლოგიის პრეზიდენტი მიშა მოდებაძე გვიპასუხებს:

— ნეაპოლიტანური მასტიფი საქართველოში დიდი ხანი არ არის, რაც შემოვიდა, ალბათ, ორი ათეული წელი იქნება. უმეტესად სახლის დასაცავად ჰყავთ. თუმცა ძველად ამ ძაღლებს სულაც არ იყენებდნენ დაცვის მიზნით. მისი წინაპრები არა ნეაპოლიტანური მასტიფი, არამედ უფრო ძველი, დიდი ძაღლები იყვნენ. ახლანდელი სახელწოდება უფრო მათ მოგვიანებით მიიღეს.

— **როგორ მიიღეს ქართველებმა ნეაპოლიტანური მასტიფი?**

— რატომღაც ცუდად. შეიძლება, არ მოეწონათ. ისე, ცოტა არ იყოს, მათი შენახვა ძნელია, რადგან დიდი ძაღლია. თბილისში ძალიან ცოტას ჰყავს.

დღეს ნეაპოლიტანური მასტიფს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. იგი დეკორატიულ ძაღლად იქცა. გამოფენებზე, შეჯიბრებზე იშვიათად გამოჰყავთ. გამოფენებზე ოთხმოცამდე გერმანულ ნაგაზში შეიძლება ერთი-ორი ნეაპოლიტანური მასტიფი გამოერიოს.

— **როგორ შეეგუა აქაურ კლიმატს?**

— საქართველოს ბუნება, კლიმატი ისეთია, რომ ყველანაირი ჯიშის ძაღლი ეგუება. ისე კი, როცა ძაღლი კლიმატს იცვლს, თავისდა უნებურად იცვლის სტანდარტს. ნეაპოლიტანური მასტიფის სტანდარტმაც დიდი ცვლილება განიცადა. ცხელ ზაფხულს ძნელად იტანს. ამ დროს შეჯიბრებაში რომ გაიყვანოთ და არბენინოთ, ცუდ შედეგს გაჩვენებთ, რადგან საკმოად სქელი ტყავი აქვს და სიცხეში უჭირს. სამაგიეროდ, ზამთარს უფრო იოლად გადაიტანს.

— **მისი გაწვრთნა ადვილია?**

— თუკი ნეაპოლიტანური მასტიფის წინა თაობა გაწვრთნილი, ჭკვიანი იყო, ნერვული სისტემაც წესრიგში ჰქონდათ და არც ავები იყვნენ, მაშინ კინოლოგი მას ექვს თვეში გაწვრთნის. სხვა შემთხვევაში გაუჭირდება. მის სტანდარტს მისივე ნერვული სისტემა ქმნის. მინახავს, სახლებში რომ ჰყავთ, ბავშვებს ეთამაშება, არ ვნებს.

— **როგორი კვება სჭირდება ნეაპოლიტანურ მასტიფს?**

— მათთვის აუცილებელია ცილა, რომელიც უხვად არის უმ ხორცში, მაგრამ რადგან ყოველდღიურად ძაღლის ხორცით გამოკვება ძვირი სიამოვნებაა, გადავედით სპეციალურ ძაღლების საკვებზე, რომლებშიც საკმაო რაოდენობით არის ცილა. მით უმეტეს, რომ მოხარშულ ხორცში ზედმეტი ცილაა, რაც ნამდვილად არ არის ძაღლისთვის საჭირო.

— **როგორ უნდა ავარჩიოთ ამ ჯიშის ლეკვი?**

— ზოოტექნიკოსმა უნდა გასინჯოს ლეკვის წონა. თუკი ლეკვები ერთნაირია, მაშინ დედალი კარგი ყოფილა, მაგრამ თუ სხვადასხვანაირი ლეკვებია, მაშინ დედალი არ ვარგა და საჯიშედ არ გამოდგება.

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაუნის ტომის ბელადი ტეკუმსე

რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი რუსული ტელეარხის ეთერში საინტერესო გადაცემა გავიდა. მასში ლაპარაკი იყო აშშ-ის პრეზიდენტებსა და წყევლაზე, რაც თითქოს თან სდევს ამ ქვეყნის პირველ პირებს. სამწუხაროდ, ბევრი რამ მაყურებლისთვის გაუგებარი დარჩა. გადაცემაში არ დაუკონკრეტებიათ, რაში მდგომარეობს წყევლის არსი. ითქვა მხოლოდ ის, რომ წყევლას ჯერჯერობით მხოლოდ ჯორჯ ბუში გადაურჩა. იქნებ უფრო დაწვრილებით გააშუქოთ ეს ისტორია...

*სოსო მგელაძე, სურამი*

# ტეკუმსეს წყევლა



აშშ-ის პრეზიდენტები რომ თითქოს დაწყევლილები არიან, საკმაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტია და ამდენად ნუ დაძრახავთ ჟურნალისტებს, თუკი მისი ისტორია ეთერში დაწვრილებით არ გადმოსცეს.

ეს ამბავი თითქმის ორი საუკუნის წინ, ამერიკელების მიერ ინდიელთა მიწების დაპყრობის დროს დაიწყო. მაშინ (XIX ს-ის დასაწყისში) ინდიანას შტატის სენატორი უილიამ ჰენრი ჰარისონი იყო. 1802 წელს მან პრეზიდენტ ჯეფერსონისგან ინდიელების ტერიტორიის დაპყრობის ბრძანება მიიღო, მაგრამ ოპერაციის ჩატარებისას ჰარისონს განსაკუთრებული სისასტიკე არ უნდა გამოეჩინა. ჰარისონს კი ამაზე თავისი მოსაზრება ჰქონდა და ესპანელი კონკისტადორებივით იქცეოდა... ინდიელებს თავიანთი მიწებიდან იარაღის ძალით მიერეკებოდა, ურჩ ტომებს კი დედაბუდიანად ჟლეტდა. შაუნის ტომის ბელადი ტეკუმსე (მფრინავი ისარი) და მისი ძმა ტანსკვატავა (წინასწარმჭვრეტელი) შეეცადნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ დამპყრობელთათვის და ამ იდეით ინდიელთა რამდენიმე ტომიც გააერთიანეს. ტომთა ბელადებმა ამერიკელ ინდიელთა სახელით შეადგინეს მიმართვა, რომლის თანახმად ამერიკის მთელი ტერიტორია ინდიელთა საერთო საკუთრებად გამოცხადდა, მიწების გაყიდვა, ან სხვაგვარად დათმობა ყველას ეკრძალებოდა.



უილიამ ჰენრი ჰარისონი

შაუნის მებრძოლთა დიდმა დაჯგუფებამ და მათთან გაერთიანებულმა სხვა ტომთა რაზმებმა ცენტრალური ინდიანის დასავლეთით, მდინარეების, ტიპეკანოსა და ვაბაშის შესართავთან მოიყარეს თავი. ჰარისონმა პრეზიდენტ თომას ჯეფერსონისგან ახალი ბრძანება მიიღო: გაერკვია, რას აპირებდა ინდიელთა გაერთიანებული ძალების სარდლობა. ჰარისონმა ინდიელთა ბელადებთან მოლაპარაკება გადაწყვიტა და ათასი ჯარისკაცის თანხლებით მათი ბანაკისაკენ დაიძრა. რადგან ტეკუმსე ინდიელების სხვა ტომის ბელადებთან მოსალაპარაკებლად იყო წასული, გაერთიანებულ ძალებს მისი ძმა ტანსკვატავა ხელმძღვანელობდა. ჰარისონმაც სწორედ ის მიიწვია მოსალაპარაკებლად. ინდიელთა გადმოცემით, ტანსკვატავა თეთრებმა ვერაგულად მოკლეს მოლაპარაკების დროს. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია კი გვაუწყებს, რომ მიუხედავად მოლაპარაკების დაწყებისა, 1811 წლის 7 ნოემბერს, მზის ჩასვლისას, ინდიელები ჰარისონის ათასკაციან რაზმს მოულოდნელად თავად დაესხნენ.

სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ჰარისონის რაზმებმა უკუაქციეს ინდიელები, შევიდნენ მათ სოფლებში და ძირფესვიანად გადაბუგეს.

ცოტა ხნის შემდეგ ტეკუმსემ მკრთალსახიანი ტყვეების ხელით ჰარისონს ის ბარათი გაუგზავნა, რომელიც ტეკუმსეს წყევლის სახელითაა ცნობილი: „ჰარისონი წელს დამარცხდება და ვერ გახდება დიდი ბელადი (პრეზიდენტი). მან შეიძლება მო-

მავალ წელს (შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში) გაიმარჯვოს, მაგრამ ვერ გაასრულებს თავის ზეობის წლებს, იგი მეფობისას მოკვდება. და როცა მოკვდება, თქვენ გაიხსენებთ ჩემი ძმის, ტანკვატავას დაღუპვის ამბავს. იქნებ გგონიათ, მან სიკვდილის შემდეგ ძალა დაკარგა? არა! ის, ვინც მნათობი დააბნელა და წითელკანიანები ცეცხლოვან წყალს (ვისკი) გადააჩვია, შურს იძიებს. ჰარისონი მოკვდება. მას მერე კი, ყოველი ოცი წლის შემდეგ არჩეული დიდი ბელადი ზეობისას აღესრულება და ყოველთვის, როცა ბელადი მოკვდება, მწარედ გაიხსენებთ ჩემი ხალხის დაღუპვის ამბავს“...

ჰარისონმა ინდიელთა გაერთიანებულ ძალებზე გამარჯვების შედეგად ამერიკის თეთრკანიან მოსახლეობაში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ტეკუმსეს წყევლა მას მხოლოდ 30 წლის შემდეგ მიეწია. საოცარია, მაგრამ ბევრს დღესაც ჰგონია, რომ აშშ-ის პრეზიდენტებზე სხვადასხვა დროს დამტყდარი უბედურება სწორედ ინდიელი ბელადის წყევლასთან არის დაკავშირებული. მართალია, ამ იდეის მომხრეები არცთუ ბევრნი არიან, მაგრამ მაინც აქტიურად ცდილობენ წყევლის „ქმედუნარიანობის“ დამტკიცებას. გთავაზობთ ამ ფაქტთან დაკავშირებით შეგროვებულ მასალებს და თვითონ განსაჯეთ, რამდენად რეალურია საფრთხე, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტებს ემუქრება.

ჰენრი უილიამ ჰარისონი 1840 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე პრეზიდენტად აირჩიეს, იგი ამ დროს 68 წლისა გახლდათ. ინაუგურაციის დროს, რომელიც 1841 წლის 4 მარტს ჩატარდა, შილიფად ჩაცმული პრეზიდენტი გაცივდა, პნევმონია განუვითარდა და 4 აპრილს გარდაიცვალა. პრეზიდენტის პოსტზე მან ზუსტად ერთი თვე დაჰყო. მისი სიკვდილი ნულით დასრულებულ წლებში არჩეული ამერიკის პრეზიდენტების დაღუპვის ჯაჭვის პირველ რგოლად იქცა.

ზუსტად ოცი წლის შემდეგ, 1860 წელს აშშ-ის პრეზიდენტად აბრაამ ლინკოლნი აირჩიეს. 1865 წლის 14 აპრილს ლინკოლნი ოჯახის წევრებთან ერთად ფორდის თეატრში, სპექტაკლის სანახავად იყო მისული. სპექტაკლის მსვლელობისას საპრეზიდენტო ლოჟაში მსახიობი ჯუნ უილს ბუტი შევარდა და ლინკოლნს რამდენიმე ტყვია კეფაში ესროლა. შემდეგ სცენაზე გადახტა, ყვირილით: „ეს ელის ყველა ტირანს!“ კულისებში დანის ქნევით გზა გაიკაფა და ნახტომის დროს მოტეხილი ფეხის მიუხედავად, გაოგნებული მაყურებლის თვალწინ ბრბოში მიიმალა. მეორე დღის 7 საათსა და 20 წუთზე ლინკოლნი გარდაიცვალა...

1880 წელს ამერიკელებმა პრეზიდენტად ჯეიმს აბრამ გარფილდი აირჩიეს. ერთი წლის შემდეგ, 1881 წლის 2 ივლისს, როცა პრეზიდენტი ახალ ინგლისში გასამგზავრებლად ვაშინგტონის სარკინიგზო სადგურში მატარებელს ელოდებოდა, მას სულიერად ავადმყოფმა ჩარლზ გიტომ ესროლა (მოგვიანებით მან თავისი საქციელი პრეზიდენტისადმი ზიზღით ახსნა). გარფილდი სასწრაფოდ თეთრ სახლში მიიყვანეს. ტყვია პრეზიდენტს ზურგში ჰქონდა მოხვედრილი. მის დასახმარებლად ექიმთა ჯგუფი შეიკრიბა, თუმცა მათი დახმარება მხოლოდ მორფის ინიექციით შემოიფარგლა. პრეზიდენტი სამი კვირის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. ბოლოს კი თავის სახლში გადაიყვანეს, სადაც 19 სექტემბერს გარდაიცვალა, ისე რომ ერთხელაც არ მოსულა გონს. დიაგნოზი სისხლის საერთო მოწამვლა გახლდათ.

უილიამ მაკ კინლი მეორე ვადით 1900 წელს აირჩიეს. 1901 წლის 6 სექტემბერს პრეზიდენტმა პანამერიკული გამოფენის დათვალიერება მოინდომა. როცა ერთ-ერთი პავილიონიდან გამოდიოდა, მას ხელშეხვეული უცნობი მიუახლოვდა (როგორც



რეიგანზე თავდასხმიდან რამდენიმე წამის შემდეგ...



აბრაამ ლინკოლნი

შემდეგ გაირკვა, ანარქისტი ლეონ ჩოლგოში) და შეხვეული ხელიდან ორჯერ ესროლა. პრეზიდენტის დაცვამ თავდამსხმელი განაიარაღა და დააპატიმრა. მაკ კინლის ერთი ტყვია მუცლის არეში მოხვდა, მეორე კი ნეკნმა აისხლიტა, რის შემდეგაც გამჭოლად გაიარა სხეულში. პრეზიდენტის დაცვა გონს არც იყო მოსული, როცა ჩოლგოშს ჩასაქოლად ბრბო დაესხა თავს. დაჭრილი მაკ კინლის უკანასკნელი სიტყვები იყო: „არ ჩააქოლვინოთ“. ჭრილობები ექიმებს თავიდანვე სახიფათოდ არ მიუჩნევიათ და სწორედ ეს იყო შეცდომა. მიუხედავად ჩატარებული ოპერაციისა, მაკ კინლი 8 დღის შემდეგ, 14 სექტემბერს განგრენისგან გარდაიცვალა. ლეონ ჩოლგოში, რა თქმა უნდა, სიკვდილით დასაჯეს.

1920 წელს გაპრეზიდენტებულ უორენ ჰარდინგს ექიმები ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად დასვენებას ურჩევდნენ. 1923 წლის ზაფხულში კი მათი რჩევა მოთხოვნად იქცა. ჰარდინგმა ყურად იღო მათი აზრი და ცოლთან ერთად დასასვენებლად სან-ფრანცისკოში გაემგზავრა. 29 ივლისს პრეზიდენტი მოულოდნელად შეუძლოდ შეიქნა, მან გონება დაკარგა და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის გვამის გაკვეთა არ ჩაუტარებიათ, მისმა პირადმა ექიმმა ოფიციალური განცხადება გააკეთა: ჰარდინგი ემბოლიამ შეიწირაო (შესაძლებელია პრეზიდენტი მოწამლეს).

რუზველტი, რომელიც 1940 წელს მეოთხე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად, წინამორბედებთან შედარებით მცირე ხნით ჩნდებოდა საზოგადოებაში. ორმოცდაოთხი წლისა ავადმყოფურად ფერმკრთალი და მობერებული იყო. არჩევნებში მონაწილეობამ, ისევე როგორც იალტის კონფერენციაზე ყოფნამ, მას დიდი ენერგია წაართვა.

1945 წლის ადრე გაზაფხულზე პრეზიდენტი ძალების აღსადგენად ჯორჯიის შტატის ქალაქ უორმ სპრინგსში გაემგზავრა, სადაც ტვინში სისხლის ჩაქცევისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეიმს გარფილდს რკინიგზის სადგურზე ესროლეს...

გარდაიცვალა. მისი თანამდებობა იმავე დღეს გადაიბარა ვიცე-პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე რეზონანსული პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობა იყო. ტრაგედია 1963 წლის 22 ნოემბერს, 12 საათსა და 30 წუთზე მოხდა, როცა პრეზიდენტი კენედი მეუღლესთან ერთად ტეხასის შტატ ქალაქ დალასში თავახდილი ლიმუზინით მგზავრობდა. მას შაშხანის რამდენიმე ტყვია ესროლეს გზისპირას მდებარე სასკოლო წიგნების საწყობის შენობიდან. ოფიციალურად გამოცხადებული მკვლელი ლი ჰარვი ოსვალდი ამავე საწყობის თანამშრომელი, გაუწონასწორებელი პირი იყო. ერთხანს საბჭოთა კავშირშიც ცხოვრობდა, სადაც რუსი ქალი შეირთო და კვლავ ამერიკაში დაბრუნდა. მკვლელმა ორი-სამი გასროლის შემდეგ მშვიდად მიაყუდა შაშხანა ფანჯრის რაფას, ტანსაცმელი გამოიცვალა და ბრბოში გაერია. მკვლელობიდან რამდენიმე საათში ის კინოთეატრის დარბაზში დააპატიმრეს. ოფიციალური ცნობით, შაშხანაზე მისი თითების ანაბეჭდები აღმოჩნდა. ოსვალდს ჩვენების მიცემა და სასამართლოს წინაშე წარდგომა არ ეწერა. იგი საპყრობილეში ეტაპირებისას, მილიონობით ტელემაყურებლის წინ, პირდაპირი ეთერის დროს ღამის კლუბის მეპატრონე ჯეკ რუბიმ მოკლა. ვის არ მიაწერდნენ ჟურნალისტები კენედის მკვლელობის ორგანიზებას. რადგან მკვლელი საბჭოთა კავშირში იყო ნაცხოვრები, გაჩნდა ვერსია, რომ პრეზიდენტის მკვლელობა სუკ-ის მოწყობილი იყო. ამ ჰიპოთეზამ შავი საბჭოთა ანეკდოტების მთხზველებს კარგი მასალა გაუჩინა. მაგალითად: „გაიგე? თურმე კენედის მკვლელობას ჩვენ გვაბრალებენ. მერე რას უყურებენ, გადაგვიხადონ სამაგიერო!“. იმ დროს პრეზიდენტის ტოლფარდი თანამდებობა ნიკიტა ხრუშჩოვს ეკავა.

საინტერესოა, რომ კენედის ტეხასის შტატში სტუმრობის წინა დღეს დალასის ერთ-ერთ გაზეთში პრეზიდენტის შავარშიიანი პოტრეტი დაიბეჭდა, რომელსაც ამშვენებდა ცინიკური წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონო პრეზიდენტო“.

კენედის მკვლელობის ორგანიზებას მიაწერდნენ დალასელ ნავთობის მაგნატებსაც, რომლებსაც არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მასთან. ერთ-ერთი ვერსიით, ადანაშაულებდნენ „თავისუფლების კუნძულის“ კომანდანტეს, ფიდელ კასტრო-რუსსაც (ეს ბოლოსართი კასტრომ ხრუშჩოვის საამებლად და საბჭოთა უვადო და გადაუხდელი სესხების მისაღებად მიაწერა თავის გვარს). ამასთან დაკავშირებით კუბაში ჩავიდა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის საქმის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარე სენატორი სტოუქსი. თუმცა ფიდელმა მისი ეჭვი ერთი პასუხით გაფანტა: „არანორმალური ვიქნებოდი, თქვენი პრეზიდენტის მკვლელობა ფიქრადაც რომ გამევლო. ამერიკელები ხომ მიწის პირიდან აღგვიგდნენ ჩემს პატარა კუნძულს“.

დღემდე დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, ვინ მოკლა ამერიკის 35-ე პრეზიდენტი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მკვლელი ოსვალდია — უბრალო, ხელმოცარული კაცი, რომელსაც სექსუალური პრობლემები ჰქონდა თავის რუს ცოლთან და რომელსაც ჰეროსტრატეს სინდრომი მოსვენებას არ აძლევდა.

არსებობს ვერსია, რომ კენედის მკვლელობაში ცენტრალური საგამოძიებო ბიუროს ხელი ურევია და ამიტომაც დარჩა ყველაფერი ბურუსით მოსილი. ასეა თუ ისე, 1963 წლის 22 ნოემბერს ამერიკელებს კიდევ ერთხელ მწარედ გაახსენდათ ტეკუმსეს წყევლა.

1981 წლის 30 მარტს პრეზიდენტ რონალდ რეიგანს ორი ტყვია ესროლა ფსიქიკურად დაავადებულმა ჯონ ჰინკლიმ. პრეზიდენტს ერთი ტყვია მკერდში მოხვდა, იგი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, რაც თანამედროვე მედიცინის უახლესი მიღწევების წყალობა გახლდათ. რონალდ რეიგანი იყო პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელზეც ტეკუმსეს წყევლამ არ გაჭრა.

2000 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს ჯორჯ ბუში-უმცროსი, მასზეც არაერთი თავდასხმა მოხდა, მაგრამ ჯერჯერობით ყველა წარუმატებელია. მათ რიგშია თბილისის ცენტრალურ მოედანზე განხორციელებული თავდასხმაც. საბედნიეროდ, ეტყობა, ტეკუმსემ თავისი მიზნის განსახორციელებლად თბილისელი არუთინიანი შეუფერებელ კანდიდატად მიიჩნია, ან იქნებ ოცდამეერთე საუკუნეში ტეკუმსეს წყევლამ ძალა დაკარგა, ანდა მისი ძმის, ტანსკვატავას სული დაიღალა ამდენი სისხლითა და შურისძიებით.

საინტერესოა ლინკოლნისა და კენედის მკვლელობების სიტუაციების გამოკვლევით მიღებული მონაცემები. ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიები მდიდარია ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ უცნაური, ზოგჯერ მისტიკური დამთხვევებით. მაგალითად, ფრანკლინ რუზველტი და ადოლფ ჰიტლერი ერთი და იმავე ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ისინი შეურიგებელი მტრები იყვნენ. ორივე ხელისუფლებაში 1933 წელს (ერთი



თავდასხმა უილიამ მაკინლიზე



ცენტრში უორენ ჰარდინგი



რეიგანი პირველი პრეზიდენტი იყო, რომელზეც ბელადის წყევლამ არ გაჭრა...

დღის განსხვავებით) მოვიდა. ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე ზუსტად ემთხვევა რაიხსტაგში ჰიტლერისთვის დიქტატორული უფლებების მინიჭების დღეს. ორივეს ექვსი წელი დასჭირდა თავიანთი ქვეყნების ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად. შემდეგ კი თითოეულმა მათგანმა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა გზით წაიყვანა თავისი ქვეყანა აყვავებისკენ. ორივე 1945 წლის აპრილში აღესრულა. სწორედ ასეთი საოცარი დამთხვევებია აბრაამ ლინკოლნისა და ჯონ ფიცჯერალდ კენედის ბიოგრაფიებშიც.

1. აბრაამ ლინკოლნი კონგრესმენად 1846 წელს აირჩიეს. ჯონ კენედი – 1946 წელს, ზუსტად 100 წლის შემდეგ.

2. ლინკოლნი 1860 წელს აირჩიეს, პრეზიდენტი კი 1861 წელს გახდა. კენედი 1960 წელს აირჩიეს, პრეზიდენტი 1961 წელს . გახდა. განსხვავება ზუსტად 100 წელია.

3. ორივე პრეზიდენტი სასიკვდილოდ დაჭრეს პარასკევ დღეს, მეუღლეების თვალწინ. ორივე პრეზიდენტს საბედისწერო ტყვია თავში მოხვდა.

4. ორივეს სასიკვდილო ტყვია კეფაში ესროლეს.

5. ორივე პრეზიდენტს დაეღუპა შვილი. ლინკოლნს არჩევნებში გამარჯვებამდე, 1850 წლის 1-ელ თებერვალს მოუკვდა ვაჟიშვილი, რომელსაც ოთხი წელიც არ შესრულებოდა. კენედის 1956 წლის 23 აგვისტოს შეეძინა მკვდრადშობილი ასული (კენედის შვილებიდან ცოცხალი მხოლოდ ქალიშვილი კეროლინია).

6. ლინკოლნი ფორდის თეატრში მოკლეს, კენედი კი „ლინკოლნში“ – ფორდის ფირმის ავტომობილში.

7. საბედისწერო მომენტისთვის ორივესთან ახლდნენ სამხრეთელი დემოკრატი სენატორები, რომელთა გვარი ჯონსონი იყო.

8. დაღუპული პრეზიდენტების მემკვიდრეები გახდნენ ვიცე-პრეზიდენტები, რომლებიც მანამდე ამერიკის სამხრეთის შტატების სენატორები იყვნენ დემოკრატიული პარტიიდან (თვით ლინკოლნი რესპუბლიკელი იყო, მისი ვიცე-პრეზიდენტი კი დემოკრატი) ორივეს ერთი და იგივე გვარი ჰქონდა – ჯონსონი.

9. ლინკოლნის შემცვლელი ენდრიუ ჯონსონი 1808 წელს იყო დაბადებული. კენედის სიკვდილის შემდეგ გაპრეზიდენტებული ლინდონ ჯონსონი კი ქვეყანას ასი წლის შემდეგ, 1908 წელს მოევლინა.

10. ლინკოლნის პირადი მდივანი გვარად კენედი იყო, კენედის პირადი მდივანი კი – ლინკოლნი.

11. 1858 წელს „ცინცინატ გაზეტ“-ში გამოქვეყნებულ წერილში ლინკოლნის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრმა, ჯონ კენედიმ წამოაყენა.

12. ლინკოლნის მკვლელი ჯონ ბუტი 1839 წელს იყო დაბადებული. კენედის მკვლელი ლი ჰარვი ოსვალდი კი ზუსტად ასი წლის შემდეგ, 1939 წელს დაიბადა.

13. ბუტიც და ოსვალდიც სამხრეთელები იყვნენ და მთავრობის საწინააღმდეგო იდეებს ქადაგებდნენ.

14. ორივე მკვლელი სასამართლომდე გამოასალმეს წუთისოფელს.

15. ჯონ უილკს ბუტი პოლიციამ საწყობში დააკავა. ლი ჰარვი ოსვალდმა სასიკვდილო ტყვია ჯონ კენედის საწყობის ფანჯრიდან ესროლა.

16. Lincoln და Kennedy – ორივე 7 ასოსგან შედგება.

17. Andrew Johnson და Lyndon Johnson – ორივე 13 ასოსგან.

18. John Wilkes Booth და Lee Harvey Oswald – ორივეში 15 ასოა.

19. ლინკოლნის მდივანი, გვარად კენედი, წინასწარ გრძნობდა საფრთხეს და ცდილობდა, პრეზიდენტისთვის თეატრში წასვლა გადაეფიქრებინა. კენედის მდივანი ეველინ ლინკოლნი პრეზიდენტს დაბეჯითებით ურჩევდა, არ გამგზავრებულიყო ტეხასში.

20. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ლინკოლნმა პატარა ქალაქი მონრო მოინახულა. კენედის კი რომანი ჰქონდა ამერიკის სექსსიმბოლოდ წოდებულ კინოვარსკვლავ მერლინ მონროსთან.

მართლაც საინტერესო დამთხვევების მთელი ციკლი წარმოგიდგინეთ. ალბათ, ბევრი სკეპტიკოსი იმასაც იტყვის, რომ ორივე პრეზიდენტს ორ-ორი თვალი და 32-32 კბილი ჰქონდათ და ესეც მიგეწერათო, მაგრამ ბევრს სჯერა ზემოთ მოყვანილი ფაქტების ზებუნებრიობისა. გული რომ არავის დავწყვიტოთ, ჩვენს აზრს არ გავახმაურებთ და არჩევანის საშუალებას თქვენ დაგიტოვებთ, ჩვენო მკითხველო...



ჯონ კენედი და მისი ვაჟი ოვალურ კაბინეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის
## წარმოების ხუთი ძირითადი პრინციპი

ძველი დროის დიდი ჩინელი მხედართმთავარი სუნ ძი ამბობდა, რომ ჭეშმარიტი მთავარსარდალი ომს მის დაწყებამდე იგებს. ბრძენი ასახელებდა ხუთ ძირითად პრინციპს, რომელთა დაცვას გამარჯვებამდე მივყავართ. დღეს დიდი ჩინელი მხედართმთავრის ნაშრომებს მსოფლიოს ყველა სამხედრო აკადემიებში ასწავლიან. სავარაუდოა, რომ ეს პრინციპები მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სარდლებისთვისაც საკმაოდ აქტუალური იყო. თუ მაშინდელი გენერლების ერთი ნაწილის საბრძოლო გეოგრაფიას დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ყველაზე გამორჩეულები, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ პრინციპებიდან რომელიმეთი ხელმძღვანელობდნენ. ხუთივე პრინციპის ერთბაშად გამოყენება ვერც ერთმა ვერ შეძლო.



ბერნარდ მონტგომერი

სუნ ძიმ პირველი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „გაიმარჯვებს ის, ვინც იცის, როდის უნდა იბრძოლოს და როდის – არა“. ყველაზე უკეთ ეს პრინციპი ინგლისელმა ფელდმარშალმა, ბერნარდ მონტგომერიმ აითვისა, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ თუ შესაძლებლობა ჰქონდა, საერთოდ არ იბრძოდა. მომავალი მთავარსარდალი სიყმაწვილეში ერთობ ონავარი ბავშვი ყოფილა და მის ხასიათში არავითარი წინა პირობა არ შეინიშნებოდა იმისა, რომ მისგან მეორე მსოფლიო ომის ყველაზე ფრთხილი გენერალი გამოვიდოდა. პირიქით, ახალგაზრდობაში მონტგომერის სამხედრო კარიერა ხშირად ბეწვზე ეკიდა. ერთხელ ჯერ კიდევ სანდჰერსის სამხედრო კოლეჯის კურსანტმა თანაკურსელები წააქეზა, ერთ-ერთი კურსანტი გაკოჭეს და მონტგომერიმ მის მუნდირს ცეცხლი წაუკიდა. ამის გამო ბერნარდი კოლეჯიდან გარიცხვას იმსახურებდა, მაგრამ სასწავლებლის ადმინისტრაციამ საქმე ჩაფარცხა, რადგან მამამისის, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, ეპისკოპოს მონტგომერის განაწყენებას მოერიდნენ.

მეორედ ოფიცერ მონტგომერის ბომბეის ოფიცერთა კლუბის დარბევაში მონაწილეობისთვის კინაღამ სამხრეები ააგლიჯეს. საქმე ის იყო, რომ კლუბში ატეხილი ჩხუბის მონაწილეთაგან მხოლოდ ის გამოდგა ფხიზელი. ესე იგი თავისი ქმედებების გაკონტროლება კარგად შეეძლო. მომავალი ფელდმარშალი მკაცრად იმჯერადაც არ დაუსჯიათ, ხოლო რაც შეეხება ცხოვრების ჯანსაღ წესს, იგი მთავარსარდალს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. მონტგომერი არ ეწეოდა, არ სვამდა ყავასა და ალკოჰოლიან სასმელებს.

მისი ბედის ვარსკვლავი 1942 წელს ამობრწყინდა, როცა უკვე გენერალი ბრიტანეთის მე-8 არმიის მთავარსარდლად დანიშნეს. ეს არმია ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოში „უდაბნოს მელად“ წოდებულ ფელდმარშალ ერვინ რომელის გერმანულ და იტალიურ შენაერთებს ებრძოდა. თუ ერვინ რომელი მტერსაც და მოყვარესაც მოულოდნელი თავდასხმებითა და ჯარის ნაწილების სწრაფი მანევრირებით აოცებდა, მონტგომერის თითქოს მიზნად ჰქონდა დასახული მოწინააღმდეგე მოუქნელი და ნელი გადაადგილებებით გაეოცებინა. ფეხსაც არ გადაადგმევინებდა ჯარისკაცებს, თუ მისი არმია სამჯერ მაინც არ აღემატებოდა მოწინააღმდეგეს და სამმაგი სათადარიგო სამხედრო მარაგი არ უმაგრებდა ზურგს. რომელი აღიარებდა, რომ ინგლისელების ასეთი ტაქტიკა მის წისქვილზე ასხამდა წყალს: „მიხაროდა, რომ მონტგომერის არც ერთხელ არ გაურისკავს და არ გამოგვდევნებია განადგურების მიზნით, რისი გაკეთებაც არაერთხელ შეეძლო. ინგლისელების მთავარსარდალი ასე რომ მოქცეულიყო, მის არმიას ცოცხალი ძალის გაცილებით მცირე დანაკლისი ექნებოდა“. რომელს სხვა გარემოებებიც აძლევდა ხელს: „მონტგომერი ნამდვილი მანიით იყო შეპყრობილი. ცდილობდა ზურგს უკან რაც შეიძლება მეტი რეზერვი ჰყოლოდა და ამასთან, რაც შეიძლება ნაკლები რისკი გაეწია“. თითქმის იმავე აზრისა გახლდათ ინგლისელ ფელდმარშალზე ამერიკული შენაერთების სარდალი, გენერალი ჯორჯ პატონი: „ომს რისკის გარეშე ვერ მოიგებ, მონტი კი არასოდეს მიდის რისკზე“. ისინი ცდებოდნენ, მონტი ის კაცი არ იყო, ვინც ბრძოლას შეუშინდებოდა – მონტი ის გენერალი იყო, რომელმაც

ერვინ რომელი



იცოდა, როდის უნდა ებრძოლა. მერვე არმია გერმანელების აფრიკულ კორპუსს მოულოდნელად თავს მაშინ დაესხა, როცა რომელი ხანმოკლე შვებულებით სამშობლოში გაემგზავრა. აფრიკაში დაბრუნებულ „უდაბნოს მელას“ კი თავისი უძლეველი არმიის დემორალიზებული და საბოლოოდ დამარცხებული ნარჩენები დახვდა.

როცა იტალიაში სამხედრო მოქმედებების დრო დადგა, მონტგომერიმ კვლავ აითრია ფეხი. ჯერ კიდევ 1943 წლის შემოდგომაზე ნათელი შეიქნა, რომ ომით დაღლილი იტალია მოკავშირეებს შესაფერის წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, მაგრამ ჩრდილოეთისკენ დინჯად მიმავალი ამერიკული და ინგლისური არმიების შესახვედრად მოულოდნელად გერმანული შენაერთები დაიძრნენ და ფრთხილმა მოკავშირეებმაც სვლა შეაჩერეს. რამდენიმე თვის შემდეგ ფრონტის მეორე მხარეს გამოჩნდა პლაკატები წარწერებით, რომ სტატისტიკური გამოთვლების თანახმად ლოკოკინა გაცილებით სწრაფად მოძრაობს, ვიდრე მონტგომერის არმია.

ბოლოს და ბოლოს, მოკავშირეებმა მეორე ფრონტის გახსნა გადაწყვიტეს. შეტევა ნორმანდიაში უნდა დაწყებულიყო, ოპერაციას მონტგომერი ჩაუყენეს სათავეში. მონტიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იცოდა, „როდის უნდა ებრძოლა“ და მთავარი დარტყმა მაშინ მიაყენა გერმანელებს, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. თუმცა ინგლისელ გენერალს არც ამჯერად გამოუჩენია ბრძოლის დაუცხრომელი წყურვილი. ელოდნენ, რომ მისი ჯარები საფრანგეთის ქალაქ კანს პირველივე დღეს დაიკავებდნენ, მაგრამ გავიდა ერთი, ორი დღე, ერთი, სამი კვირა და ქალაქი მაინც გერმანელთა ხელთ იყო. ამასობაში ინგლისურმა ავიაციამ და არტილერიამ კანი მიწასთან გაასწორა და როცა ქალაქისგან მხოლოდ ნანგრევებილა დარჩა, ინგლისურმა ნაწილებმა მხოლოდ მაშინ დაიკავეს. ამ ოპერაციამ მონტგომერის ავტორიტეტი გვარიანად შელახა. სტალინმა იქედნური დეპეშა გაუგზავნა ჩერჩილს: „გილოცავთ ქალაქ კანთან ბრწყინვალე გამარჯვებას“, რომელიც, რა თქმა უნდა, დაცინვად აღიქვა ჩერჩილმა. მონტგომერის ფელდმარშლის წოდება მიანიჭეს და მოკავშირეთა არმიის სარდლობას ჩამოაშორეს.

მონტგომერისთვის არც უკანასკნელ დამოუკიდებელ სამხედრო ოპერაციას მოუტანია სახელი და დიდება. ომის განმავლობაში პირველად გარისკა და სამხედრო დესანტის გადასხმით (პარაშუტისტები) დემორალიზებული მტრის ზურგში მდინარე რაინის ხიდების დაკავება გადაწყვიტა. მისდა საუბედუროდ ხიდების მიმდებარე ტერიტორიებზე მედესანტეებს ესესელთა სატანკო ნაწილები დახვდნენ. ამ ოპერაციაში ინგლისელებმა 13 ათასი ჯარისკაცი უშედეგოდ დაკარგეს. სამაგიეროდ ამ წარუმატებლობით მონტგომერიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა (ოღონდ უკუშედეგით), რაოდენ მნიშვნელოვანია „იცოდე, როდის უნდა იბრძოლო და როდის — არა“.

## უდაბნოს მელა

სუნ ძის მეორე პრინციპი გვასწავლის: „ის, ვინც იცის, როგორ გამოიყენოს დიდი და მცირე ძალები, გაიმარჯვებს“.

ომის მსვლელობისას მრავალრიცხოვანი ჯარით ბევრ სარდალს მოუგია ბრძოლა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მტერი მცირე ძალებით დაუმარცხებიათ. ამ მხრივ სანიმუშო გერმანიის შეიარაღებული ძალების აფრიკული კორპუსის სარდალი ერვინ რომელი იყო.

როცა რომელი აფრიკაში ჩავიდა, მის განკარგულებაში მხოლოდ ორი გერმანული დივიზია და ბრძოლებისგან გადაღლილი იტალიური შენაერთები აღმოჩნდნენ, რომელთაც საბრძოლო სულისკვეთება თითქმის აღარ შერჩენოდათ. ტანკების რაოდენობა კატასტროფულად მცირე იყო, ამიტომ რომელმა მათი ადგილზევე აწყობა-წარმოება გადაწყვიტა. მასალად იყენებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ. მუყაოსგან აკეთებდნენ ტანკებს, მულაჟებს, რომლებსაც ჩვეულებრივ საჯარისო „ფოლკსვაგენებზე“ დგამდნენ. ყალბი ტანკები ყველას დასანახად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და ინგლისელებს შიშის ზარს სცემდნენ, ამასობაში კი ნამდვილი საომარი მანქანები გადამწყვეტი დარტყმებისთვის მზადდებოდა.

როცა გერმანელები შეტევაზე გადადიოდნენ, ინგლისელები უთავბოლოდ იხევდნენ უკან, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ წინააღმდეგ მტერი დიდი ძალებით იბრძოდა. ერთხელ რომელმა ბრძანება გასცა, მანქანებზე, ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებზე სასოფლო-სამეურნეო გუთნები, ფარცხები გამოებათ და ისეთი ბდღვირი აადინა, რომ ინგლისელებმა, რომლებიც მრავალჯერ აღემატებოდნენ მტრის ძალებს, იფიქრეს, რომ ტანკების მთელი არმადა მოდიოდა, დაფრთხნენ და უკან დაიხიეს. მეორეჯერ ბერნარ რომელმა ჯარისკაცებს საარტილერიო ტექნიკა სილაში ჩაამარხვინა და იმ ადგილას ინგლისელების ტანკები შეიტყუა. ამ ფანდის შედეგად ინგლისელებმა არა მარტო ტანკების უმრავლესობა დაკარგეს, არამედ იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ გერმანული ტანკების ქვემეხებს ჯერ არნახული, გამანადგურებელი ძალა ჰქონდათ. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ტანკებით კი არა, შორსმსროლელი ზარბაზნებით ებრძოდნენ.

აფრიკული კორპუსის გერმანელ სარდალს სწრაფი და ეფექტიანი გამარჯვებების გამო არაერთი თაყვანისმცემელი გაუჩნდა არა მარტო გერმანელებს, არამედ ინგლისელებს შორისაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისელი გენერალი ო, კინლეკი შეეცადა, ინგლისელებისთვის რომელის გვარის ხსენება აეკრძალა. ბრიტანეთის გენერლის ბრძანებაში ნათქვამია: „არსებობს რეალური საფრთხე, რომ ავადსახსენებელი რომელი თავისებურ მაცდუნებლად იქცეს ჩვენი ჯარისკაცებისთვის. ჯარისკაცები მის შესახებ ლეგენდებს ყვებიან, მისი გვარის ხსენება კი მათზე ჰიპნოზურ ზემოქმედებას ახდენს, იგი არ არის ზეადამიანი, როგორადაც მას ჩვენი ჯარისკაცები სახავენ, თუმცა თავისი ნიჭითა და ენერგიულობით გამორჩეულ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება. ამიტომ უკიდურესად არასასურველია, რომ ჩვენი ხალხი მას ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდეს. მოვითხოვ, ჯარის ნაწილებში ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებებით ჩავუნერგოთ ჩვენს ჯარისკაცებს, რომ რომელი ერთი ჩვეულებრივი რიგითი გერმანელი გენერალია და სხვა არავინ. ჩვენი ჯარის ნაწილებში უნდა აიკრძალოს რომელის გვარის ხსენება...“.

გენერალი რომელი კი მცირერიცხოვანი ჯარებით წარმატებულ მოქმედებას განაგრძობდა. მას არა მარტო მოწინააღმდეგის

**„უდაბნოს მელას“ სახელის გავლენა ოდნავ მაინც რომ შეემცირებინათ ბრიტანელ ჯარისკაცებზე, გენერლებმა რომელის გვარის ხსენება აკრძალეს...**



მონუსხვა, არამედ თავისი ჯარისკაცების აღფრთოვანებაც შეეძლო. ერთხელ, როცა იგი შეტევაზე გადასულ გერმანულ კოლონებს თვითმფრინავიდან ადევნებდა თვალს, დასასვენებლად წამოწოლილი მოტომსროლელთა ასეულის ჯარისკაცები დაინახა. მოულოდნელად ჯარისკაცებს თვითმფრინავიდან გადმოგდებული ბარათი დაეცათ თავზე: „თუ ახლავე არ ადგებით და არ ჩასხდებით მანქანებში, მე მომიწევს დაჯდომა! რომელი“.

რომელი, რომელმაც მცირე ძალებით ბრძოლა მშვენივრად იცოდა, დიდი ძალებით მნიშვნელოვან წარმატებას ვერ აღწევდა. როცა „უდაბნოს მელა“ საფრანგეთის სანაპიროს დაცვას სარდლობდა, ფიქრობდა, რომ მოკავშირეები შეტევას კალეს რაიონში დაიწყებდნენ, მაგრამ მოტყუვდა, მოწინააღმდეგის დესანტი ნორმანდიაში გადმოსხდა. როცა ეს რომელს მოახსენეს, მან შესძახა: „ნორმანდია! რა სულელი ვარ!“.

„უდაბნოს მელა“ სუნ ძის სხვა პრინციპის უგულებელყოფამ დაღუპა: „(თუ მეთაურმა) არ იცის სამი არმიის ძალებს შორის ტაქტიკური თანაფარდობა და სარდლობის პასუხისმგებლობას კისრულობს, ასეთ შემთხვევაში მეთაურები დაეჭვდებიან და ყოყმანს დაიწყებენ“. ჭეშმარიტება არა რომელმა, არამედ ჰიტლერმა დაივიწყა, რომელიც ჯარებს ხელმძღვანელობდა. რომელს, ისევე როგორც სხვა მეთაურებს, ფიურერის გენიალურობა უკვე ეეჭვებოდათ. სწორედ ამის შედეგი იყო ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულება, რომლის შესახებაც რომელმაც კარგად უწყოდა. ფიურერი თავდასხმას გადაურჩა, „უდაბნოს მელამ“ კი თავი მოიკლა.

## დაიმორჩილე და იბატონე

სუნ ძის მესამე პრინციპი შემდეგნაირად ჟღერს: „ის, ვინც დაბალ და მაღალ ფენებს ერთი სურვილით ანთებს, გაიმარჯვებს“. თუმცა „მაღლები“ და „დაბლები“ ყველა ქვეყანაში ყოველთვის განსხვავებული სურვილით იყვნენ ანთებულნი, ამიტომ სარდლობა ხშირად ორ ცეცხლშუა აღმოჩნდებოდა ხოლმე. მაღალი ფენა ანგარიშს არ უწევდა სამხედრო მიზანდასახულობებს, დაბალი კი არ ჩქარობდა თავგასაწირი ბრძანებების შესრულებას.

ჯარისკაცებისა და მეთაურების საერთო საქმისთვის ბრძოლის აუცილებლობა საბჭოთა ჯარში სავალდებულო პრინციპად იყო აღიარებული. ამ საქმეში დიდი წვლილი საბჭოთა სარდლებმა შეიტანეს.

გიორგი ჟუკოვზე დღემდე ლეგენდებს ყვებიან. იგი მეთაურებს ყოველთვის აგრძნობინებდა, რით დაემსახურებინათ მის პატივისცემა და რა ელოდათ მათ, ვინც ამას ვერ მოახერხებდა. ერთხელ არტილერიის გენერალმა გრიგორი პლასკოვმა ფრონტის შტაბის თათბირზე დაიგვიანა, მიზეზად ის დაასახელა, რომ მისი საათი ორი წუთით ჩამორჩა. „თქვენ უვარგისი საათი გქონიათ, ფანჯრიდან მოისროლეთ“, – უთხრა ჟუკოვმა. პლასკოვმაც ოქროს საათი უყოყმანოდ გადააგდო. მას შემდეგ პლასკოვი მეთაურის ფავორიტად იქცა. ჟუკოვს ერთხელ მასზე უთქვამს, პლასკოვზე მამაცი ადამიანი არ შემხვედრიაო.

თუ ვინმე ურჩობას გაბედავდა ან სიტყვას შეუბრუნებდა, მარშლის რისხვა არ ასცდებოდა. ერთ-ერთი საშტაბო „ეგზეკუციისას“ ჟუკოვი რამდენიმე გენერალს ტრიბუნალზე გადაცემით დაემუქრა, ზოგიერთ მათგანს გვარიანი სილაქი აჭამა და როცა გენერალმა ბორის ბლაგოსლავოვმა მოსთხოვა, დედას ნუ მაგინებთო, ჟუკოვმა პისტოლეტს წამოავლო ხელი და გენერალს დაუმიზნა. ბლაგოსლავოვმაც არ დაიხია უკან და სადუელოდ მოემზადა. დუელი, რა თქმა უნდა, არ შედგა...

ჟუკოვის არანაკლებ ეშინოდათ დაბალი რანგის მეთაურებსა და ჯარისკაცებსაც. როცა 1941 წლის სექტემბერში ლენინგრადის დაცვის სარდლად დაინიშნა, მარშალმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ეწერა: „მთელ პირად შემადგენლობას: ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში სამშობლოს მტრის ოჯახის ყველა წევრი დაიხვრიტება, ხოლო ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დავხვრეტთ ყველა ტყვედყოფილს“. ჟუკოვის სიმკაცრე ფრონტზე სასწაულებს ახდენდა.

მარშალი როკოსოვსკი სავსებით სხვა მეთოდებს იყენებდა. მისი ზრდილობითა და

**მარშალი ჟუკოვი, თავის სახელგანთქმულ თეთრ ბედაურზე მოსკოვში გამარჯვების აღლუმს იბარებს...**





**სტალინის მიერ „ჩემ ბაგრატიონად“ წოდებულმა როკოსოვსკიმ წყნარად, აუღელვებლად აუხსნა ხელქვეითებს რომ პოლონელი გლეხებისთვის მიყიდული ტანკი უკან უნდა დაებრუნებინათ...**

ინტელიგენტობით მოხიბლული ხელქვეითები დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ. მარშალი ვიქტორ კულიკოვი იხსენებდა, როგორ მიჰყიდეს რუსმა ჯარისკაცებმა პოლონელ გლეხებს ტანკი. „როკოსოვსკიმ ყვირილისა და ლანძღვა-გინების გარეშე განმარტა“, რომ ტანკი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ჯარს, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მანქანა იმ დროისთვის გლეხებს უკვე დაშლილი ჰქონდათ. ტანკი მართლაც დათქმულ დროს დაუბრუნდა ჯარს. უმტკივნეულოდ ჩაიარა მეორე ინციდენტმაც, როცა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მარშალი ნადირობისას ტყეში პატრულმა დააკავა. მიუხედავად მეთაურის ინტელიგენტურობისა, მისი ჯარისკაცები ჟუკოვის ხალხზე ნაკლები თავგამოდებით არ იბრძოდნენ, არც ტრიბუნალის დიდი შიში იგრძნობოდა მის ნაწილებში...

რაც შეეხება უმაღლეს სარდლობასთან ურთიერთობას, ამ საკითხში ჟუკოვიცა და როკოსოვსკიც შესაშურ სიმტკიცეს ავლენდნენ. ყველა საბჭოთა ფილმშია შესული ეპიზოდი, რომელსაც ჟუკოვი თავის მემუარებშიც იხსენებს. კერძოდ, როგორ ეკამათებოდა სტალინს კიევის მტრისათვის დათმობის შესახებ. რაღაც ამდაგვარი შეემთხვა როკოსოვსკისაც. როცა უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში ოპერაცია „ბაგრატიონის“ საომარი გეგმა მუშავდებოდა, როკოსოვსკიმ წამოაყენა იდეა, ერთი დარტყმის ნაცვლად (როგორც სტალინს ჰქონდა დაგეგმილი) ორი განეხორციელებინათ. ბელადმა როკოსოვსკის სთხოვა, კაბინეტიდან გასულიყო და კარგად აეწონ-დაეწონა გეგმა. ცოტა ხნის შემდეგ მარშალი კაბინეტში დაბრუნდა და სტალინს განუცხადა, რომ აზრი არ შეუცვლია. ამჯერად სტალინმა მეორედ გაუშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როკოსოვსკი მოსაფიქრებლად. ამასთან გენერალს დაფიქრებამ იმ კაბინეტში მოუწია, სადაც მოლოტოვი და მალენკოვი ისხდნენ, რომლებმაც არაორაზროვნად შეახსენეს გენერალს, რა ელოდათ მათ, ვინც ბელადის აზრს არ გაიზიარებდა. როკოსოვსკის არც ამის შემდეგ შეუცვლია აზრი. ბოლოს და ბოლოს, სტალინი მის გეგმას დაეთანხმა და ის შედეგიანი გამოდგა. „რა ყოჩაღია, დაჟინებით მოითხოვდა და თავისი გაიტანა", — უთქვამს სტალინს როკოსოვსკიზე. მას შემდეგ მარშალს „ჩემს ბაგრატიონს" უწოდებდა.

## დამარცხებული გამარჯვებული

სუნ ძის მეოთხე პრინციპი გვასწავლის: „ის, ვინც კარგად არის მზად და ელოდება მოუმზადებელს, გაიმარჯვებს", — ამ შეგონებას სავსებით ეთანხმებოდა იაპონიის გაერთიანებული ფლოტის მეთაური ისოროკუ იამომოტო, რომელმაც თავისი საომარი სტრატეგია ამ პრინციპით ააგო. აამერიკის შეერთებულ შტატებთან ომისთვის მზადება იამომოტომ გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ამაზე ტოკიოში დაფიქრდებოდნენ. აშშ-ის გაცნობა მან ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლით დაიწყო, შემდეგ კი, როგორც იაპონიის სამხედრო ატაშემ, ვაშინგტონში გააგრძელა. მომავალ ადმირალს მოწინააღმდეგის შესწავლაში ალკოჰოლი ეხმარებოდა. იამომოტო ხშირად აწყობდა წვეულებებს, რომელზეც ამერიკის არმიის ოფიცრებს ვისკით უმასპინძლდებოდა, თვითონ კი ალკოჰოლიანი სასმელი არასოდეს დაულევია. წვეულებებზე ვისკის ჭიქაში ჩასხმულ ცივ ჩაის მიირთმევდა და ნათელ გონებას ინარჩუნებდა, რომელიც მომავალი მტრის შესწავლაში ეხმარებოდა. ყოველივე ამის შემდეგ იამომოტოს ამერიკელ მეზღვაურებზე ერთობ არასახარბიელო შთაბეჭდილება შეექმნა: „ეს არ არის სამხედრო ფლოტი, ეს გოლფისა და ბრიჯის მოყვარულთა კლუბია", — ამბობდა იგი. მიუხედავად ამისა, ამერიკის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი ანგარიშგასაწევ ძალად მიაჩნდა და ხშირად ამბობდა, ამერიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში ცნობს თავს დამარცხებულად, თუ ზავის პირობებს უშუალოდ თეთრი სახლის ზღურბლთან მისული მოწინააღმდეგე შესთავაზებსო.

იამომოტოს არასოდეს შეჰპარვია ეჭვი ამერიკასთან ომში იაპონიის დამარცხებაში. ერთხელ პრემიერ-მინისტრ პრინც კონოეს გამოუტყდა: „ომის პირველი ექვსი-თორმეტი თვის განმავლობაში მე განუწყვეტელ გამარჯვებებს ვკისრულობ, მაგრამ თუ დაპირისპირება ორ-სამ წელიწადს გასტანს, არავითარი საბაბი არ მაქვს, რომ დარწმუნებული ვიყო საბოლოო გამარჯვებაში". მიუხედავად ამისა, როცა ომისთვის მზადების ბრძანება მიიღო, ადმირალმა სამურაის სიამაყითა და ღირსების გრძნობით განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ომს ნიშნავს, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია. ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული. ამ ომში თავის გაწირვა მიწერია". იამომოტოს აზრით, მისი ერთადერთი შანსი ომის დასაწყისში მოწინააღმდეგის ფლოტისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება იყო და იდეალურ სამიზნედ ამერიკელების ბაზას, პერლ-ჰარბორს მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის მზადება მკაცრად გასაიდუმლოებული იყო — ინფორმაცია მაინც გაიჟონა — ჯერ კიდევ 1941 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ტოკიოდან იტყობინებოდა: „ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებთან ომის შემთხვევაში, იაპონელებს განზრახული აქვთ, მთელი ძალებით თავზარდამცემი შეტევა განახორციელონ პერლ-ჰარბორის საზღვაო ბაზაზე". მიუხედავად ამისა, ამერიკელები იმდენად მოუმზადებლები შეხვდნენ მოვლენების განვითარებას, რომ მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, როცა მათ ბაზაზე იაპონურმა ბომბებმა აფეთქება იწყეს.

საბოლოოდ ეს ოპერაცია იამომოტოს პირველი და უკანასკნელი გამარჯვება გამოდგა, რადგან ომის გამოცხადების შემდეგ მოულოდნელი თავდასხმა შეუძლებელი გახდა. პირიქით, შემდეგი მსხვერპლი თავად იაპონური ფლოტი აღმოჩნდა, რადგან ამერიკელებმა იაპონელების რადიოგრამების გაშიფვრა მოახერხეს და იაპონელებს ატოლ მიდუეისთან დაუგეს მახე. ხაფანგში გაება თვით ადმირალი იამომოტოც, მისი თვითმფრინავი სოლომონის კუნძულებთან ჩამოაგდეს.

## ვის მხარესაა თავისუფლება

დიდი ჩინელი სტრატეგის მეხუთე და ბოლო პრინციპი ასე ჟღერდა: „ის, ვისაც ნიჭიერი მთავარსარდალი ჰყავს და მმართველი (ხელისუფალი) მის საქმეში არ ერევა, გაიმარჯვებს".

ამ პრინციპის ხორცშესხმული მაგალითი გახლდათ ამერიკელი გენერალი დუგლას მაკარტური, რომლის საქმეშიც ხელისუფლება მაშინაც კი არ ერეოდა, როცა საჭირო იყო.

ომმა მაკარტურს ფილიპინებზე მოუსწრო, სადაც იგი სამხედრო მრჩევლად მსახურობდა. გენერალი ამტკიცებდა, რომ ფილიპინების დასაპყრობად სამი წელი და ხუთი მილიარდი დოლარი დასჭირდებოდა და იაპონელებისგან კუნძულების დაცვას მაშინაც კი მოახერხებდა, თუ მის არსენალში შვიდი 12-დიუმიანი ტყვიამფრქვევი და 32 პროჟექტორი იქნებოდა. სინამდვილეში მის არსენალში გაცილებით მეტი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი და პროჟექტორი იყო. მის განკარგულებაში ირიცხებოდა სტრატეგიული ბომბდამშენები, რომლებსაც ნაცარტუტად შეეძლო ექცია იაპონელების ბაზა კუნძულ ფორმოზაზე (ახლანდელი ტაივანი). მიუხედავად ამისა, როცა იაპონელები პერლ-ჰარბორს დაესხნენ თავს, მაკარტურმა არათუ

**ადმირალმა ისოროკუ იამამოტომ ჯერ კიდევ პერლ-ჰარბორამდე იცოდა, რომ ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც დამარცხდებოდა...**





ეროვნული ბიბლიოთეკა



**გენერალი დუგლას მაკარტური (ცენტრში) საკუთარი ქმედებების გაპიარების დიდოსტატად ითვლებოდა თუმცა ღირსებები რომ არ ჰქონოდა ამდენ ხანს ნამდვილად არ მოუთმენდნენ...**

თანამოქალაქების დასახმარებლად არ გაგზავნა თვითმფრინავები, არამედ მათ შენილბვაზე ან ცრუსამანევრო გაფრენებზეც არ უფიქრია. გენერლის დოყლაპიობის გამოისობით იაპონელებმა აეროდრომებზე დაბომბეს მისი ესკადრილიების თვითმფრინავები და ფილიპინებზე დესანტის გადმოსხმაც მოახერხეს. ამის შემდეგ მაკარტურმა თავისი ნაწილები ნახევარკუნძულ ბატანზე მდებარე ციხესიმაგრეში შეიყვანა, სადაც მას იაპონელებმა ალყა შემოარტყეს. მხოლოდ ეს მარცხი კმაროდა მაკარტურის გადასაყენებლად, მაგრამ ვაშინგტონში სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღეს. თვით გენერალი კი ხელმძღვანელობას გამარჯვებების ამსახველ მოხსენებებს ერთიმეორის მიყოლებით უგზავნიდა. რუზველტის დაბადების დღისთვის მაკარტური პრეზიდენტს აცნობებდა, რომ: „გაოფლიანებული, ბრძოლით დაღლილი, დენთის სუნით გაჟღენთილი მამაცი ამერიკელი ჯარისკაცები მთელი ტანით წამოდგნენ ნახევარკუნძულ ბატანსა და კორეხიდორზე გათხრილ სანგრებში, რათა ელოცათ და ღმერთისთვის აღევლინათ თხოვნა, რომ მათი ლოცვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე ზეგარდასულიყო“. მოწინააღმდეგის შესახებ კი წერდა, რომ მათ რიგებში უიმედობამ და სასოწარკვეთამ დაისადგურა, რომ იაპონელთა მეთაურმა საბოლოოდ დაკარგა თავის იმედი და ხარაკირი გაიკეთა, თუმცა იაპონელი საღ-სალამათი და იმედით აღსავსე იყო. ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა კი დღითი დღე მძიმდებოდა. მაკარტური იხტიბარს არ იტეხდა და თავის ოფიცრებს მამისეულ ძველ პისტოლეტს უჩვენებდა. აქაოდა, მტერს ცოცხალი არ დავნებდებიო. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოძველებული კონსტრუქციის პისტოლეტის ტყვიები მას არ ჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს, მაკარტური ფილიპინებიდან ვაშინგტონში გაიწვიეს, მაგრამ არა პასუხგებაში მისაცემად ან თადარიგში გასაშვებად, არამედ დასაწინაურებლად. მალე იგი წყნარი ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონის ჯარების მთავარსარდლის პოსტზე გაამწესეს. მისი გამგზავრებიდან ერთი თვის თავზე კორეხიდორის ციხესიმაგრე დაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დასაწყისში მაკარტურის მოქმედებები წარუმატებელი იყო, შეერთებულ შტატებში მას მაინც გმირად თვლიდნენ. უმაღლესი მთავარსარდლობა კვლავ ენდობოდა და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა. საბოლოოდ მაკარტურმა მაინც გაამართლა მასზე დაკისრებული ნდობა და ის შეცდომები გამოასწორა, რომლებიც ომის დასაწყისში თავქარიანობის გამო დაუშვა.

დროებითი წარუმატებლობები სხვა ქვეყნის სარდლებსაც ჰქონიათ, მაგრამ გაუკიცხავად ისინი არავის დაუტოვებია. სერიოზული საუბრებისთვის გენერლებს იბარებდნენ მოსკოვში, ბერლინსა და ლონდონში. მაკარტური კი ამ მხრივ გამონაკლისი გახლდათ, იგი შეცდომებისა და წარუმატებლობის გამო არც ერთხელ არ დაუბარებიათ ვაშინგტონში.

**გერინგს დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთი უფროსი ჰყავდა — ჰიტლერი და მუდმივი დაპირებებით „კვებავდა“...**



თუმცა მეორე მსოფლიო ომში ზოგ ქვეყანაში იყვნენ მთავარსარდლები, რომლებიც ხელშეუხებლებად ითვლებოდნენ.

მაგალითად, გერმან გერინგი გერმანიის ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელსაც ერთდროულად მნიშვნელოვანი პოსტიც ეკავა და გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალებსაც დამოუკიდებლად განაგებდა. ავიაციის რაიხსმარშლის ერთადერთ უფროსად ადოლფ ჰიტლერი ითვლებოდა, რომელიც მას დიდხანს უსაზღვროდ ენდობოდა. გერინგიც, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებდა, რაც ფიურერს მოესურვებოდა. გერინგი ნაცისტურ კანონებსაც თავისი სურვილისამებრ იყენებდა. როცა ესესელებმა მისი მოადგილის, ფელდმარშალ ერჰარდ მილხის გადაყენება მოითხოვეს მხოლოდ იმის გამო, რომ დედამისი ებრაელი იყო, გერინგმა განაცხადა: „საკუთარ შტაბში მე თვითონ ვწყვეტ, ვინ ებრაელია და ვინ — არა“. როცა სამხედრო საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ საგანგებო საზღვაო ავიაციის შექმნა ითხოვა, გერინგმა უარი განაცხადა: „ყველაფერი, რაც დაფრინავს, ჩემია“, — თქვა მან. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომმა საომარმა მოქმედებებმა ადმირალთა მოთხოვნის მართებულება დაადასტურა, გერინგს მაინც ვერავინ ვერაფერი გაუბედა.

გერინგი ფიურერს თავისუფლად აძლევდა დაპირებებს და ასევე თავისუფლად არღვევდა მათ. იგი ჰიტლერს დაჰპირდა, რომ ინგლისის დაბომბვებით დააჩოქებდა და ნისლიან ალბიონს უაზრო მოქმედებებით გერმანიის საუკეთესო მფრინავები შესწირა. დაჰპირდა, რომ სტალინგრადთან ალყაში მოქცეული გერმანული არმიის ჰაერიდან მომარაგების საქმეს მოაგვარებდა და სიტყვა არ შესრულება.

დაიფიცა, არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდება რაიხის ტერიტორიაზეო და თავად გახდა გერმანული ქალაქების მასირებული დაბომბვების მოწმე. ყოველივე ეს გერინგს ფიურერის მხოლოდ რამდენიმეჯერ აღშფოთებად და გულისწყრომად დაუჯდა, რაც მშვიდად გადაიტანა. გერინგი „ნიჭიერ მხედართმთავრად“ ნამდვილად ვერ ჩაითვლება, ამიტომ სუნ ძის მეხუთე შეგონება მასზე არ გავრცელდება.

ომი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სხვა ქვეყნის ანალოგიებთან დაპირისპირება-შეჯიბრება. შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელისუფლებების ან იდეოლოგიების ბრძოლა, მაგრამ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხედართმთავრების სტრატეგიული ნიჭის დაპირისპირებაც. ამ დაპირისპირებაში, რომელიც ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის სახელით შევიდა, სუნ ძის სიბრძნის მიმდევარ სტრატეგთა უმრავლესობის ერთი ნაწილი სწორედ ანტიფაშისტურ კოალიციაში აღმოჩნდა.

# ცნობილი ლაინერების ტრაგიკული ბედი

**წყალქვეშა ომი სასტიკი და დაუნდობელია. მსოფლიო ომებში მისი მსხვერპლი ასეულობით სამოქალაქო გემი გამხდარა, მათ შორის მგზავრებით გადატვირთული რამდენიმე სამგზავრო ლაინერიც.**

## საბედისწერო ტორპედო

1915 წლის 1-ელ მაისს ამერიკულ გაზეთებში აშშ-ში გერმანიის ელჩის განცხადება დაიბეჭდა. ელჩი შეახსენებდა მათ, ვისაც ატლანტის ოკეანის გემით გადაცურვა სურდათ, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები ბრიტანეთსა და მის მოკავშირეებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი. შესაბამისად, სამხედრო ზონა ბრიტანეთის მიმდებარე წყლებსაც მოიცავდა და ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეთა დროშით მოცურავე ნებისმიერი გემი ჩაიძირებოდა. ელჩის განმარტებით, ეს განცხადება შეერთებული შტატების მოქალაქეების უსაფრთხოებისათვის გაკეთდა.

ევროპაში პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ამერიკა კი მშვიდობიანი ცხოვრებით ტკბებოდა. ტრანსატლანტიკური სამგზავრო ლაინერები მიმოსვლას არ წყვეტდნენ და საზღვაო კომპანიები კარგ ფულს აკეთებდნენ. კომპანია „კუნარდ ლაინის" 38000 ტონა წყალწყვის „ლუზიტანია" თანამოძმეთაგან მაღალი, 25-კვანძიანი სიჩქარით გამოირჩეოდა. 1909 წელს ატლანტის ოკეანის რეკორდულ დროში, 4 დღეში, 19 საათსა და 52 წუთში გადაცურვისათვის „ატლანტის ცისფერი ლენტის" მფლობელი გახდა.

ელჩის გაფრთხილების მიუხედავად „ლუზიტანიას" მგზავრები და ტვირთი არ აკლდა. ნიU-იორკში ჩაიტვირთა ფურცლოვანი ბრინჯაო, სპილენძი, სხვადასხვა მექანიზმი, 4200 ყუთი შაშხანების საბრძოლო მასალა, 100 ყუთზე მეტი შრაპნელის ცარიელი ჭიქა და სხვ. ტვირთის ღირებულება 750.000 დოლარს შეადგენდა. როგორც ამბობდნენ, გემს 6 მილიონი დოლარად ღირებული ოქროს ზოდებიც გადაჰქონდა.

1-ელ მაისს 12 სთ-სა და 30 წთ-ზე „ლუზიტანიამ" ნიU-იორკის პორტი დატოვა და კურსი ბრიტანეთის პორტ ლივერპულისაკენ აიღო.

ამ დროს გერმანია წყალქვეშა ომს აწარმოებდა და პოზიციებზე გამოსული ათეულობით სუბმარინა მსხვერპლს ელოდა. ირლანდიის სამხრეთით, უოტერ ფოილის რაიონში, U-20 მანევრირებდა. ნავისათვის ლაშქრობა შედეგიანი გამოდგა — მის ანგარიშზე უკვე ორი ჩაძირული ლაინერი, „კანდიდატი" და „ცენტურიონი" იყო.


ლუზიტანია

„ლუზიტანიის" კაპიტანმა ტენერმა ბრიტანეთის საადმირლოდან მიღებული რადიოგრამებით იცოდა, რომ ირლანდიის სამხრეთ სანაპიროსთან გერმანული წყალქვეშა ნავები აქტიურობდნენ, მაგრამ თუ გერმანელებს 23 გემი ჰყავდათ ჩაძირული და საფრთხე „ლუზიტანიასაც" მოელოდა, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. მეტიც, საადმირლომ ლაინერის ესკორტირებისათვის საბრძოლო ხომალდების გამოყოფითაც არ შეიწუხა თავი.

1915 წლის 7 მაისს ოლდ-ჰედ-ოფ-კინსდეილის რაიონში 14სთ-სა და 09წთ-ზე გერმანელთა U-20-მა „ლუზიტანიისკენ" ტორპედო გაისროლა, რომელიც ლაინერს მარჯვენა ბორტში მოხვდა და აფეთქდა. მალე მეორე აფეთქებაც გაისმა. ამის მიზეზი დღემდე დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, ეს შეიძლება ყოფილიყო ორთქლის ქვაბები, ქვანახშირი ან თუნდაც დენთი, რომელიც ამერიკიდან ბრიტანეთში მალულად იგზავნებოდა.

კორპუსში წყალხაზის ქვევით იმდენად დიდი ნახვრეტი გაჩნდა, რომ მასში ორთქლმავალი გაეტეოდა. ლაინერმა დაგვერდება დაიწყო. მარცხენა ბორტის კანჯოები გემბანს დაენარცხა და მხოლოდ მარჯვენა ბორტის კანჯოების ერთი ნაწილის ჩაშვება მოხერხდა. ლაინერის აგონია 18 წუთში დასრულდა.

ტრაგედია ბრიტანეთის სანაპიროს ახლოს მოხდა. SOS-ის სიგნალზე რამდენიმე ხომალდი გამოვიდა, მაგრამ გერმანული წყალქვეშა ნავების შიშით უკან გაბრუნდნენ. გერმანელთა სუბმარინებს მეთევზეთა სეინერები და ბუქსირები არ შეუშინდნენ და „ლუზიტანიის" მგზავრებს შველოდნენ. ბორტზე მყოფი 1959 კაციდან 1198 დაიღუპა (აქედან 785 მგზავრი, მათ შორის 94 ბავშვი იყო). დაღუპულთა შორის ამერიკის 124 მოქალაქე აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ გერმანია-ამერიკის ურთიერთობები გაართულა და ომში ამერიკის მონაწილეობა დააჩქარა.

გერმანელები თავს იმართლებდნენ, რომ „ლუზიტანია" დამხმარე კრეისერი იყო, რომელსაც სამხედრო ამოცანების შესრულება შეეძლო. უზარმაზარი გემის ერთადერთი ტორპედოთი ჩაძირვაც დაუჯერებელი ჩანდა. ამ შემთხვევის შემდეგ გერმანიის წყალქვეშა ფლოტს სამგზავრო გემებზე შეტევა აეკრძალა.

U-20-ს კაპიტანი ვალტერ შვინგერი მეთაურობდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ U-20-მა უამრავი გემი ჩაძირა (საერთო ტონაჟით 190000 ტონა. ეს გერმანიის ფლოტში მეშვიდე შედეგია). შვინგერისათვის მე-13 ლაშქრობა საბედისწერო გამოდგა. 1917 წლის 7 სექტემბერს, უკვე U-88 მეთაურობისას, დანიის სანაპიროსთან ნაღმზე აფეთქებისას ის ეკიპაჟიანად დაიღუპა. U-20 კი 1916 წლის ნოემბერში დანიის სანაპიროსთან მეჩეჩზე მოხვდა, საიდანაც მისი გამოხსნა ველარ მოხერხდა და ეკიპაჟმა მიატოვა.

## გერმანელთა სანიმუშო საქციელი

ომამდე „უაით სთარ ლაინის" 19895 ტონა წყალწყვის სამგზავრო ლაინერი „ლაკონია" ჩრდილოეთ ატლანტიკაში დაცურავდა. მეორე მსოფლიო ომში გემი სამხედრო ტრანსპორტად გადააკეთეს, ადგილების რაოდენობა კი 1580-დან 6 ათასამდე გაზარდეს. მის ბორტზე 6 საზენიტო და ორი 150 მმ-იანი ქვემეხი დაიდგა, აღიჭურვა ჰიდროლოკატორითა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაკონია

და სიღრმის ბომბების ჩასაყრელი დანადგარით. ფაქტობრივად, „ლაკონია" დამხმარე კრეისერი გახდა.

1942 წლის 12 აგვისტოს „ლაკონია" სუეციდან დიდი ბრიტანეთის მიმართულებით 2789 მგზავრით გავიდა. ბორტზე 268 ბრიტანელი სამხედრო, 80 ქალი და ბავშვი, ასევე ეკიპაჟის 436 წევრი იმყოფებოდა. ტრიუმებით მგზავრობდნენ ლიბიაში დატყვევებული 1800-ზე მეტი იტალიელი და მათი მოდარაჯე 160 პოლონელი ჯარისკაცი.

ინდოეთის ოკეანით აფრიკის გარშემო ცურვამ მშვიდობიანად ჩაიარა და სექტემბერში ლაინერი სამხრეთ ატლანტიკის წყლებში შევიდა. 12 სექტემბერი სხვა დღეებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ 20სთ-სა და 07წთ-ზე მომხდარმა საშინელი ძალის აფეთქებამ ასეულობით ადამიანის ბედი თავდაყირა დააყენა.

გერმანული წყალქვეშა ნავის U-156-ის ტორპედოს აფეთქებამ გემის კორპუსი შეაზანზარა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე აფეთქება გაისმა და „ლაკონია" ნელ-ნელა გვერდზე გადაიხარა. მგზავრებში პანიკა არ შეიმჩნეოდა. ისინი მაშველ სარტყელებს იკეთებდნენ და კანჯოებში ჩასასხდომად ტრაპთან დგებოდნენ.

მძიმე მდგომარეობაში იტალიელი ტყვეები აღმოჩნდნენ. პირველი ტორპედო ლაინერს შუაში მოხვდა და 450 იტალიელი იმსხვერპლა, მეორე კი კიჩოში აფეთქდა, სადაც ასევე იტალიელები იმყოფებოდნენ. ცოცხლად დარჩენილების თხოვნას ყურს არავინ უგდებდა და მათ ბედზე არც არავინ ფიქრობდა. მაშინ იტალიელებმა ძალა იხმარეს, რკინის გისოსებს მიაწვნენ, გატეხეს და გემბანზე გამოცვივდნენ. ლაინერი 21 სთ-სა და 25წთ-ზე წყლის ქვეშ გაუჩინარდა.

„ლაკონიას" კაპიტანმა რუდოლფ შარპმა ყველაფერი გააკეთა მგზავრების გადასარჩენად, ღია ტექსტით გადასცა შემთხვევის ადგილის კოორდინატები და ინფორმაცია, რომ ლაინერი გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა.

სატორპედო შეტევა წყალზედა მდგომარეობიდან განხორციელდა და გამთენიისას გერმანელი მეზღვაურების თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა: ხალხით გადავსებული კანჯოები და მაშველი ტივები, ნამსხვრევებზე ჩაჭიდებული უამრავი ადამიანი ოკეანეში ფართხალებდა. მოულოდნელად წყალქვეშა ნავის მეთაურს კორვეტენკაპიტენს ვერნერ ჰარტენშტაინს იტალიურად შეძახილები მოესმა და მისი ბრძანებით ყუთზე ჩაჭიდებული ორი კაცი ნავზე ამოიყვანეს. მათგან გაიგო ჰარტენშტაინმა, რომ მოკავშირე იტალიის ათასზე მეტი ჯარისკაცი ოკეანეში დაცურავდა და შველას ელოდა. გერმანელებმა იტალიელთა გადარჩენა დაიწყეს.

ამის შესახებ სასწრაფოდ მოხსენდა წყალქვეშა ფლოტის სარდალს, ადმირალ კარლ დენიცს.

დენიცმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და იმავე რაიონში საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაგზავნილ 3 გერმანულ წყალქვეშა ნავს რადიოგრამით დახმარების გაწევა უბრძანა. ასეთივე ბრძანება მიიღო ფრიტაუნის მახლობლად მყოფმა იტალიური სუბმარინის, „კაპელინის" მეთაურმა მარკო რივედინმა.

დახმარებისათვის გერმანელებმა საფრანგეთის ვიშის მთავრობას მიმართეს და დაკარიდან ფრანგული ხომალდები გამოვიდნენ.

14 სექტემბრის ღამის 2-3 საათისათვის U-156-მა წყლიდან დაახლოებით 400 კაცი ამოიყვანა, მაგრამ სათანადო პირობების უქონლობის გამო ხალხის ნახევარი ისევ უკან, კანჯოებზე გადასვეს.

ამასობაში გამოჩნდა გერმანული U-506, რომელმაც 200-მდე კაცი გადაარჩინა. მოგვიანებით U-507-მა 153 კაცი აიყვანა, ხოლო ბუქსირზე რამდენიმე კანჯო ჩაება. იტალიურმა „კაპელინიმ" კანჯოში მყოფ ბრიტანელებს წყლითა და კვების პროდუქტებით დახმარება გაუწია.

სამაშველო ოპერაცია მოულოდნელად გამოჩენილმა ამერიკელთა საპატრულო თვითმფრინავმა შეაჩერა. ამერიკელებმა გერმანული წყალქვეშა ნავების მიმართულებით ბომბები ჩამოყარეს. მიუხედავად იმისა, რომ U-156-ს წითელი ჯვრის დროშა ჰქონდა გამოფენილი, ბომბი მის ცხვირთან აფეთქდა და დააზიანა. ბომბებმა 2 კანჯო და მასში მყოფი ადამიანები იმსხვერპლა.

ამერიკელთა ნამოქმედარი დენიცს მოახსენეს. მისი ბრძანებით, ყველა გადარჩენილი უკან, კანჯოებზე გადასვეს და ბორტზე მხოლოდ იტალიელები დატოვეს. მოგვიანებით დენიცი გაიხსენებს: „ლაკონიის" ჩაძირვის შემდეგ წყალქვეშა ნავებს საფრთხე შეექმნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები გადამერჩინა. ამავე დროს მოწინააღმდეგე თავის თანამებრძოლ ინგლისელებს არ ინდობდა, რათა გაენადგურებინა გერმანული წყალქვეშა ნავები, რომლებიც მათი გადარჩენით იყვნენ დაკავებულები". ამის შემდეგ დენიცის კატეგორიული ბრძანებით, წყალქვეშა ნავების მეთაურებმა ჩაძირული გემების ეკიპაჟებისათვის დახმარების გაწევა შეწყვიტეს.

ცნობილი ინგლისელი საზღვაო ისტორიკოსი სამუელ როსკილი წერს: „1942 წლის სექტემბერში მოხდა ინციდენტი, რომელიც მოხსენიების ღირსია: დენიცის განკარგულებით, წყალქვეშა ნავებს დაზარალებულთა გადარჩენა დაევალათ, ხოლო ვიშის მთავრობას დამხმარე გემების გაგზავნა სთხოვეს. გერმანელებმა დაზარალებულებს სასმელ-საჭმელი და ტანსაცმელი მიაწოდეს, დაჭრილებს კი სამედიცინო დახმარება გაუწიეს".

17 სექტემბერს, 7სთ-ზე ფრანგულმა მსუბუქმა კრეისერმა „გლუარმა" გადარჩენილები მიიღო და ზღვაში მიმოფანტული კანჯოების ძებნას შეუდგა. ძებნა მეორე დღესაც გაგრძელდა. დაგვიანებით მოსულმა მეორე ფრანგულმა ხომალდმა „ანამიტემ" 42 კაცი აიყვანა. ხალხით დატვირთული 2 კანჯო ნაპირს მიადგა. 4 ბრიტანელი ოფიცერი და 6 იტალიელი გერმანულ და იტალიურ წყალქვეშა ნავებზე დარჩა. ტრაგედიას სულ 1111 კაცი გადაურჩა, დაღუპულთა რიცხვმა კი 1678-ს მიაღწია.

ჰარტენშტაინის U-156-მა 1941 წლის დეკემბრიდან 1943 წლის მარტამდე 5 ლაშქრობაში 20 გემი, მათ შორის 1 ნაღმოსანი ჩაძირა (საერთო ტონაჟით 101507 ტონა). გერმანულ წყალქვეშა ნავებს შორის მას 35-ე შედეგი ჰქონდა. U-156 1943 წლის 8 მარტს ატლანტის ოკეანეში, ბარბადოსის აღმოსავლეთით, ამერიკის სანაპირო დაცვის საპატრულო თვითმფრინავმა თავის ეკიპაჟიანად სიღრმის ბომბებით ჩაძირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე ცნობილი საბჭოთა მეთაური

ბალტიის ზღვაში საბჭოთა წყალქვეშა ნავის, C-13-ის მიერ ტორპედირებული გერმანული ლაინერის, „ვილჰელმ გუსტლოფის“ ჩაძირვას „საუკუნის სატორპედო შეტევა“ უწოდეს.

1945 წელი გერმანიისათვის ძალზე მძიმე გამოდგა. შეტევაზე გადასული წითელი არმია უპირატესობას ფლობდა და აღმოსავლეთ პრუსიაში კენიგსბერგსა და დანციგს უახლოვდებოდა. 21 იანვარს გროსადმირალ დენიცის ბრძანებით, აღმოსავლეთ პრუსიიდან გერმანული მოსახლეობისა და სამხედროების ევაკუაცია დაიწყო. ევაკუაცია სხვადასხვა მცურავი საშუალებებისა და მათ შორის ერთ-ერთი უდიდესი სამგზავრო გემის, „ვილჰელმ გუსტლოფის“ მონაწილეობით მიმდინარეობდა.

„გუსტლოფი“ წყალში 1937 წელს ჩაუშვეს და მას ნაცისტური პარტიის შვეიცარიის განყოფილების ხელმძღვანელის, ვილჰელმ გუსტლოფის სახელი დაარქვეს. ებრაელი სტუდენტის მიერ მოკლული გუსტლოფი სიკვდილის შემდეგ მიმდევრებმა კერპად აქციეს.

ომის დაწყებამდე ლაინერი ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში დაცურავდა. მასზე გერმანიის ელიტასთან ერთად უბრალო მუშებიც ისვენებდნენ, რითაც ნაცისტებს უკლასო გერმანული საზოგადოების დემონსტრირება სურდათ. 25484 ბრუტო რეგისტრირებული ტონის ლაინერი 1463 მგზავრს იღებდა, ხოლო ეკიპაჟი 426 კაცს შეადგენდა.

1939 წლის სექტემბერში გემს მობილიზაცია შეეხო, სამხედრო მცურავ ჰოსპიტლად გადაკეთდა და შესაბამისად გადაღებილი წითელი ჯვრის ნიშნებს ატარებდა. 1940 წლის ბოლოს კიდევ ერთხელ გადაკეთდა და წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებისათვის მცურავი ყაზარმა გახდა. განმასხვავებელი ნიშნებიც შეიცვალა. საკვამლე მილზე წითელი ჯვრის მაგივრად სვასტიკა გამოისახა.

1945 წლის 25 იანვარს ბალტიის ზღვის სანაპიროზე, გოტენჰაფენში, ხალხის უზარმაზარი მასა გემზე ასასვლელად თავის რიგს ელოდა. ტრაპზე წყალქვეშა ფლოტის მე-2 სასწავლო დივიზიონის 918 ოფიცერი და კადეტი, 373 მედდა ავიდნენ. მათ ლტოლვილები მიჰყვნენ. ტრაპთან მდგომი საზღვაო კურსანტები მგზავრთა გვარებს იწერდნენ. 7956-ის შემდეგ ჩაწერა შეწყდა და 2000-ზე მეტი კაცი გემზე თავისუფლად აუშვეს. სულ ლაინერმა დაახლოებით 10582 კაცი, მათ შორის 5000 ქალი და 3100 ბავშვი მიიღო. ერთ-ერთი მგზავრის გადმოცემით, გემზე იმდენი ბავშვი იყო, რომ დედები შვილებს ხმამაღლა მოლაპარაკის დახმარებით ეძებდნენ.

29 იანვარს გემმა ზღვაში გასვლის ნებართვა მიიღო და მეორე დღის 12სთ-სა და 20წთ-ზე ორმა ბუქსირმა გემთსადგომიდან ზღვაში გაიყვანა. 63 წლის კაპიტანი ფრიდრიხ პეტერსონი ადრე სავაჭრო ფლოტის გემებზე მსახურობდა, მაგრამ ასეთი დიდი გემის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა, ამასთან, ზღვაში დიდი ხნის გაუსვლელიც იყო.

ქარი ქროდა, თოვდა, ჰაერის ტემპერატურა -18-მდე დავარდა. ბალტიის ზღვა დანაღმული იყო და საშიში ადგილებისათვის გვერდის ასავლელად „გუსტლოფი“ ღია ზღვაში ღრმად შევიდა. ესკორტირებას 2 ნაღმოსანი უწევდა.

ზღვის იმ რაიონში საბჭოთა წყალქვეშა ნავი C-13 კურსირებდა. ნავს III რანგის კაპიტანი ალექსანდრე მარინესკო მეთაურობდა. ტიპური საბჭოთა საზღვაო ოფიცერი, რომლის ცხოვრებაში იყო აღმავლობაც და ჩავარდნებიც, უყვარდა არაყი და დროსტარება. ლოთობისათვის, უდისციპლინობისთვის პარტიიდანაც კი გარიცხეს. ჰყავდა ფინელი მეგობარი ქალი, რის გამოც კაპიტნის ზღვაში გაშვება კომუნისტური მორალით დაუშვებელი და ლამის ღალატის ტოლფასი იყო, მაგრამ ეკიპაჟი როგორც მცოდნესა და კარგ მეთაურს პატივს სცემდა. უფროსობაც ხუჭავდა თვალს მარინესკოს უდისციპლინობაზე.

30 იანვარს 21 სთ-სა და 06 წთ-ზე C-13-მა შეტევისათვის პოზიცია დაიკავა და სამიზნის ვიზირში მოხვედრილი „ვილჰელმ გუსტლოფისკენ“ 900 მეტრის მანძილიდან 4 ტორპედო გაისროლა. 37 წამის შემდეგ 3 ტორპედო ლაინერის მარჯვენა ბორტს მოხვდა და ერთიმეორის მიყოლებით აფეთქდა. თითოეული ტორპედოს 350 კგ-იანმა ტროტილის მუხტმა „გუსტლოფს“ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ლაინერმა დახრა დაიწყო. დახრა სწრაფად მატულობდა და 40 წუთის შემდეგ 22 გრადუსს მიაღწია. 22 სთ-სა და 12წთ-ზე გემი წყლის ქვეშ გაუჩინარდა.

შეუძლებელია გემის ბორტზე შექმნილი სურათის აღწერა. ათასობით ადამიანი სიკვდილის შიშმა მოიცვა. ბევრად გაუმართლა მათ, ვინც მომენტალურად დაიღუპა. დედები შვილებს კარგავდნენ, ადამიანები ერთმანეთს თელავდნენ, მატროსები და ოფიცრები წესრიგის დაცვასა და მაშველი კანჯოებისაკენ ქალებისა და ბავშვების გაშვებას ამაოდ ცდილობდნენ. ამის შემყურე ერთმა ოფიცერმა პისტოლეტით ჯერ ცოლი და შვილები დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ასეულობით მგზავრი შიდა გემბანებიდან თავის დაღწევას ველარ ახერხებდა, სიკვდილმა მათ იქ მიუსწრო. ომის შემდეგ ერთ-ერთი მყვინთავი ილუმინატორიდან კაიუტებში დანახულ სხვადასხვა ზომის უამრავ „ბურთზე“ ლაპარაკობდა, – სიბნელეში ადამიანების თავის ქალები მას ბურთებად მოეჩვენა. ტრაგედიას 1239 კაცი გადაურჩა. ბალტიის ზღვის ცივ წყალში სიკვდილი კი 9343 კაცმა პოვა.

მარინესკომ 1945 წლის 10 თებერვალს კიდევ ერთი გერმანული ლაინერის, „გენერალ ფონ შტოიბენის“ (14660 ბრუტო რეგისტრირებული ტონა) ტორპედირება შეძლო. ამჯერად საბჭოთა ტორპედომ 3 ათასამდე გერმანელი დაჭრილი და ლტოლვილი იმსხვერპლა.

საბჭოთა ფლოტის ყველაზე ცნობილი მეთაური მარინესკო გმირად არავის შეურაცხავს. პირიქით, სასმელს მიძალებული უფროს ლეიტენანტამდე ჩამოაქვეითეს, მალე კი ფლოტიდანაც დაითხოვეს. მოგვიანებით ციხეშიც კი მოხვდა. გარდაიცვალა 1963 წლის 25 ნოემბერს.

1990 წელს სამხედრო მეზღვაურთა შუამდგომლობის შედეგად მარინესკოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

## ქართველი მეთაურები

II მსოფლიო ომში მრავალმა ქართველმა მეზღვაურმა მხედრული მოვალეობა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და კატარღებზე პირნათლად მოიხადა. საბჭოთა ფლოტის წყალქვეშა ნავებზე მეთაურებად სამი ქართველი ოფიცერი მსახურობდა.

სვანეთში დაბადებულ-გაზრდილი იაროსლავ იოსელიანი ერთადერთი ქართველი მეთაური იყო, რომლის წყალქვეშა ნავმა გერმანული გემების ჩაძირვა შეძლო. სამსახური შავი ზღვის ფლოტში დაიწყო. 1942-44 წლებში M-111-ს მეთაურიობდა და 11 ლაშქრობაში 12 სატორპედო შეტევა განახორციელა. 1943 წლის 18 ივლისს ფეოდოსიის რაიონში გერმანელთა ბარჟა „დუნარია 1“ (1505 ბრუტო რეგისტრირებული ტონა) და 1943 წლის 12 ნოემბერს ოდესიდან სამხრეთით 100 კმ-ში სატრანსპორტო გემი „თეოდორიხი" (4200 ბრუტო რეგისტრირებული ტონა) ჩაძირა.

1944-45 წლებში ჩრდილოეთის ფლოტში წყალქვეშა ნავი B-4-ის მეთაურია. 1944 წლის 20 ოქტომბერს კონცხ ნორდკინის რაიონში გერმანულთა წყალქვეშა ნავებზე მონადირის U-1220-ის ტორპედირება მოახდინა.

1945 წლის 1-ელი თებერვლიდან წყალქვეშა ნავი C-17-ის „სოვეტსკაია სვანეტიას“ მეთაურია. 1944 წლის 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისს III რანგის კაპიტანს, იაროსლავ იოსელიანს საბჭოთა გმირის წოდება მიენიჭა.

კაპიტან-ლეიტენანტი გიორგი თარხნიშვილი ბალტიის ფლოტში წყალქვეშა ნავ Щ-324-ს მეთაურობდა. პირველი, 23-დღიანი ლაშქრობა უშედეგოდ დაასრულა. 1941 წლის 3 ნოემბერს გავიდა ფინეთის ყურეში, სადაც ხანკოს ნახევარკუნძულიდან ევაკუაციის დაცვა უნდა უზრუნველეყო. 5 ნოემბერს ცენტრს აცნობა, რომ დასახულ რაიონში იმყოფებოდა. ამის შემდეგ კავშირზე აღარ გამოსულა. ვარაუდობენ, რომ 6-10 ნოემბერს ნაღმზე აფეთქდა და ჩაიძირა.

კაპიტან-ლეიტენანტი მამონტი მელქაძე ჩრდილოეთის ფლოტში წყალქვეშა ნავ М-175-ს მეთაურობდა. 5 საზღვაო ლაშქრობა განახორციელა და პოზიციებზე 47 დღე დაჰყო, მაგრამ უშედეგოდ. 1941 წლის 8 ოქტომბერს პორტ ხავნინბერგში გემთსადგომთან მდგომ გემს ერთი ტორპედო ესროლა. ბაზაში დაბრუნებისას განაცხადა, რომ გემი ჩაძირა, მაგრამ გერმანული წყაროები ამას არ ადასტურებენ.

1942 წლის 8 იანვარს სალაშქროდ გავიდა და 10 იანვარს გერმანელთა წყალქვეშა ნავმა U-584-მა (მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი იოჰიმ დეეკე) მისი ტორპედირება მოახდინა. დეეკე გამოცდილი წყალქვეშელი იყო. მის ანგარიშზე 11 ლაშქრობა და მოკავშირეთა 4 სატრანსპორტო ჩაძირული გემია (18626 ბრუტო რეგისტრირებული ტონა). 1943 წლის 31 მარტს ამერიკული ავიამზიდი „კარდის“ თვითმფრინავებმა U-584 ეკიპაჟიანად ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჩაძირა.

# კონტეინერმზიდების უჩვეულო მოვალეობა

**„არსენალის“ წინა ნომერში ჩვენ შემოგთავაზეთ პუბლიკაცია სამოქალაქო გემების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ. მკითხველი დააინტერესა ამ თემამ და გვთხოვა მსგავსი ქმედებების შედარებით თანამედროვე ფაქტების შესახებ მოგვეთხრო. თხოვნას ვასრულებთ და გთავაზობთ ორიოდ ათეული წლის წინ მიმდინარე მოვლენების მოკლე აღწერას.**

1982 წლის ზაფხულში ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ფოლკლენდის კუნძულებთან დაკავშირებით შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. ბრიტანეთიდან 11 ათასი კილომეტრის დაშორებით მიმდინარე ბრძოლებმა სამოქალაქო გემებისაგან მრავალფეროვანი და სრულიად ახალი ამოცანების შესრულება მოითხოვა.

სახელგანთქმული „კუნარდ ლაინის“ კომპანიის კონტეინერმზიდები „ატლანტიკ კონვეიერი“ და „ატლანტიკ კოუზვეი“ საავიაციო ტექნიკის გადასაზიდად გადაკეთდა. „ატლანტიკ კონვეიერზე“ ვერტიკალური აფრენა-დაშვების „ჰარიერის“ ტიპის 22 თვითმფრინავი და 16 შვეულმფრენი დაიტვირთა. საფრენი აპარატების ნაწილი დაშლილი იყო.



„ატლანტიკ კონვეიერი“ მწყობრში და...

საბრძოლო მოქმედებებში „ატლანტიკ კონვეირი“ 19 მარტიდან ჩაერთო. გემის ფუნქციებში შევიდა დაზიანებული „ჰარიერებისა“ და შვეულმფრენების მიღება, რემონტი და საწვავით გაწყობა. თითქმის ავიამზიდის მნიშვნელობის გემს ბრიტანელები განსაკუთრებულად იცავდნენ, მაგრამ არგენტინელმა მფრინავებმა 25 მარტს მაინც მოახერხეს 2 „ექსოსეტის“ მოხვედრება. „ატლანტიკ კონვეიერს“ ხანძარი გაუჩნდა, რომელიც ორ დღეს მძვინვარებდა. 27 მარტს გემი ჩაიძირა.

მეორე კონტეინერმზიდმა „ატლანტიკ კოუზვეიმ“ 20 „უესექსისა“ და 8 „სი კინგის“ ტიპის შვეულმფრენებით ფოლკლენდამდე მშვიდობიანად ჩააღწია და კონფლიქტის ბოლომდე შეასრულა თავისი წინამორბედის მსგავსი მოვალეობები. მასზე ბრიტანელმა პილოტებმა 4 ათასზე მეტი აფრენა-დაშვება შეასრულეს.

„ატლანტიკ კონვეიერის“ დაღუპვის შემდეგ კონტეინერმზიდი „ასტრონომერი“ გადაკეთდა. თავდაცვის მიზნით გემი 20 მმ-იანი საზენიტო ავტომატებითა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით აღიჭურვა. „ასტრონომერმა“ კონფლიქტის დასკვნით ნაწილში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, მასზე 1000-ზე მეტი აფრენა-დაშვება შესრულდა და რემონტი ჩაუტარდა 14 „უესექსს“.

1986 წლის 6 ივნისს, პორტუდან სამხრეთ-დასავლეთით, 120 მილში კონტეინერმზიდი უჩვეულო შემთხვევის მონაწილე გახდა. საღამოს 21 საათზე ესპანურ კონტეინერმზიდ „ადრაგიოს“ მახლობლად მოულოდნელად ინგლისური „ჰარიერი“ გამოჩნდა. პილოტი კაბინიდან მეზღვაურებს ხელით ანიშნებდა, რომ დაჯდომა სურდა. კაპიტანმა სიტუაცია შეაფასა და თვითმფრინავის მისაღებად შესაბამისი განკარგულებები გასცა. მისი ხელმძღვანელობით „ჰარიერი“ კონტეინერებისაგან შედგენილ მოედანზე მშვიდობიანად დაჯდა, თუმცა დაშვებისას ძრავებიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა ლამის ხანძარი გააჩინა.

ექსტრემალური დაჯდომის მიზეზი თვითმფრინავზე ნავიგაციური ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა იყო. არადა „ჰარიერს“ საწვავი 1 წუთზე ნაკლები ფრენისათვის რჩებოდა.

ლონდონის არბიტრაჟის განჩინებით 7 მილიონ გირვანქა სტერლინგად ღირებული „ჰარიერის“ გადარჩენისათვის სამეფო საზღვაო ძალებმა კონტეინერმზიდს 412 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა, საიდანაც გემთმფლობელმა 174 ათასი, ეკიპაჟმა – 209 ათასი, ხოლო კაპიტანმა 29 ათასი მიიღო.

**რუბრიკა მოამზადა თემურ ჩაჩანიძემ**



...ხანძრის დროს

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა კუბაში; 6. ფერად-ფერადი შუშხუნების გაშვება; 8. ნადირობის წესების დამრღვევი; 11. ხმლის ტარი; 12. პირი, რომელიც ახალი წლის დილით პირველი შედის ვისიმე ოჯახში; 13. მუხლებს ქვემოთ ვიწროდ შემოჭერილი, განიერი სამხედრო შარვალი; 16. ძველებური კედლის სანგრევი იარაღი; 18. ფეხბურთელის ამპლუა; 19. სამხედრო ფორმის პალტო; 20. დიდი ძალის მქონე; 21. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯავშნოსანი ავტომობილი; 22. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა, ხორციელდებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 25. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; 26. ყოველგვარი ომის მოწინააღმდეგე; 28. ფარიკაობის იარაღი; 30. მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი; 31. ისლამური ტერორისტული დაჯგუფება. **შვეულად:** 1. კანადური სამხედრო ვერტმფრენი; 2. იტალიური საზენიტო მართული რაკეტა; 3. ისრაელის მსუბუქი სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი; 4. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი — მოწინააღმდეგეთა გემების ერთმანეთთან ბორტებით მიდგომა და კავებით გადაჭდობა, გადამწყვეტი ხელჩართული ბრძოლისთვის; 5. სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მიმაგრებულია მეთაურთან და ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს, ემსახურება მას; 7. უკრაინული არმიის ქართველი გენერალი; 8. დიდი საყვირი; 9. სწრაფმავალი სამხედრო გემი, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი არტილერიით; 10. ჩანთა ნანადირევისთვის; 14. აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების ავიაბაზა მენის შტატში; 15. არმიის მღვდელი; 17. ინგლისელი ფლოტის მეთაური, ვიცე-ადმირალი, ნილოსის ბარონი; 21. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო; 22. კაზაკთა ბანდის მეთაური; 23. ქალაქი, სადაც 1943 წელს მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციაზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი; 24. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 27. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდი; 29. ირლანდიის ეროვნული არმია.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. ნავიგაცია; 6. კავე; 7. ვიზიტაცია; 8. შუბი; 9. აეროპლანი; 13. ბლოუპაიპი; 14. ფლაგმანი; 17. ლაიკა; 19. კანჯო; 20. ოლიფა; 21. ევრო; 22. სამურაი; 25. მიკა; 26. ილიადა; 29. კარგო; 31. რაი; 32. ზუმბა; 33. თემიდა; 34. კორდონი; 35. ცირიკი. ***შვეულად:*** 1. ნავმაჯია; 2. ვიზირი; 3. ცაცია; 4. აკაში; 5. ლეგიონი; 10. პალი; 11. ნეპოლეონი; 12. დივიზიონი; 14. ფალკონეტი; 15. ავანგარდი; 16. მაიორი; 18. ალასკა; 22. სპარტაკი; 23. მაკიზარი; 24. იზოლაცია; 27. ლაფეტი; 28. ალვირი; 30. რემბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათასი ლეგენდით სნივმოსილი უძველესი საომარი იარაღი

*მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეპოსში შეხვდებით ლეგენდებს მშვილდზე, მაგრამ დღეს კაცობრიობისთვის მხოლოდ ისინია ცნობილი, რომლებიც გამოჩენილმა მწერლებმა გამოიყენეს თავიანთ ნაწარმოებებში.*

თუ ერს მეტ-ნაკლებად ცნობილი ლიტერატურული გმირები არ ჰყავს, მისი მესაჭურვლეების ხელოვნება დავიწყებას ეძლევა. ამიტომაა, რომ ბევრი გავრცელებული მოსაზრება მშვილდის შესახებ მხოლოდ ყბადაღებული ლეგენდებიდან იღებს სათავეს და სინამდვილესთან კავშირი არ აქვს. ამის აშკარა მაგალითია ინგლისური მშვილდი. გავრცელებული აზრით, ის ყველაზე დიდია. სინამდვილეში მისი სიგრძე 120-150 სანტიმეტრს შეადგენდა. გააჩნია, რა სიმაღლისა იყო მოისარი და როგორ მშვილდს ირჩევდა. საზოგადოება შეცდომაში მშვილდის აღმნიშვნელმა ტერმინმა „ლონგბოუ“-მ შეიყვანა. არადა ამის ახსნა ძალიან მარტივია: XVI საუკუნეში, ბრძოლის ველზე ცეცხლსასროლი იარაღის პირველად გამოჩენის ეპოქაში, არბალეტი ისევ გამოიყენებოდა ციხესიმაგრეთა თავდაცვითი ბრძოლების დროს, ხოლო მშვილდ-ისარმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ამ იარაღის მარაგს ისე, ყოველი შემთხვევისთვის ინახავდნენ. ციხესიმაგრეთა სამხედრო ქონების აღწერისას დავთარში იწერებოდა: „Crossbow“ – არბალეტი, მშვილდებს კი „Longbow“-თი აღნიშნავდნენ. მოგვიანებით ორივე გამოვიდა შეიარაღებიდან და სპორტულ იარაღად იქცა. ტერმინი კი დღემდე ცოცხლობს.





ინგლისელები სინამდვილეში ჩუბინობით კი არა — „ავტომატური“ მშვილდოსნობით გამოირჩეოდნენ...

## რობინ ჰუდის აუცდენელი ისრები

ლეგენდარულ მოისართა სიას სათავეში დღესაც ინგლისელი იომენი რობინ ლოკსლი, მეტსახელად – რობინ ჰუდი უდგას. სწორედ რობინ ჰუდზე შექმნილი ლეგენდებით გავრცელდა მოსაზრება, რომ ყველაზე ჩუბინი მსროლელები სწორედ ინგლისელი მშვილდოსნები იყვნენ. ამას ხელს უწყობდა ასწლიანი ომის დროს და მოგვიანებითაც ინგლისელ მშვილდოსანთა რაზმების მიერ მოგებული ბრძოლების მემატიანეებისგან გაზვიადება. მაშინდელ ისტორიკოსთა უმრავლესობა ისეთ ლიტერატურას ქმნიდა, რომელიც არსით დღევანდელ სერიულ დეტექტივს უახლოვდება, სიმართლის აღწერის მხრივ კი ჰოლივუდის იაფფასიან ბოევიკს.

როგორ ისროდნენ ინგლისელი მოისარნი და რა მოეთხოვებოდათ მათ? ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ მათი მიზანი არა ზუსტად, არამედ სწრაფად სროლა იყო. სროლა დამაკმაყოფილებლად მაშინ ითვლებოდა, თუ 200 ნაბიჯზე სროლისას პირველი ნატყორცნი ისრის გაშვებიდან მის მიზანში მოხვედრამდე კიდევ 3-4 ისარი გაფრინდებოდა მტრისკენ. მოისართა ფეხოსანი მხედრიონი ბრძოლის დასაწყისში 20-დან 30-მდე ისრის ჯერს უშვებდა მოწინააღმდეგის მიმართულებით, რის შემდეგ თავქუდმოგლეჯილები გამორბოდნენ უკან, საფრებისაკენ, რათა საკუთარ კავალერიას არ გადაეთელა.

მემატიანენი გვიამბობენ, რომ მოისარი ჯარისკაცები კავალერიის ფლოქვებქვეშ უფრო ხშირად და მრავლად იღუპებოდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგის შეტევებისგან.

200 ნაბიჯის მანძილზე გაშვებულ ისრებს სისწრაფე წამში 30-60 მეტრი ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მშვილდოსნები მტრის მიმართულებით 20-40 გრადუსის კუთხით, მაღლა ისროდნენ. ისრების სეტყვა, რომელიც მტრის შესქელებულ რიგებს ატყდებოდა თავს, დღევანდელი საარტილერიო მომზადების მსგავსი საომარი მოქმედება იყო.

ამ დროს მიზანში მოხვედრას არავინ ცდილობდა, თუმც ინგლისელები ხშირად პირველ ზალპს მოწინააღმდეგის მთავარსარდლისკენ უშვებდნენ, თუ მისი გამორჩევა შეიძლებოდა და შემდეგ სხვა ტაქტიკაზე გადადიოდნენ. რამდენიმე ათასი ისრიდან ერთი-ორი შეიძლება სარდალსაც მოხვედროდა, მაგრამ აბჯრის გახვრეტას ვერ ახერხებდა.

## ყველაზე გრძელი მშვილდი

სინამდვილეში დიდი მშვილდები არა ინგლისელებს, არამედ იაპონელებს ჰქონდათ. იაპონურად მშვილდ-ისარს – „იუმია“ ჰქვია. მარცხენა ხელს კი ისინი „იუმი-ნო-ტე“-ს, ანუ „ხელი, რომელსაც მშვილდი უჭირავს“ უწოდებდნენ. მშვილდოსნის ხელობას „სიაგეი“ – „ისრის ტყორცნის შემძლე“ ერქვა. დღეს კი უფრო გავრცელებულია ტერმინი „კიუძუცუ“ – „მშვილდ-ისრის გზა“.

2,2 მეტრის სიგრძის მშვილდი მცირე ზომისად ითვლებოდა, ჩვეულებრივად – 2,5 მეტრის ზომისა. იყო გავრცელებული აგრეთვე 2,8 მეტრის ზომის „იუმი“. იაპონური მშვილდი ევროპულისგან ფორმითაც განსხვავდება. იგი არასიმეტრიულია. მოზრდილი ნაწილი, რომელზეც ლარი ბაწრის 36 ხვეულით მაგრდება, ზემოთა მხარესაა. ქვემოთა მომცრო ნაწილზე კი 28 ხვეულაა. იაპონელები ვარჯიშის დროს სამიზნეებს 160 სმ დიამეტრის მშვილდის სიგრძეზე 33-ჯერ აღმატებული მანძილიდან ესროდნენ. სწრაფად სროლის რეკორდი 1852 წელს ცურუტა მასატოკიმ დაამყარა – ფეხზე მდგომმა წუთში 9 ისარი გაისროლა მიზნისკენ.

სამურაებს ბრძოლის დროს დაულალავად და სწრაფად სროლა მოეთხოვებოდათ. ნავარჯიშებ სამურაებს გამოცდას უტარებდნენ, რომელსაც „ინუოუმონო“ ეწოდებოდა. მშვილდის სიგრძეზე 72-ჯერ მეტი დიამეტრის წრეში შეუშვებდნენ 50 ძაღლს (ყოველი მოვარჯიშისთვის). აბჯარასხმულ, ცხენზე ამხედრებულ სამურაის დათქმულ დროში ისრებით რაც შეიძლება მეტი ძაღლი



იაპონური მშვილდის სიგრძე 2,5 მეტრს აღწევს

უნდა დაეხოცა. ვარჯიში ძაღლების ამოწყვეტამდე გრძელდებოდა. ეს შეჯიბრება მოისრის ჩუბინობასთან ერთად მხედრულ ოსტატობასაც მოითხოვდა, მაგრამ კარგად გაწვრთნილი სამურაები მაინც ახერხებდნენ გამარჯვებას.

გავრცელებული იყო შედარებით მსუბუქი სამხედრო ვარჯიშიც – „კასაგაკე“, რომლის დროსაც დათქმულ მანძილზე გავლებული ხაზიდან სამურაები გაჭენებული ცხენებიდან ისრებს სარებზე წამოცმულ ბერების ლერწმის ქუდებს უშენდნენ.

## ისარი და აბჯარი

ცალკე თემაა აბჯარი და ისარი. ჯავშანგამტანი ძალა კინეტიკურ ენერგიაზეა დამოკიდებული. ძველებური მშვილდებისა და არბალეტების ნატყორცნი ისრების სისწრაფე შეზღუდული იყო და წამში 50-60 მეტრს არ აღემატებოდა. რაც უფრო მძლავრი იყო მშვილდი ან არბალეტი, მით მეტად მძიმე ისრის გატყორცნა შეეძლო.

როგორც ძველი მძლავრი არბალეტების ასლებზე ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა, არბალეტი, რომელსაც ფოლადის რკალი აქვს, ხოლო დაჭიმულობის ძალა 2-4 ტონას უდრის, თავისუფლად ხვრეტს 3 მილიმეტრის სისქის ჯავშანს და 25 მილიმეტრის სისქის ხის ფარს. ფრენის დაბალი სისწრაფე და დიდი სიგრძე, რომლებიც ძველ ისრებს ახასიათებდა, უზრუნველყოფდა საწყისი სიჩქარის შენარჩუნებას, რომელიც 100-დან 150 მეტრ სიშორეზე მყოფი სამიზნის დაზიანებისთვის იყო საჭირო.

სხვა საქმეა, რომ ისრის გასროლიდან მიზნამდე მიღწევას 2-3 წამი უნდებოდა, რის გამოც მოხვედრის ალბათობა ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, როცა არბალეტისტების ასეული ზალპით ესროდა თავიდან ფეხებამდე რკინით აღჭურვილ მოწინააღმდეგის მხედრობას, წარმატებასაც აღწევდა.

არბალეტის გამოჩენამ, რომლის მძიმე ისრებს რაინდთა ჯავშნის გახვრეტა შეეძლო, ბექთარის სისქე 6-7 მილიმეტრამდე გაზარდა. თუმცა ეს შესაძლებელია მე-16 საუკუნეში მუშკეტების გამოჩენასაც მიეწეროს.

მშვილდიდან გასროლილი ისრების ჯავშანგამტანი ძალა გაცილებით ნაკლები იყო. დღევანდელ სანადირო მშვილდს კი შეუძლია 30 მილიმეტრის სისქის ფიცარი გახვრიტოს და სიგრძის ერთი მესამედითაც გავიდეს მასში.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშვილდიდან ნასროლი ისრები რაინდის ბექთარს ვერ ხვრეტდა, ხოლო საალყო, ფოლადისრკალიანი არბალეტის მძიმე ისარი ჯავშანგამტანი იყო.

## მშვილდ-ისარი სპილოს წინააღმდეგ

დაჭიმულობის ხარისხის მიხედვით ყველაზე სუსტ მშვილდებს აფრიკის აბორიგენები იყენებდნენ, რომლებიც ამ იარაღით წიწილებზე კი არა, ზორბა და მრისხანე ცხოველებზე, სპილოებზე, მარტორქებსა და ბეჰემოთებზე ნადირობდნენ. ცხადია, ისინი მოწამლულ ისრებს ხმარობდნენ. მათი ჭრილობაში მოხვედრა ნადირის სიკვდილის იწვევდა.

აფრიკელი მონადირეები ოსტატურად არჩევდნენ საწამლავს. იცოდნენ, რომ საწამლავთა ერთი ჯგუფი ჭრილობაში მოხვედრის დროს სიკვდილს იწვევდა, სამაგიეროდ გადაყლაპვისას უვნებელი იყო. ამიტომ მათ კლასიფიკაციას გემოს გასინჯვით ახდენდნენ. სხვა საწამლავები, რომლებიც ორგანიზმში ნებისმიერი გზით მოხვედრის შემთხვევაში მოქმედებდა, სხვაგვარად მოწმდებოდა. მონადირე მხარს ოდნავ გაიჭრიდა, როცა ჭრილობიდან გადმოსული სისხლის ნაკადი წითელ ზოლად ჩამოიღვენთებოდა ხელის მტევნამდე, მონადირე სისხლის ზოლს საწამლავში დასველებულ ჩვარს დაადებდა და დააკვირდებოდა, როგორი სისწრაფით მიჰყვებოდა სისხლის ზოლს სიშავე (შედედება). შემდეგ სწრაფად შლიდა ჯერ კიდევ გაუშავებული სისხლის ზოლს სუფთა ნაჭრით, რათა სიშავეს ჭრილობამდე არ მიეღწია და მონადირე არ დაღუპულიყო.

ეს უცნაური და სახიფათო მეთოდი მონადირე მაიერმა აღწერა თავის დღიურებში.

ასე რომ, თურმე მხოლოდ შორს და მიზანში სროლით არ გამოირჩეოდნენ მშვილდოსნები, ზოგიერთი საკუთარ თავზე ჩატარებულ ქიმიურ ცდებსაც კი იყენებდა პატარა წვეტიანი ჯოხის სასიკვდილო იარაღად გადასაქცევად...

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Днише – ძრო
Доброволец – მოხალისე
Добыча – ნადავლი
Довольствие – კმაყოფა
Договор – ხელშეკრულება
Договор мирный – საზავო ხელშეკრულება
Доза излучения – გამოსხივების დოზა
Доза облучения – დასხივების დოზა
Доза радиаций – რადიაციის დოზა
Дозор – მზირნი
Дозорный – (არს.ს.) მზირი, მზვერავი
Дозорный – (ზედს.ს.) მზირი, მზვერავი, სამზირი
Док – დოკი
Доктрина военная – სამხედრო დოქტრინა
Долг воинский – სამხედრო ვალდებულება
Долговременный – ხანგამძლე
Долгота – გრძედი
Должность – თანამდებობა
Донесение – მოხსენება
Донный – ფსკერის, საფსკერო
Допрос – დაკითხვა
Допуск – დაშვება (ნებართვა)
Досылатель – შემტანი (ჭურვისა)
Досягаемость – მისაწვდომობა
Дробина – საფანტის მარცვალი
Дробь – საფანტი
Дробящий – მსხვრევადი
Дружина – რაზმეული
Дуло – (ლულის) ტუჩი
Дульный – (ლულის) ტუჩისა, სატუჩე
Дульце – ყელი
Дух – სული, სულისკვეთება
Дух боевой – საბრძოლო სულისკვეთება
Дух моральный – მორალური სულისკვეთება
Дух наступательный – შემტევი სულისკვეთება.

# TOYOTA LAND CRUISER PRADO




სულ რაღაც ორი ათეული წლის წინათ, ახლად გამოშვებული მსუბუქი კლასის მანქანებს, სულ სხვა მოთხოვნებს უყენებდნენ. ყურადღება მახვილდებოდა ავტომობილის გამძლეობაზე, მისი გამ-ამავლობის სიშორეზე, ძრავის სიმძლავრეზე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით ოსტაპ ბენდერის მიერ გამოთქმულ ფრთიან ფრაზას თუ მოვიშველიებთ, „ავტომობილი არა ფუფუნების, არამედ გადაადგილების“ საშუალება იყო. დრომ და საზოგადოების კონკრეტულმა ფენებმა თანამედროვე ავტომობილს ზუსტად ის მოთხოვნები წაუყენეს, რომლებსაც არჩილ გომიაშვილის მიერ გენიალურად განსახიერებული ლიტერატურული გმირი უარყოფდა.






კომფორტი, საიმედოობა, სილამაზე, სისწრაფე, სიმძლავრე, აქტიური დასვენება და ბოლოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილთაგან მიღებული სიამოვნება. ამ მოთხოვნებს უყენებს გარკვეული კლასის ავტომობილებს საზოგადოების ერთი ნაწილი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. „ტოიოტა ლანდ კრუიზერ პრადო“ ყველაზე დამაჯერებლად აკმაყოფილებს საგანგებოდ აქტიური დასვენებისთვის შექმნილი მანქანების რიგს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ავტომობილს შესაფერისი მოცულობის საბარგული აქვს, სადაც მშვენივრად ეტევა სამთო ველოსიპედი, სათხილამურო აღჭურვილობა, სათევზაო და სამონადირეო მოწყობილობები და თუ ასეთ ავტომობილს მძლავრი 249 ცხენისძალიან 6 ცილინდრიანი ძრავიც უდგას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი




Toyota Land Cruiser Prado

ეროვნული ბიბლიოთეკა

















რომლის მოცულობა 4 ლიტრია, სხვა რაღა უნდა ინატროს აქტიური დასვენების მოყვარულმა, მით უმეტეს, რომ სიჩქარეების ხელით გადართვაც არ დაჭირდება, რადგან ავტომობილი 5 საფეხურიანი ავტომატური სიჩქარეთა კოლოფითაა (აქვს გადაცემათა შემანელებელი რეჟიმი) აღჭურვილი. ჩაჯდები მოხერხებულ სავარძელში, გადაატრიალებ გასაღებს და ნელა დააწვები აქსელერატორს. მანქანა თითქოს დაფიქრდაო, დინჯად დაიძრება და რამდენიმე წამში მწარმოებლის მიერ დადგენილ მაქსიმუმს 170 კმ/სთ სიჩქარეს მიაღწევს. მაღალი სიჩქარის დროს ავტომობილის ძარა რყევას იწყებს, რომლის გამოსწორებაც ღილაკზე თითის ერთი დაჭერით შეგიძლიათ. სპეციალური მოწყობილობა ამორტიზატორების სირბილის



რეჟიმს გაამყარებს.

„ტოიოტა ლანდ კრუიზერ პრადოს“ ტრანსმისია და სავალი ნაწილების მოქმედება უგზოობის რეჟიმისას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის ელექტრონიკის საშუალებით უწევს დახმარებას მძღოლს. იმ დროს, როცა რომელიმე ბორბალი სრიალებს, იგი მუხრუჭდება და მისი ძალა გადაეცემა ბორბალს, რომლის მოჭიდების ძალაც სხვებისას აღემატება. ღერძთაშორისი თვითბლოკირებადი დიფერენციალი წინა და უკანა ღერძებს შორის ბრუნვის მომენტს ანაწილებს. მისი ბლოკირება ხელითაც შეიძლება.

მანქანის სალონის გაფორმებაზე დიზაინერებს სერიოზულად უმუშავიათ. გამოყენებულია ძვირფასი მოსაპირკეთებელი და მყუდროების შემქმნელი მასალები, ნაღდი ტყავი, მაღალხარისხოვანი პლასტიკატები, ძვირფასი ხის პროფილის ჩასადგმელები, რომელთა რაოდენობაც ზომიერ რაოდენობას არ აღემატება.

ხელსაწყოთა პანელი უბრალოა, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა. ცენტრალური კონსოლის შუაში დისპლეია განთავსებული, რომელიც ერთდროულად საშუალო სიჩქარეს, გარეთა ტემპერატურასა და საწვავის ხარჯვას უჩვენებს, დისპლეის ეკრანზე აღიბეჭდება აგრეთვე ატმოსფერული წნევისა და ზღვის დონიდან სიმაღლის მონაცემები. სალონში განთავსებულია გამყოფი კლიმატ-კონტროლის შემქმნელი აპარატურა, ფანჯრები ავტომატურად ელექტროამძრავის საშუალებით იღება და იხურება. სავარძლების მორგება ელექტროამძრავით ხდება, ასევე რეგულირდება საჭის მდგომარეობაც. ყოველივე ეს ერთად აღებული, მაღალი დონის კომფორტს უზრუნველყოფს. მაგრამ, როგორც ყველა სრულყოფილ ავტომობილში ზოგიერთმა ავტომოყვარულმა შესაძლებელია პრადოს სალონშიც შენიშნოს გარკვეული შეუთანხმებლობა. თითქოს სალონის სივრცე კომფორტისთვის გაუწირავთ დიზაინერებს. ადამიანი მყუდროდ და მოხერხებულად თავს მხოლოდ წინა სავარძლებზე გრძნობს — ფეხების გასაშლელი ადგილი საკმაოდაა, ხოლო თუ წინა სავარძელზე ზორბა ვინმე ზის და სკამიც საკუთარ გაბარიტებზე აქვს მორგებული, მის უკანა რიგში მჯდომი მგზავრი თავს აუცილებლად უხერხულად იგრძნობს. სავარძლების დამატებით მესამე რიგზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მათი გაშლა და გამოყენება მხოლოდ ხანმოკლე მგზავრობის დროს არის მიზანშეწონილი.

ავტომობილში თითქმის ყველაფერი გაწონასწორებულია, — ასეთი დიდი ზომისა და წონის მანქანისთვის საწვავის ნაკლები ხარჯი (დაახლოებით 6 ლიტრი 100 კილომეტრზე ქალაქის პირობებში), აწყობის მაღალი ხარისხი, სხვადასხვა სისტემებით მდიდრულად გაწყობილი, სასიამოვნო ინტერიერი, მაღალხარისხოვანი კომფორტი და უსაფრთხოების სისტემები. შენიშვნას იმსახურებენ მხოლოდ მრავალრიცხოვანი ჩამრთველ-გამომრთველები, რომელთაც მეორეხარისხოვანი ფუნქციები აკისრიათ და სალონში ქაოტურად არიან განლაგებულნი, მაგრამ ეს უბრალო ხინჯი ვერაფრის დიდებით ვერ გააფერმკრთალებს „ტოიოტა ლანდ კრუიზერ პრადოთი“ მოგზაურობისას აღძრულ სიმპათიებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

n17/27

# „სამოქალაქო" პისტოლეტი

## „ბრაუნინგის" „მოკლე" ვაზნებით

# Beretta 84 FS cheetah



„არსენალის" მიერ გამოცდილი Beretta 84 FS Cheetah-ი 8X-ის „ბერეტებ-ის" სერიას განეკუთვნება. ამ სერიის წარმოებას იტალიური კომპანია Pietro Beretta SP-ი 1976 წელს შეუდგა. თავდაპირველად, მოდელები „81" და „84" გამოუშვეს, მალე მათ „82" და „85" მოდელები მოჰყვა.

ყველა ამ პისტოლეტს ერთნაირი კონსტრუქცია და გაბარიტები ჰქონდა, განსხვავება მათ კალიბრში იყო. თუკი „81" და „82" 7,62მმ ბრაუნინგის ვაზნებს მოიხმარდნენ, მოდელები „84" და „85" კი 9X17მმ ბრაუნინგის „მოკლე" ვაზნებზე „მუშაობდნენ". ამასთან, თუკი „81"-ისა და „84"-ის მჭიდში შესაბამისად 12 და 13 ვაზნა ეტეოდა, მოდელები „82" და „85" რვა ტყვიას ისროდა. სხვათა შორის, 1986 წელს გამოვიდა მოდელი „86", რომლის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა გადასახსნელი ლულა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ერთლულიან სანადირო თოფებს აქვს.

დავუბრუნდეთ „არსენალის" მიერ გამოცდილ „ბერეტას" – 84 FS-ს. სროლისას პირველად რასაც ამჩნევ, ის არის, რომ პისტოლეტის ტარი ხელში კარგად „ზის", რაც ზუსტი სროლის საუკეთესო წინაპირობაა. მოდელი „84"-ის პირველ მოდიფიკაციებს სასხლეტის დამცველი რკალი მომრგვალებული ჰქონდა (ისევე როგორც „ვალტერ" PPK-სა თუ „მაკაროვს"), რაც პისტოლეტზე მეორე ხელის დაფიქსირებას ართულებდა. ახალი 84 FS-ს კი რკალი ისეთივე კუთხოვანი გაუკეთეს, როგორიც ცნობილ საბრძოლო Beretta 92 FS-ს აქვს. ეს ბევრად აადვილებს პისტოლეტის ორი ხელით სროლას. ამასთან ნახევარკილო-



ეროვნული ბიბლიოთეკა



Beretta 84 FS Cheetah-ის არასრული დაშლა



მაყუჩით აღჭურვილი Beretta 84 FS



Beretta 84 FS ვაზნების გახარჯვის შემდეგ

**ჩვენი დოსიე: Beretta 84 FS Cheetah-ის დამრტყმელ-დამშვები მექანიზმი ორმაგი მოქმედებისაა (სასხლეტის გასაწევით ჩახმახის შეყენება შეიძლება), მისი კალიბრი 9X17 მმ-იანი ვაზნების სროლაზეა გათვლილი. პისტოლეტი ვაზნების გარეშე 670 გ-ს იწონის. მჭიდში 13 ვაზნა ეტევა. პისტოლეტის სიგრძე 172 მმ-ია, საიდანაც ლულაზე 97 მმ მოდის.**

გრამიანი პისტოლეტი ქალის ხელისგულზეც კარგად თავსდება.

84 FS-ის დადებით თვისებებში ისიც შეიძლება ჩაიწეროს, რომ პისტოლეტი იოლი დასაშლელია და ამისთვის ინსტრუმენტი არ არის საჭირო (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, პისტოლეტის არასრულ დაშლაზე).

პისტოლეტის ნაკლად უპირველესად სუსტი ვაზნა უნდა აღვნიშნოთ, ოღონდ 9X17მმ-იანი

ბრაუნინგის „მოკლე“ ვაზნა სუსტია საარმიო პისტოლეტისთვის, თუმცა 84 FS-ს სულაც არა აქვს პრეტენზია ბრძოლის ველზე გასასვლელად, იგი სამოქალაქო, საპოლიციო კლასს განეკუთვნება და სრულიად ყოფნის „მოკლე“ ვაზნის ძალა. პირიქით, შედარებით მცირე ენერგიის ვაზნის მოქმედება ასევე მცირე უკუდარტყმით ეფექტს იძლევა, რაც მისაღებია სამოქალაქო პირებისთვის და, რა თქმა უნდა, მანდილოსნებისთვის.

ორიოდ სიტყვა ამ 9X17მმ ბრაუნინგის „მოკლე“ ვაზნაზეც უნდა ვთქვათ. საქვეყნოდ ცნობილმა მეიარაღემ, ჯონ მოზეს ბრაუნინგმა ეს ვაზნა ჯერ კიდევ 1908 წელს, „კოლტის“ ფირმისთვის შექმნა 9მმ ბრაუნინგის „გრძელი“ ვაზნის დამოკლების გზით. თავდაპირველად, აშშ-ში ეს ვაზნა .380 Auto-ს სახელით იყიდებოდა, მოგვიანებით ბელგიელებმა ამ ვაზნის სასროლად ბრაუნინგის პისტოლეტი შექმნეს. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ეს ვაზნა ძალიან პოპულარული გახდა ე. წ. ჯიბის პისტოლეტებისთვის. 9X17მმ ვაზნას სხვადასხვანაირად უწოდებენ – .380 Auto-ს, 9მმ Browining Kurs-ს, Korto-ს ან Short-ს. როგორც წესი, ამ ვაზნაში ჩადებული ტყვიის მასა 6,2 გ-ია, ხოლო ტყვიის საწყისი სიჩქარე 260 მ/წმ-ი. 84 FS-ის მჭიდში 13 ცალი 9X17მმ-კალიბრიანი ვაზნა ეტევა.

„არსენალმა“ Beretta 84 FS Cheetah-ს დასაწუნი ვერაფერი მოუძებნა, გარდა ერთისა – დედაქალაქის იარაღის მაღაზიებში მისი ფასი „იკბინება“.

*ირაკლი ალადაშვილი*


არსენალი
Beretta 84 FS